



# სახელმწიფოსა და სამართლის თეორია

(ენციკლოპედიური მასალა)

„მსოფლიო ისტორია თავისუფლების თანდათანობითი შეგნება ადამიანების მხრიდან (პეგელი). სახელმწიფო კი - დანაშაულოვანი ინდივიდუალური თავისუფლების მთანმოქავი ორგანოდან (პომსი) და დასრულებული „ღამის დარაჯი“ სახელმწიფოთი (გენტამი). რომელიც იყავს ამ თავისუფლებას „ღამის ქურდებისგან“.



## თავი II. საზოგადოება და სახელმწიფო. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

- §1. რა არის საზოგადოება? §2. ხელისუფლება და ძიების  
წილები პირველყოფილი თემური წმინდანების დროს.  
§3. სახელმწიფოს წარმოქმნის მიზეზები. §4. სახელმწიფო,  
როგორც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის  
უმნიშვნელოვანესი ელემენტი.

### §1. რა არის საზოგადოება?

იმაზე, თუ როგორ, რა მიზეზებისა და პირობების ასლით  
წარმოიქმნა საზოგადოება წარსულსა და აწმყოს მეცნიერულ  
წარმოდგენებში არაა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა. როგორც  
წესი, ყველა მოაზროვნის მიერ გამოიყოფა საზოგადოების სავალდებულო  
ფორმალური ნიშანი — შეგნებისა და ნების მქონე ინდივიდთა  
ერთობლიობა.

რა აძლევს ინდივიდების ერთობლიობას საზოგადოების ხასიათს?  
როგორც ამტკიცებენ ისტორიული და სოციოლოგიური მეცნიერებები,  
ინდივიდების გაერთიანება საზოგადოებად ხდება მხოლოდ  
საერთო ინტერესის საფუძველზე. საერთო ინტერესების გარეშე  
საზოგადოება აზრს მოკლებულია. ასეთ მტკიცებას არანაირად არ  
ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებაში  
შეიძლება იყოს არა მხოლოდ მსგავსი, არამედ ერთმანეთის  
საპირისპირო ინტერესები.

ნებისმიერ ადამიანს გააჩნია პირადი ინტერესები და როგორც  
არ უნდა ეგუებოდეს ის საზოგადოებრივ გარემოს, მისი ინდივიდუალური  
ინტერესები შენარჩუნდება. ამიტომ ობიექტურად საერთო ინტერესები  
შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდუალურ ინტერესებს. მთავარი  
მდგომარეობს იმაში, თუ რომელი ინტერესები სჭარბობს აქედან.  
საზოგადოების ორგანიზებულობა დამოკიდებულია მისი წევრების  
საერთო და ინდივიდუალური ინტერესების ჰარმონიულ შეთავსებაზე.  
ამ ინტერესების შეუთავსებლობა იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების  
დესტაბილიზაციას.

საზოგადოება იქმნება ორმხრივი ინტერესების საფუძველზე, რომლებიც ხორციელდებიან მისი ინდივიდების ორმხრივი თანამშრომლობის შედეგად. ეს საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს თითოეული ცალკე ადამიანის ადამიანისთვის მიუღწეველი მიზნები ერთობლივი ძალისხმევით. მაგალითად, კ. მარქსი საზოგადოებას განსაზღვრავდა, როგორც „ადამიანთა ურთიერთქმედების პროდუქტს“.

თუმცა, საერთო ინტერესებით გაერთიანებული ადამიანების ნებისმიერი ერთობლიობა როდი წარმოადგენს საზოგადოებას. თეატრში მაყურებლებს აერთიანებს საერთო ინტერესი, მაგრამ ეს საზოგადოება არაა. ინდივიდთა ერთობლიობა უნდა იყოს დაინტერესებული არა მხოლოდ იმაში, რაც მის გარეთაა, არამედ უნდა აცნობიერებდეს იმასაც, რომ ეს მიზანი მიუღწეველია მისკენ მათი ერთობლივი სწრაფვის გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანების ერთობლიობა უნდა იყოს ერთმანეთით დაინტერესებული, რაც იძლევა თითოეულის ინტერესთა განხორციელების შესაძლებლობას.

თუმცა, საერთო ინტერესების ბაზაზე ურთიერთმოქმედი ინდივიდების ყოველი ერთობლიობა როდი წარმოქმნის საზოგადოებას (მუშათა კოლექტივი სახლის სამშენებლო სამუშაოების შესრულების შემდეგ შეიძლება დაიშალოს). საზოგადოება შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმ ადამიანთა ერთობლიობას, სადაც ინდივიდები დაკავშირებულნი არიან მუდმივი და ობიექტური ხასიათის მქონე ინტერესებით. ასეთი საზოგადოებრივი კავშირები უზრუნველყოფენ ადამიანთა საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას, მის აღდგენასა და თვითგანვითარებას.

საზოგადოება არაა ადამიანთა თვითნებური ან იძულებითი გაერთიანება, საზოგადოების, სოციალური კავშირების გარეშე ხომ ადამიანი დროთა განმავლობაში კარგავს ნებითა და შეგნებით მოსილი არსების თვისებებს. ზოგიერთი მეცნიერი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ადამიანის არსი მდგომარეობს მისი საზოგადოებრივი კავშირების ერთობლიობაში.

**ადამიანი** — საზოგადოების პირველადი უჯრედი. თუმცა, საზოგადოება არაა ინდივიდების მექანიკური კონგლომერატი.

ესაა რთული სოციალური წარმონაქმნი, რომელიც შედგება საზოგადოების წევრებსა და მათ სხვადასხვა გაერთიანებებს შორის ჩამოყალიბებული ძრავალგვარი კავშირისა და დამოკიდებულები-სგან.

საზოგადოებისთვის, როგორც ურთიერთმოქმედი ინდივიდების გაერთიანებისთვის დამახასიათებელია მაორგანიზებელი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევის საზღვრებს მთელი საზოგადოების ინტერესებში. ამ ფუნქციას ასრულებს თავად საზოგადოება ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების და მათ მიერ შემუშავებული საყოველთაო ქცევის წესების მეშვეობით.

ამგვარად, საზოგადოების ცნებაში შედის შემდეგი ძირითადი ელემენტი-ნიშნები:

- ნებისა და შეგნების მქონე ინდივიდთა ერთობლიობა;
- საერთო ინტერესი, რომელსაც აქვს მუდმივი და ობიექტური ხასიათი;
- ურთიერთქმედება და თანამშრომლობა საერთო ინტერესების საფუძველზე;
- საზოგადოებრივი ინტერესების რეგულირება ქცევის საყოველთაო წესების მეშვეობით;
- ორგანიზებული ძალის (ხელისუფლების) არსებობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საზოგადოება შიდა წესრიგითა და გარე უსაფრთხოებით;
- თვითგანახლებისა და საზოგადოების სრულყოფის უნარი და რეალური შესაძლებლობა.

## §2. ხელისუფლება და ქცევის ნორმები პირველყოფილ-თემური წყობილების დროს

საზოგადოების წარმოქმნა წინ უსწრებს მისი ცხოვრების სახელმწიფო ორგანიზებას. იყო დრო, როცა არსებობდა საზოგადოება, მაგრამ სახელმწიფო არ იყო. ეს ობიექტურად მტკიცდება ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის მონაცემებით, ისტორიული და სოციოლოგიური კვლევებით.

საზოგადოების ცხოვრება მისი განვითარების ადრეულ საფეხურებზე იგებოდა ბუნებრივი თვითმმართველობის საწყისებზე, რომელიც შეესაბამებოდა თავად ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების განვითარების დონეს, წარმოიქმნა რა ერთხელ, სახელმწიფო ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ცივილიზებული ორგანიზების და მისი პროგრესის ძირითადი ინსტრუმენტი.

რა უსწრებს წინ სახელმწიფო-ორგანიზებულ საზოგადოებას? ადამიანების საზოგადოების ისტორია იწყება პირველყოფილი თემური წყობილების წარმოქმნიდან, რომლის დროსაც წარმოების იარაღები იყო არასრულყოფილი (ჯოხი, ნაჯახი), ხოლო შრომის ნაყოფიერება ბუნებრივია-დაბალი, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამებოდა პირველყოფილი ადამიანის მინიმალურ საარსებო დონეს. ბუნებრივი არსებობის უზრუნველსაყოფად ადამიანებმა უნდა გააერთიანონ თავიანთი წარმოების საშუალებები და შრომა. ამიტომ, საზოგადოების ცხოვრების საფუძველში იდო საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, ხოლო შრომის პროდუქტების განაწილება ხორციელდებოდა თანასწორობის საწყისებზე. საზოგადოების ყველა წევრი<sup>9</sup> ერთნაირად შრომობდა და იღებდა საზოგადოებრივი პროდუქტის ერთნაირ ნაწილს.

პირველყოფილი საზოგადოების ორგანიზების საფუძველი იყო თემი-გვარი, ტომი, მათი გაერთიანებები. გვარი (გვაროვნული თემი) ესაა ადამიანების სისხლით ნათესაობაზე და ასევე ქონებისა და შრომის ერთიანობაზე დაფუძნებული გაერთიანება. გვარი ყალიბდება უფრო ორგანიზებული ოჯახური ურთიერთობების წარმოქმნის პერიოდში, როცა უწყესრიგო სქესობრივ კავშირებს ენაცვლება ოჯახი, რომელიც ეფუძნება კოლექტიურ ქორწინებას. თითოეული გვარი გამოდის სამეურნეო ერთეულის სახით, წარმოების საშუალებების მესაკუთრებად, საერთო შრომის ორგანიზატორად.

გვარი ესაა პირადი და არა ტერიტორიული კავშირი. ადამიანები მასში ერთიანდებოდნენ არა ტერიტორიის ნიშნით, არამედ ნათესაური კავშირებით და სადაც თავმოყრილი იყო მათი ეკონომიკური, ზნეობრივი, რელიგიური და სხვა ინტერესები. გვარებს

შეძლოთ გადაადგილება ერთი ტერიტორიიდან მეორეზე, მაგრამ ამასთან არ ხდებოდა მათი ორგანიზაციის შენარჩუნება.

ხელისუფლება ატარებდა ღრმა საზოგადოებრივ ხასიათს. ის გამოდიოდა გვარიდან, რომელიც უშუალოდ აყალიბებდა თვითმმართველობის ორგანოებს. სახელისუფლებო ფუნქციებს ახორციელებდნენ გვარის უფროსი წევრები. საზოგადოებრივი ხელისუფლების ორგანოებს, პირველყოფილი თემური წყობილების დროს, წარმოადგენდნენ გვაროვნული კრებები; უხუცესები (ბელადები), რომელსაც ირჩევდნენ გვარის ყველაზე ავტორიტეტული, საპატივსაცემო წევრებიდან; სამხედრო მეთაურები, რომლებიც ასრულებდნენ ხელისუფლების ფუნქციას ომის დროს. ხელისუფლების რელიგიური ფუნქციები სრულდებოდა ქურუმების მიერ. ყველა ეს თანამდებობის პირი შეიძლება შეცვლილი ყოფილიყო გვარის კრებით და მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებდნენ მისი კონტროლის ქვეშ. სპეციალური აპარატი, რომელიც იქმნებოდა მხოლოდ საზოგადოებრივი საქმეების მმართველი, გვაროვნულ ორგანიზაციაში არ იყო გვარის საქმიანობისა და ცხოვრების ყველა ძირითად საკითხს წყვეტდა სახალხო კრება.

გვარები შედიოდნენ უფრო მსხვილ გაერთიანებებში. გვარების გაერთიანების უმაღლეს ფორმას წარმოადგენდა ტომი, ზოგჯერ კი, ტომების კავშირიც. ტომების საერთო საქმეებს მართავდა საბჭო, რომელიც შედგებოდა გვარის უხუცესებისა და სამხედრო მეთაურებისგან.

პირველყოფილ საზოგადოებაში მოქმედებდა ქცევის გარკვეული წესები-სპეციალური ნორმები. ასეთ ნორმებს წარმოადგენდა წესჩვეულებები ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებული წესები, რომლებიც ჩვევაში გადაიზარდნენ ხანგრძლივი დროის მანძილზე მრავალჯერადი გამოყენების შედეგად და იქცნენ ადამიანთა ბუნებრივ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებად. ისინი არეგულირებდნენ შრომას, გვარის წევრების ყოფას, ოჯახური ურთიერთობებს ანუ წარმოადგენდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორს. მრავალი მათგანი ამავდროულად წარმოადგენდა პირველყოფილი მორალისა და რელიგიის ნორმებს, უკავშირდებოდა დამკვიდრებული წესებისა და რიტუალების შესრულებას.

პირველყოფილი წეს-ჩვეულებების დამახასიათებელი ნიშნები კლინდებოდა შემდეგში:

– ისინი ამოდინდნენ გვარიდან და გამოხატავდნენ მის ნებასა და ინტერესებს;

– ისინი მოქმედებდნენ ჩვევის ძალით, მათი შესრულება ხდებოდა ნებაყოფლობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი დაცვა უზრუნველყოფილი იყო მთელი გვარით. არ არსებობდა ჩვეულებების ურყეობის დამცავი სპეციალური ორგანოები. ჩვეულებების დამრღვევების მიმართ საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ დარწმუნებას (შთაგონებას), ზოგჯერ – იძულებასაც, რომელიც გამომდინარეობდა მთელი გვარის ან ტომისგან.

– მაშინ არ იყო არანაირი განსხვავება გვაროვნული საზოგადოების წევრების უფლებებსა და ვალდებულებებს შორის: უფლება აღიქმებოდა, როგორც ვალდებულება, ხოლო ვალდებულება, როგორც უფლება.

მაშასადამე, საზოგადოებრივი ხელისუფლება და ქცევის ნორმები სახელმწიფომდელი საზოგადოების ეპოქაში შეესაბამებოდა მისი ეკონომიკური, სოციალური, ინტელექტუალური, კულტურული და სულიერი განვითარების, თავად ადამიანის სიმწიფის დონეს.

### §3. სახელმწიფოს წარმოქმნის მიზეზები

პირველყოფილი საზოგადოების ხანგრძლივი, მაგრამ შეუწყვეტელი განვითარების პროცესში თანდათან იქმნებოდა წინაპირობები მისი თვისობრივი გარდაქმნისთვის. შრომის იარაღების სრულყოფის მიხედვით ადამიანები დაეუფლნენ ახალ საწარმოო ჩვევებს, იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, კულტურა, ზნეობრიობა, სულ უფრო მრავალგვარი და წინააღმდეგობრივი იყო საზოგადოების წევრთა ინტერესები.

მნიშვნელოვანი როლი პირველყოფილიდან წარმოების თვისობრივად ახალ ხერხზე გადასვლაში ითამაშა შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ, რომელმაც შეცვალა შრომის ფუნქციების ბუნებრივი განაწილება მამაკაცსა და ქალს შორის. შრომის

ყველაზე დიდი, პირველი საზოგადოებრივი განაწილება იყო მესაქონლეობის გამოყოფა მიწათმოქმედებისგან. შემდეგ მიწათმოქმედებისგან გამოიყო ხელოსნობა. მოგვიანებით, გამოიყო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაკავებული იყო საქონლის გაცვლით — ვაჭრები.

შრომის საზოგადოებრივმა განაწილებამ და მასთან დაკავშირებულმა შრომის იარაღების სრულყოფამ ბიძგი მისცა შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ პირობებში ადამიანი აწარმოებდა პროდუქტის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე ეს საჭირო იყო მისი საკუთარი ცხოვრების მხარდასაჭერად? ამის შედეგად გაჩნდა ჭარბი პროდუქტი, რამაც, საბოლოო ჯამში გამოიწვია კერძო საკუთრების წარმოქმნა.

როგორ ხდებოდა ეს? ჭარბი პროდუქტი ქმნიდა შრომის იარაღების, საქონლის მარაგის, ხოლო მოგვიანებით კი, მიწის განცალკევებული ნაკვეთების დაგროვების შესაძლებლობას ცალკეულ ოჯახებში, მათ მეთაურებში, უპირველეს ყოვლისა კი, უზუცესებსა და სამხედრო მეთაურებში. ასე გაჩნდა კერძო საკუთრება. საზოგადოება დაიყო ქონებრივი ნიშნის მიხედვით, გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები, მათი ინტერესები კი, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. პირველები მიიხწრაფოდნენ ეკონომიკური უპირატესობის განმტკიცებისკენ, სხვები — საკუთარი დამოკიდებული მდგომარეობის შეცვლისკენ.

ასეთ ეკონომიკურ პირობებში ხელისუფლების გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაცია უძლური აღმოჩნდა. ის არ იყო მორგებული საიმისოდ, რომ ემართა ისეთი საზოგადოების საქმეები, რომელშიც ინდივიდთა ინტერესები იყო შეუთავსებელი. ამიტომ საჭირო იყო სხვა სახელისუფლებო ორგანო, რომელიც შეძლებდა უზრუნველყო საზოგადოების ზოგიერთი წევრის ინტერესების უპირატესობა მეორის ხარჯზე. ასეთ პირობებში საზოგადოებრივი დამოკიდებულებების კოორდინაცია კარგავს წონასწორობას. საზოგადოება, მისი ეკონომიკურად არათანაბარ ადამიანთა ჯგუფებად (კლასებად) დაყოფის მიხედვით, ობიექტურად ქმნის ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციას, რომელმაც, ერთის მხრივ, უნდა დაიცვას შეძლებულთა ინტერესები, ხოლო, მეორეს

მხრივ, შეაკავოს წინააღმდეგობა მათსა და საზოგადოების ეკონომიკურად დამოკიდებულ ნაწილს შორის. საზოგადოებიდან გამოყოფილ, ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა სახელმწიფო. ფ. ენგელსი ლუის მორგანის მრავალწლიან კვლევებზე დაყრდნობით წერდა, რომ სახელმწიფოს წყალობით ეკონომიკურად გაბატონებული კლასი ხდება პოლიტიკურადაც გაბატონებული.

**სახელმწიფო** — განსაკუთრებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც პირველყოფილი საზოგადოების ხელისუფლების ორგანიზაციისგან განსხვავებით შედგება მუდმივად საზოგადოებრივი საქმეების მართვით დაკავებული სპეციალური ორგანიზაციისგან. სახელმწიფო — ორგანიზებული საზოგადოების პირველ ფორმას წარმოადგენდა მონათმფლობელური საზოგადოება, რომელიც ძირითადად იყოფოდა მონებად და მონათმფლობელებად. მათი ინტერესების შეურიგებლობა უზრუნველყოფდა, აკაკვებდა და კოორდინირებას უწევდა მონათმფლობელურ სახელმწიფოს. მისი სტრუქტურა, საქმიანობის შინაარსი შეესაბამებოდა თავად საზოგადოების განვითარების დონეს.

ვ.ი. ლენინი წერდა, რომ „სახელმწიფო არის იმ კლასობრივ დაპირისპირებათა შეურიგებლობის პროდუქტი და გამოვლენა, რომლებიც ობიექტურად არ შეიძლება იყოს შერიგებული“.

ფ. ენგელსი ასახელებს სახელმწიფოს წარმოქმნის სამ ძირითად ფორმას: ათენისეულს, რომაულსა და ძველგერმანულს. ათენი — სახელმწიფოს წარმოქმნის ყველაზე სუფთა, კლასიკური ფორმაა, რამდენადაც სახელმწიფო უშუალოდ აღმოცენდება გვაროვნული წყობილების შიგნით განვითარებული კლასობრივი დაპირისპირებიდან. რომში სახელმწიფოს წარმოქმნა დაჩქარდა რომაული გვარების გარეთ მცხოვრები, უუფლებო პლებეების ბრძოლით რომის გვაროვნული არისტოკრატების (პატრიციების) წინააღმდეგ. ძველგერმანული სახელმწიფოს წარმოქმნას უმეტესწილად ხელი შეუწყო ვრცელი, უცხო ტერიტორიების დაპყრობამ, რომელზე ბატონობისთვის გვაროვნული ორგანიზაცია არ იყო შეგუებული.

**სახელმწიფოს წარმოშობის მატერიალისტური** (კლასობრივი) თეორია გამომდინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, აღმოცენდა ეკონომიკური მიზეზების: შრომის

საზოგადოებრივი დაყოფის, ჭარბი პროდუქტის და კერძო საკუთრების წარმოქმნის, შემდეგ კი, საზოგადოების საპირისპირო ეკონომიკური ინტერესების კლასებად დაყოფის ძალით. სახელმწიფო წარმოიქმნება, როგორც ამ პროცესების ობიექტური შედეგი, რომელიც დათრგუნვისა და მართვის სპეციალური საშუალებებით აკავებს ამ კლასების წინააღმდეგობას, უზრუნველყოფს რა უპირატესად ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ინტერესებს.

ვ.ი. ლენინი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მათ, ვინც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო გამოდის კლასების შერიგების ორგანოდ. ის წერდა: „მარქსის მიხედვით, სახელმწიფო არის კლასობრივი ბატონობის ორგანო, ერთი კლასის მეორეთი დათრგუნვის ორგანო, „წესრიგის“ შექმნა, რომელიც აკანონებს და ამტკიცებს ამ დათრგუნვას, ახდენს რა კლასების შეჯახების ზომიერებაში ყოფნას“.

განსაზღვრავდა რა საკუთარ დამოკიდებულებას სახელმწიფოს არსისა და დანიშნულების მიმართ, ლენინი არაერთხელ უსვამდა ხაზს იმას, რომ სახელმწიფო არის მანქანა ერთი კლასის მეორეზე გაბატონების შენარჩუნებისთვის.

მატერიალისტური თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო წარმოიქმნება საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგად. აქედან კეთდება დასკვნა: სახელმწიფო არის ისტორიულად გარდამავალი, ღროვებითი მოვლენა – ის წარმოიქმნა კლასების აღმოცენებასთან ერთად და ის, ასევე უნდა მოკვდეს კლასების გაქრობასთან ერთად.

სახელმწიფოს წარმოშობის სხვა კონცეფციებისა და თეორიების წარმომადგენლები თვლიან მატერიალისტური თეორიის დებულებებს ცალმხრივად, არასწორად, რამდენადაც ისინი არ ითვალისწინებენ ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ, ზნეობრივ, ეთნიკურ და სხვა ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოების ჩამოყალიბებასა და სახელმწიფოს წარმოქმნას. ამის მიუხედავად, შერშენევიჩი თვლის, რომ ეკონომიკური მატერიალიზმის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს ეკონომიკური ფაქტორის გამოყოფილი მნიშვნელობის დამტკიცებაში, რომლის წყალობითაც „საბოლოო ჯამში“ შესაძლებელია „ადამიანის ძალი და კეთილშო-

ბილური გრძნობების დაკავშირებაც კი მისი არსებობის მატერიალურ მხარესთან“ „ნებისმიერ შემთხვევაში – აგრძელებს შერშენევიჩი – ეკონომიკური მატერიალიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჰიპოთეზას საზოგადოების შესახებ მოძღვრებაში, რომელსაც შეუძლია ყველაზე უკეთ ახსნას მთელი რიგი საზოგადოებრივი მოვლენები“.

წარსული და აწმყო დროის მეცნიერულმა აზრმა წარმოშვა სახელმწიფოს წარმოქმნის მთელი რიგი თეორიები. მათგან ძირითადს წარმოადგენს ბუნებრივ-სამართლებრივი (შეთანხმებითი), ორგანული, ფსიქოლოგიური, ძალადობის თეორია, ეკონომიკური თეორია, რომელზეც საუბარი იყო ზემოთ.

**სახელმწიფოს წარმოშობის ბუნებრივ-სამართლებრივი თეორია.** მოცემული თეორიის საფუძველს წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს წინ უსწრებდა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა. ადამიანების ცხოვრების პირობები და ადამიანური ურთიერთდამოკიდებულებების ხასიათი ბუნებრივ მდგომარეობაში წარმოდგენილი იყო არაერთმნიშვნელოვანად. ჰობსმა ბუნებრივი მდგომარეობა პირადი თავისუფლების გაბატონებაში დაინახა, რაც იწვევდა „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“; რუსო თვლიდა, რომ ესაა თავისუფლების მშვიდობიანი იდილიური პირველყოფილი სამეფო; ლოკი წერდა, რომ ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა მის შეუზღუდავ თავისუფლებაშია.

**ბუნებრივი სამართლის მომხრეები სახელმწიფოს თვლიან იურიდიული აქტის – საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგად, რომელიც წარმოადგენს ხალხის გონივრული ნების გამოხატულებას, ადამიანურ დაფუძნებას ან გამოგონებასაც კი.** ამიტომ მოცემული თეორია უკავშირდება მექანიკურ წარმოდგენას სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, რომელიც გამოდის, როგორც თავისუფლებისა და წესრიგის უკეთესი უზრუნველყოფის გამო გაერთიანებულ ადამიანთა შეგნებული ნების ხელოვნური წარმონაქმნი.

**მაგალითად, გოლბახი საზოგადოებრივ შეთანხმებას განსაზღვრავდა, როგორც პირობების ერთობლიობას საზოგადოების ორგანიზებისა და დაცვისთვის. დიდრომ საზოგადოებრივი შეთ-**

ანხმების გაგების არსი შემდეგი სახით გადმოსცა: „ადამიანები სწრაფად მიხვდნენ, — წერდა ის — რომ თუ ისინი გააგრძელებენ თავისუფლების გამოყენებას, მაშინ თითოეული, ცალკე აღებული ადამიანის მდგომარეობა უფრო უბედური გახდება იმასთან შედარებით, მას მარტო, რომ ეცხოვრა; მათ გააცნობიერეს, რომ თითოეულ ადამიანს სჭირდება თავისი ბუნებრივი დამოუკიდებლობის ნაწილის დათმობა და ნებისთვის დამორჩილება, რომელიც იქნებოდა მთელი საზოგადოების ნება და ასე ვთქვათ, მთელი მათი ნებისა და ძალების ერთიანობის საერთო ცენტრი და პუნქტი. ასეთია ხელმწიფეთა წარმოშობა“.

**შეთანხმებითმა თეორიამ** კლასიკური დასაბუთება ჰპოვა რუსოს შრომებში. ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ის მივიდა დასკვნამდე, რომ მმართველებმა სახელმწიფოს შეხედეს, როგორც თავიანთ საკუთრებას, ხოლო მოქალაქეებს, როგორც მონებს. ისინი იქცნენ დესპოტებად, ხალხის მჩაგვრელებად. რუსოს მიხედვით, დესპოტიზმი საზოგადოებრივ განსხვავებათა უმაღლესი და უკიდურესი გამოვლინებაა: მდიდრებისა და ღარიბების უთანასწორობა, როგორც კერძო საკუთრების შედეგი; ძლიერებისა და სუსტების უთანასწორობა, როგორც ძალაუფლების შედეგი; ბატონებისა და მონების უთანასწორობა, როგორც კანონიერი ხელისუფლების თვითნებური ხელისუფლებით გათელვის შედეგი. ეს უთანასწორობა ხდება ახალი უარყოფითი თანასწორობის მიზეზი: დესპოტის წინაშე ყველა თანასწორია, რამეთუ თითოეული უდრის ნულს. თუმცა, ეს უკვე არაა პირველყოფილი ადამიანების ძველი ბუნებრივი თანასწორობა, არამედ თანასწორობა, როგორც ბუნების დამახინჯება.

**რუსო თვლის**, რომ მართლზომიერი სახელმწიფო მოწყობისა და ჭეშმარიტი თანასწორობისა და თავისუფლების აღდგენისთვის საჭიროა თავისუფალი საზოგადოებრივი შეთანხმების არსებობა. ამ შეთანხმების მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ „ნაპოვნი იქნეს ასოციაციის ისეთი ფორმა, რომელიც დაიცავს მთელი ძალების ერთობლიობით თითოეული მონაწილის პიროვნებას და ქონებას და სადაც თითოეული, ყველასთან კავშირში დაემორჩილება მხოლოდ საკუთარ თავს და დარჩება ისე-

თივე თავისუფალი, როგორც ის იყო ადრე”.

საკუთარი შეხედულებების შეჯამებისას რუსო წერდა: „თითოეული ჩვენგანი პიროვნებას და ძალისხმევას გადასცემს საერთო ნების უზენაეს ხელმძღვანელობას და ჩვენ თითოეულ წევრს ვცდებით, როგორც მთელის განუყოფელ ნაწილს“. ამგვარად, საზოგადოებრივი შეთანხმება არ არღვევს ბუნებრივ თანასწორობას, უფრო მეტად, ის უზენაეს უთანასწორობას ცვლის მორალური და კანონიერი თანასწორობით.

საზოგადოებრივი შეთანხმების თეორია ეძღვნა კრიტიკის ქვეშ სხვადასხვა მიზეზის გამო. ასე მაგალითად, კორკუნოვი ვარაუდობდა, რომ შეთანხმებით საწყისები საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმონაქმნი იწვევენ საზოგადოებრივი ცხოვრების საკმაოდ ინდივიდუალურ გაგებას ამასთან, პიროვნება „ადიარებული იყო ყველას ბატონად და ყველაფრის განმსაზღვრელად. არა პიროვნება ითვლებოდა საზოგადოებრივი გარემოს განმსაზღვრელად, არამედ პირიქით: საზოგადოებრივი წესრიგი იყო მთლიანად ცალკეული პიროვნებების თვითებობას განმსაზღვრელი“.

შერშენევიჩი წერდა, რომ მექანიკური წარმოდგენის მომხრეები იშვიათად იდგნენ ისტორიული სინამდვილის თვალსაზრისზე, რამდენადაც საზოგადოებრივი შეთანხმება მათთვის მხოლოდ მეთოდოლოგიური ხერხია. „მათთვის მნიშვნელოვანი არაა, იყო ეს ასე ისტორიაში თუ არა, მაითვის მნიშვნელოვანია დაამტკიცოს, რა სახე უნდა მიიღოს საზოგადოებამ, თუ ვივარაუდებთ, რომ მის საფუძველში დევს ყველას თანხმობით განპირობებული საზოგადოებრივი შეთანხმება, რომლის გარეშეც არავის არ შეუძლია თავი ჩათვალოს საზოგადოებრივი კავშირებით შებოჭილად“.

ასეთივე პოზიციიდან აფასებს შეთანხმებით თეორიას ტრუბეცკოი. ის ამტკიცებს, რომ „საზოგადოება კი არაა ადამიანის თავისუფალი შემოქმედების პროდუქტი, არამედ პირიქით, ადამიანი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი პირობების, გარკვეული ისტორიული გარემოს პროდუქტი, მთელის კანონებისადმი დამორჩილებული სოციალური ორგანიზმის ნაწილი“.

ა.ი. დენისოვი იყო რა სახელმწიფოს წარმოქმნის მატერიალისტური თეორიის მომხრე წერდა, რომ „შეთანხმებითი თეორია ანტიისტორიულია, რამეთუ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველში დევს ინდივიდი, ადამიანი. ამასთან, ეს თეორია ცალმხრივია: იმის ხაზგასმით, რომ ისტორიული განვითარება უნდა განისაზღვროს ადამიანის ბუნებით, ის არ ხედავს იმას, რომ ადამიანი ზეგავლენას ახდენს ბუნებაზე და ქმნის თავისთვის არსებობის ახალ პირობებს“.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვა კონცეფციების მომხრეები მას კრიტიკულად უყურებენ და მასში პოულობენ არსებით ნაკლოვანებებს. ეს სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც სახელმწიფოს წარმოქმნის ნებისმიერი, წარსულში და ამჟამად არსებული თეორია წარმოადგენს მხოლოდ ობიექტური წესის პროცესებზე ადამიანის აზრის სუბიექტურ შეხედულებას. სახელმწიფოს წარმოქმნისა და ფუნქციონირების, საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებების შეცნობა საკმაოდ რთული ამოცანაა, როგორც ამას ისტორია ამტკიცებს. მისი გადაწყვეტა შესაძლებელია სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხებით დაკავებული სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების მეცნიერული ძალისხმევის ერთდროული ინტეგრაციისა და დიფერენციაციის საფუძველზე.

იმის მიუხედავად, რომ შეთანხმებითი თეორიის მეცნიერულობა ფასდებოდა საკმარისად არაერთმნიშვნელოვნად და წინააღმდეგობრივად, მისი ისტორიული დამოუკიდებლობის სრულ უარყოფამდეც კი, ამის მიუხედავად მოცემული კონცეფციის ზოგიერთმა ასპექტმა რეალური ასახვა ჰპოვა სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკაში. ამის მაგალითად გამოდგება ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც თავის კონსტიტუციაში იურიდიულად განამტკიცა შტატების შემადგენლობაში შემავალ ხალხს შორის შეთანხმება: მართლმსაჯულების დამტკიცება, შიდა სიმშვიდის დაცვა, ერთობლივი თავდაცვის ორგანიზაცია, ხელშეწყობა საერთო კეთილდღეობისათვის. რუსი იურისტების გარკვეულ ჯგუფს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირსაც ასევე მიაჩნიათ შეთანხმების საფუძველზე შექმნილ სახელმწიფოდ, რაც აშკარად მცდარი წარმოდ-

გენაა, რადგან მეტნაკლები ხარისხით ეს იყო ოკუპაცია, ან ინტერვენცია, ან როგორც ხშირად ამბობენ ანექსია, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ამგვარად, შეთანხმების თეორიის ელემენტებს გააჩნიათ რეალური ისტორიული ნიადაგი.

**ორგანული თეორია.** წარმოდგენები სახელმწიფოს, როგორც ადამიანის ორგანიზმის თავისებური მსგავსების შესახებ ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ძველბერძენი მოაზროვნეების მიერ. მაგალითად, **პლატონი** სახელმწიფოს სტრუქტურასა და ფუნქციებს ადარებდა უნარებსა და ადამიანის სულის მხარეებს. **არისტოტელე** თვლიდა, რომ სახელმწიფო უმეტესად ჰგავს ცოცხალი ადამიანის ორგანიზმს და ამის საფუძველზე უარყოფდა ადამიანის, როგორც იზოლირებული არსების არსებობის შესაძლებლობას. ის თავის შეხედულებებს ხატოვნად ასაბუთებდა შემდეგი შედარებით: ისევე, როგორც ხელებსა და ფეხებს ადამიანის სხეულისგან მოწყვეტით არ შეუძლია დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ასევე ადამიანს არ შეუძლია არსებობა სახელმწიფოს გარეშე.

**ორგანული თეორიის არსი ასეთია:** საზოგადოება და სახელმწიფო წარმოდგენილია, როგორც ორგანიზმი და ამიტომ, მათი არსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამ ორგანიზმის აგებულებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე. საზოგადოებისა და სახელმწიფოს წყობასა და საქმიანობაში ყოველივე გაურკვეველი შეიძლება აიხსნას ანატომიისა და ფიზიოლოგიის კანონზომიერებების ანალოგიის მიხედვით.

ორგანული თეორია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელს წარმოადგენს ჰერბერტ სპენსერი, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა XIX ს-ში. ჰ. სპენსერის აზრით, სახელმწიფო არის გარკვეული საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომელიც შედგება ცალკეული ადამიანებისგან იმის მსგავსად, რომ ცოცხალი ორგანიზმი შედგება უჯრედებისგან. მოცემული თეორიის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ერთდროულად წარმოიქმნება თავის შემადგენელ ნაწილებთან – ადამიანებთან ერთად და ის იარსებებს მანამ, სანამ არსებობს საზოგადოება. სახელმწიფო ხელისუფლება – ესაა მთელის ბატონო-

ბა თავის შემადგენელ ნაწილებზეც, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ საკუთარი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. თუ ორგანიზმი ჯანმრთელია, მისი უჯრედებიც ნორმალურად ფუნქციონირებენ. ორგანიზმის ავადმყოფობა საიმპრობინს ქვეშ აყენება. მის შემადგენელ უჯრედებს და პირიქით, ავადმყოფი უჯრედები ამცირებენ მთელი ორგანიზმის ფუნქციონირებას ეფექტურობას.

ასეთი წარმოდგენა სახელმწიფოს შესახებ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს გულუბრყვილოდ და არამეცნიერულად. თუმცა მასში არის არსებითი რაციონალური მარცვალი. რომელსაც შესაძლოა მიუბრუნდეს ჩვენი მეცნიერება. სპენსერის მტკიცება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს თეორია ვახდება მეცნიერული მხოლოდ ამ პირობით, თუ ის აღიქვამს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცნებებსა და მეთოდოლოგიას, არაა მოკლებული ობიექტურ აზრს.

**ჯერ ერთი,** სოციალური ცხოვრების კანონები ვახსიანდრება ბუნებრივი კანონებით. ადამიანი ხდება საზოგადოებრივი არსება, არის რა ბიოლოგიურად ჩამოყალიბებული ინდივიდი. რომელსაც გააჩნია ნება და შეგნება. პირველად ის წარმოადგენს ბუნების შემოქმედს. შემდეგ — საზოგადოების წევრს, მოგვიანებით — სახელმწიფოს მოქალაქეს. გასაკებია რომ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის გაქრობა აშავდროულად იქნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაღუპვა. მაშასადამე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აუცილებელია ადამიანის განვითარების ბუნებრივი და სოციალური კანონების ჰარმონია.

**მეორე** — ორგანულ თეორიას საკმაოდ მკაფიოდ შემოაქვს სისტემური ნიშანი საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ ცნებაში. მისი მომხრეების უდიდესი უმრავლესობა თვლის, რომ საზოგადოება და მისი სახელმწიფო ორგანიზაცია არის რთული სისტემა, რომელიც შედგება ურთიერთმოქმედი და ურთიერთგანპირობებული ელემენტებისგან.

**მესამე** — ორგანული თეორიით ხდება საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების დიფერენციაციისა და ინტეგრაციის დასაბუთება (სპენსერი). მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ შრომის დაყოფა იწვევს საზოგადოე-

ბის დიფერენციაციას, მის დაყოფას კლასებად, რაც წარმოადგენს ყოველგვარ ეკონომიკურად განვითარებული საზოგადოების თვისებას. მეორეს მხრივ, ინტეგრაცია ადამიანებს აერთიანებს სახელმწიფოში, რომლის მეშვეობითაც მათ შეუძლიათ დააკმაყოფილონ და დაიცვან თავიანთი ინტერესები.

**ძალადობის თეორია.** ამ თეორიის იდეური სათავეები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მონათმფლობელობის ეპოქაში. მისი წარმომადგენლები თვლიდნენ, რომ სახელმწიფო წარმოიქმნება ძალადობისა და დაპყრობის შედეგად. ძალადობის თეორიამ უფრო გავრცობილი მეცნიერული დასაბუთება ჰპოვა XIX-XX საუკუნეებში. მისი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოქმნა წარმოადგენს შინაგანი და გარეგანი ძალადობის შედეგს ანუ პირდაპირი პოლიტიკურ მოქმედების გზას. სახელმწიფო აგრძელებს ჩაგვრის ორგანოდ ყოფნას მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ჯერაც არ წაშლილა იურიდიული განსხვავებები გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის.

ძალადობის თეორიის ყველაზე დამახასიათებელი თვისებები გადმოცემულია ე. დიურინგის, ლ. გუშპლოვიჩის, კ. კაუტსკის და სხვათა ნაშრომებში. დიურინგი თვლიდა, რომ საზოგადოებრივი განვითარების საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური დამოკიდებულებების ფორმები, **ხოლო ეკონომიკური მოვლენები** — ესაა პოლიტიკური აქტების შედეგი. სახელმწიფოს წარმოქმნის თავდაპირველი ფაქტორი უნდა ვეძებოთ უშუალოდ პოლიტიკურ ძალაში. **დიურინგის** აზრით, საზოგადოება შედგება მინიმუმ ორი ადამიანისგან. ორი ადამიანის ნება, როგორც ასეთი ერთმანეთის ტოლია და არც ერთ მათგანს არ შეუძლია წაუყენოს მეორეს არანაირი დადებითი მოთხოვნა. საქმის ასეთი მდგომარეობისას, როცა საზოგადოება შედგება ორი თანასწორი პირისგან, უთანასწორობა და მონობა შეუძლებელია. სახელმწიფოს წარმოქმნის ასახსნელად **დიურინგი** ხატოვნად იყენებს მესამე ადამიანს, რამდენადაც ამის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით, ხოლო ასეთი გადაწყვეტილებების ანუ უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობის გარეშე არ შეიძლება წარმოიქმნას სახელმწიფო. მისი აზრით, საკუთრება, კლასები და

სახელმწიფო წარმოიქმნება, როგორც საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე ძალადობის შედეგი.

ავსტრიელი სოციოლოგი და სახელმწიფოთმცოდნე გუმპლოვიჩი წარმოადგენს გარე ძალადობის თეორიის წარმომადგენელს ამ თეორიის თანახმად, სახელმწიფო წარმოიქმნება ძლიერი ტომის მიერ უფრო სუსტის დაპყრობის შედეგად. დაპყრობათა შედეგად ჩნდება მონობა: ერთი ტომი, რომელმაც გაიმარჯვა ბრძოლაში ხდება გაბატონებული; დამარცხებული მეორე ტომი კი, კარგავს თავისუფლებას და ვარდება მონის მდგომარეობაში. მონობა, თავის მხრივ, იწვევს კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოქმნას. კერძო საკუთრებას უკავშირდება და მისით განპირობებულია მომთაბარული ყოფიდან მიწათმფლობელურზე, ბინადარ ყოფაზე გადასვლა. გუმპლოვიჩის აზრით, სახელმწიფო ხელისუფლება წარმოიქმნება ფიზიკური ძალისგან: ტომის ბატონობა, რომელიც თავიდან ეფუძნებოდა მხოლოდ სხვა ტომზე ფიზიკურ უპირატესობას, თანდათან გადაიქცა ამ უკანასკნელის ეკონომიკურ სიძლიერეზე დაფუძნებული კლასის ხელმწიფებად.

კაუტსკი ასევე ხედავს სახელმწიფოს წყაროს გარე ძალადობაში, ომებში. მისი მტკიცებით, ტომი-გამარჯვებული იმორჩილებს დამარცხებულს, იტაცებს ამ ტომის მიწას, შემდეგ კი, აიძულებს მას სისტემატურად იმუშაოს მასზე, გადაიხადოს ხარკი ან ბევარა. ასეთი დაპყრობის შედეგად ჩნდება კლასებად დაყოფა, ხოლო გამარჯვებულის მიერ დამარცხებულთა სამართავად შექმნილი იძულების აპარატი იქცევა სახელმწიფოდ. მხოლოდ იქ, წერს კაუტსკი, სადაც ადგილი აქვს გარე ძალადობას „წარმოიქმნება კლასებად დაყოფა, მაგრამ არა თემის სხვადასხვა ქვედანაყოფად დაყოფის, არამედ ორი თემის ერთში გაერთიანების შედეგად, რომელთაგან ერთ-ერთი ხდება გაბატონებული და მამუკლუატირებელი, მეორე კი — დაჩაგრული და ექსპლუატირებული კლასი“.

რასაკვირველია, ძალადობის თეორიაში არსებობს ეკონომიკური კონცეფციის ელემენტები. თუმცა, ეს ორი თვალსაზრისი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის მიზეზებზე, არ ემთხვევა ერთმანეთს მთავარში. თუ მარქსი და ენგელსი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო არაა საზოგადოებისთვის გარედან თავსმოხვეული ძალა,

არამედ არის მისი შიდა განვითარების შედეგი, **დიურინგი, გუმპლოვიჩი** და სხვები სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძველში აყენებენ შიდა ან გარე ძალადობის ფაქტორებს. მოცემული თეორიების პრინციპული შეუთავსებლობის მიუხედავად, ისინი მაინც იგება საერთო ბაზაზე: ადამიანის მოქმედებებზე, რომლებიც განპირობებულია მისი ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით.

ძალადობის თეორიის სრულად უარყოფა არ შეიძლება არა მხოლოდ ფორმალური მოსაზრებების გამო, არამედ ისტორიული გამოცდილების საფუძველზეც, რომელიც ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ხალხის მიერ მეორეს დაპყრობა წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის ისტორიულად დიდხანს არსებობის რეალურ ფაქტს (მაგალითად, ოქროს ურდო). როგორც შიდა, ასევე გარე ძალადობის ვლემენტები ობიექტურად არსებობდა და თან ახლდა ნებისმიერი სახელმწიფოს (რომის, ძველგერმანული სახელმწიფოს, კიევის რუსეთის) წარმოქმნის პროცესს. უფრო გვიან, უშუალო ძალადობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამერიკის სახელმწიფოს წარმოქმნაში: ბრძოლამ ჩრდილოეთსა და მონათმფლობელურ სამხრეთს შორის საბოლოო ჯამში გამოიწვია აშშ-ის მთელი სახელმწიფოებრივი სიმძლავრით წარმოქმნა. ცხადია, რომ ისტორიული სინამდვილის ეს რეალური ფაქტები მხოლოდ ნაწილობრივ ამტკიცებენ ძალადობის თეორიის ჭეშმარიტებას, მაგრამ საშუალებას არ იძლევა სრულად იქნეს იგნორირებული მისი მეცნიერული დებულებები.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული თეორიის წარმოდგენების არათანამიმდევრულობის შესახებ. ერთის მხრივ, ის აღიარებს ერთი ტიპის სახელმწიფოდან მეორეზე გადასვლის რევოლუციურ, ძალადობრივ გზას, ხოლო, მეორეს მხრივ, უარყოფს ძალადობის როლს (ფართო გაგებით) სახელმწიფოს წარმოქმნაში.

ფსიქოლოგიური თეორია. მისი მომხრეები განსაზღვრავენ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, როგორც ადამიანებს და მათი სხვადასხვა გაერთიანებების ფსიქიკური ურთიერთქმედების ჯამს. მოცემული თეორიის არსი მდგომარეობს ადამიანის ფსიქოლოგიური მოთხოვნილების დამტკიცებაში იცხოვროს ორგანიზებული სა-

ზოგადობის ჩარჩოებში და ასევე კოლექტიური უროიეროქმედების აუცილებლობის გრძობაში. საუბრობენ რა გარკვეულ ორგანიზაციაში საზოგადოების ბუნებრივი მოთხოვნილებების შესახებ. ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ საზოგადოება და სახელმწიფო არის ადამიანის განვითარების ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შედეგი.

სინამდვილეში კი, სახელმწიფოს წარმოქმნისა და ფუნქციონირების მიზეზების ახსნა მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ვითქმის შეუძლებელია. გასაგებია, რომ ყველა საზოგადოებრივი მოვლენა წყდება ადამიანების ფსიქიკური აქტების საფუძველზე და მათ გარეშე არ არსებობს რაიმე საზოგადოებრივი. ამ თვალსაზრისით, ფსიქოლოგიური თეორია განმარტავს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საკითხს, რომელიც რჩება ეკონომიკური, შეთანხმებითი, ორგანული თეორიის ყურადღების მიღმა. თუმცა, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ადამიანთა ფსიქოლოგიურ უროიეროქმედებამდე დაყვანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრების ფსიქოლოგიის საერთო კანონებით ახსნის მცდელობა ისეთივე გადაჭარბებაა, ან უფრო სწორად ძნელი, როგორც ყველა სხვა წარმოდგენა საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ.

**სახელმწიფო** — საკმაოდ მრავალწახნაგოვანი მოვლენა. მისი წარმოქმნის მიზეზები განიმარტება მრავალი ობიექტური ფაქტორით: ბიოლოგიურით, ფსიქოლოგიურით, ეკონომიკურით, სოციალურით, რელიგიურით, ეროვნულით და სხვ. ოღონდ ეს ფაქტორები სხვადასხვა ეტაპზე გამოდიან პრიორიტეტული როლით სახელმწიფო განვითარებაში. მათი ზოგადი ძეცნიერული გააზრება ალბათ შეუძლებელია რომელიმე ერთი უნივერსალური თეორიის ჩარჩოებში, თუმცა აზრის განვითარების ისტორიაში იყო ასეთი მცდელობები და საკმაოდ წარმატებულიც კი (პლატონი, არისტოტელე, მონტესკიე, რუსო, კანტი, ჰეგელი, მარქსი, პლენხანოვი, ლენინი, ბერდიაევი).

ისტორიული განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის მიზეზები უნდა ვეძებოთ ადამიანის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოქმნელი კანონზომიერებების მთელს ერთობლიობა-

ში. აქაც, მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არ იქნეს უარყოფილი სამეცნიერო მიდგომების მრავალფეროვნება კვლევის საგნის მიმართ, არამედ იგნორირებულ იქნეს მათი ობიექტური დასკვნები ზოგად თეორიაში, რაც განსაზღვრავს მოვლენის არსს არა ცალმხრივად, არამედ რეალურ ცხოვრებაში მისი გამოვლინებების მთელი მრავალფეროვნებით.

ამასთან დაკავშირებით, როგორც ყველა სხვა ასევე სრული უფლება აქვთ იარსებონ სახელმწიფოს წარმოქმნის ორგანულ და ფსიქოლოგიურ თეორიებსაც, რამდენადაც მათ მიერ გამოკვლეულია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრისა და სახელმწიფოს მოქალაქის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებები, ხოლო საზოგადოება და სახელმწიფო, როგორც ურთიერთმოქმედი ბიოლოგიური სახეობების სისტემა, რომელთაც გააჩნიათ ნება და შეგნება. ტრუბეცკოი სპენსერზე მითითებით წერს, რომ „ბიოლოგიური ორგანიზმის ნაწილებს შორის არსებობს ფიზიკური კავშირი; რაც შეეხება ადამიანებს – სოციალური ორგანიზმის ნაწილებს შორის, პირიქით – ფსიქოლოგიური კავშირი“. სახელმწიფოს წარმოქმნის შეთანხმებითი და ეკონომიკური თეორიების პოზიციებიდან ეს შეხედულებები უსუსურია. ამის მიუხედავად, ხელშეკრულება სახელმწიფო წარმონაქმნის დაფუძნების შესახებ შეიძლება დაიდოს ბიოლოგიურ ინდივიდებს შორის, რომელთაც გააჩნიათ ნორმალური ფსიქიკა. საზოგადოების განვითარება და სახელმწიფოს წარმოქმნა ეკონომიკური მიზეზების ძალით შეუძლებელია ადამიანის ფსიქიკის მონაწილეობისა და მისი ფიზიკური ძალისხმევის გარეშე.

ადამიანში თავმოყრილია მრავალი ინტერესი: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი, რელიგიური და სხვ., თუმცა, ყველა მათგანი საბოლოო ჯამში რეალიზებულია მხოლოდ ფიზიოლოგიისა და ფსიქიკის მეშვეობით.

სავსებით გასაგებია სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ პროგრესული სამეცნიერო წარმოდგენების სიჭრელე და წინააღმდეგობრიობა. მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა მათგანი ყურადღებას ამახვილებს ადამიანზე, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ღერძზე.

#### §4. სახელმწიფო, როგორც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი

**სახელმწიფო** — საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც არ შეიძლება შეიქმნას ცალკეული პირების დაუკავშირებელი ძალისხმევით. საზოგადოება არ შეიძლება არსებობდეს გარდამავალი მიზნების საფუძველზე. მას აერთიანებს საერთო, ობიექტური მიზანი, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია არც წარმოქმნა, არც განვითარება. ასეთ მიზანს წარმოადგენს ადამიანების გაერთიანება ერთიანი ხელისუფლების ქვეშ, რომელიც კოორდინაციას უწევს საზოგადოების წევრთა მრავალფეროვან ინტერესებს.

გამოეყოფა რა საზოგადოებას, სახელმწიფო ხდება მისი ძირითადი გაბატონებული პოლიტიკური ორგანიზაცია. **სახელმწიფო ხელისუფლება** — მთავარი გამაერთიანებელი. მათრგანიზებული და იძულების ძალა საზოგადოებაშია. თავისი მოქმედებით ის მოიცავს გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს.

სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოებაში წარმოიქმნება და ფუნქციონირებს სხვა ორგანიზაციებიც, რომლებიც აერთიანებს ადამიანებს სხვადასხვა ინტერესებით: პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი, პროფესიული. ესაა პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, შემოქმედებითი გაერთიანებები, ახალგაზრდული, ქალთა და რელიგიური ორგანიზაციები, საზოგადოებრივი თვითშემოქმედების, სოციალური დახმარების ორგანოები, საწარმოო კოოპერატივები და ასოციაციები, სააქციო საზოგადოებები, კერძო დაწესებულებები და ორგანიზაციები. ყველა მათგანი ასე თუ ისე მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამგვარად, ორგანულად აღწევს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ქსოვილში.

**სახელმწიფოს** განსაკუთრებული ადგილი საზოგადოებრივი წარმონაქმნების სისტემაში განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

**ჯერ ერთი**, სახელმწიფო ესაა ერთადერთი სრულძალაუფლებიანი ორგანიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მეორე - სახელმწიფო განსახლებურაგს საზოგადოების განვითარების ძირითად მიმართულებებს ყველასა და თითოეულის ინტერესებში.

მესამე - სახელმწიფო წარმოადგენს ოფიციალურ პირს (წარმომადგენელს) ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე. არასახელმწიფო ორგანიზაციებს არ ახასიათებს ასეთი თვისებები და ფუნქციები. ისინი წყვეტენ შინაარსისა და მოცულობის მიხედვით ლოკალურ ამოცანებს საზოგადოებრივი ცხოვრების მკაცრად განსახლებურულ სფეროში.

რას წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემა?

პოლიტიკური სისტემა - ესაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე შრომითი კოლექტივების მთელი ერთობლიობის ორგანიზებული გამოხატულება.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა შემადგენელი ნაწილი მჭიდროდ ორგანულ ერთიანობაში იმყოფება. ეს განპირობებულია იმით, რომ მათ წინაშე დგას ერთი საერთო მიზანი - ადამიანის კეთილდღეობა. სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ურთიერთდამოკიდებულებების საფუძველში დევს თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპები, რაც საშუალებას იძლევა ეფექტურად და მიზანშეწონილად გადაწყდეს საზოგადოებრივი განვითარების მრავალფეროვანი ამოცანები, მეტი სისრულით გაირკვეს პოლიტიკური სისტემის თითოეული რგოლის შესაძლებლობები. ამასთან ერთად, ამ ელემენტის სისტემები წყვეტენ თავიანთ კონკრეტულ ამოცანებს შენაცვლების გარეშე.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები - ესაა პოლიტიკური სისტემის დამოუკიდებელი ნაწილები. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სტრუქტურა, ორგანიზებისა და საქმიანობის პრინციპები. მათთვის დამახასიათებელია შიდა დამოუკიდებლობა მათი შიდა და საგარეო საქმეებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

წარმოადგენენ რა პოლიტიკური სისტემის შედარებით დამოუკიდებელ რგოლებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. სახელმწიფო ყოველმხრივ უჭერს მხარს საზოგადოებრივი ორგანიზაციების თვითშემოქმედებას. თავის მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ყოველმხრივ ეხმარებიან სახელმწიფოს გადაჭრან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის, მართლწესრიგის დაცვის ამოცანები, მონაწილეობენ თავად სახელმწიფო ორგანოების ფორმირებაში.

სახელმწიფო, როგორც საზოგადოების მთავარი გაბატონებული და მათგანიზებული ძალა მოწოდებულია უზრუნველყოს ყველა არასახელმწიფო ორგანიზაციის ნორმალური საქმიანობა მათი საწესდებო ამოცანების ჩარჩოებში, ხელი შეუწყოს მათ განვითარებასა და სრულყოფას. კონკრეტულად ეს გამოიხატება შემდეგში:

1. სახელმწიფო მოქალაქეებს აძლევს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების კონსტიტუციურ უფლებას და ქმნის აუცილებელ პირობებს მათი წარმატებული საქმიანობისთვის. საზოგადოებრივი ორგანიზაციები სარგებლობენ ფართო პოლიტიკური თავისუფლებით: სიტყვის, ბეჭდვის, შეკრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების. სახელმწიფო მათ საჭირო შემთხვევებში უწყევს მატერიალურ დახმარებას, ამყარებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას, მათ შორის, საწარმოს, როგორც საზოგადოებაში არსებული საკუთრების ერთ-ერთი ფორმის.

2. სახელმწიფო განსაზღვრავს ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამართლებრივ მდგომარეობას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სამართლებრივი რეგლამენტაცია სახელმწიფოს მხრიდან იზღუდება, მხოლოდ მოცემული ორგანიზაციების წესდებათა დამტკიცებით. შიდა ურთიერთობები ორგანიზაციის წევრებს შორის რეგულირდება არა სამართლით, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნორმებით.

3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა სახელმწიფო დაცვის ქვეშ იმყოფება. საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლე-

ბებისა და ინტერესების დაცვას ახორციელებს სასამართლო, პროკურატურა და სხვა სახელმწიფო ორგანიზები. ისინი ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზოგიერთი გადაწყვეტილების რეალიზაციას. მაგალითად, კოოპერატიული ან კერძო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების რეალიზაციას, თუ მათი აღსრულება არ ხდება ნებაყოფლობითი წესით. ამავე დროს, სახელმწიფო ახორციელებს ზედამხედველობას კანონების მოთხოვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შესრულებაზე და უზრუნველყოფს მათ მკაცრ შესრულებას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის, კერძო ორგანიზაციების თანამშრომლობა და ურთიერთქმედება ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობას, საზოგადოებაში რეალური დემოკრატიის რეჟიმის დამყარებას.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება ხორციელდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. პოლიტიკური სისტემის ყველა ორგანიზაციული სტრუქტურა — სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები — მოქმედებს კანონების ჩარჩოებში და საფუძველზე, რომლებიც წარმოქმნიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ ფუნდამენტს.

### სახელმწიფოს წარმოქმნა

გვაროვნული თემი — ადამიანების გაერთიანება, რომელიც ეფუძნება სისხლით ნათესაობას და ასევე ქონებისა და შრომის ერთობას

საზოგადოებრივი ხელისუფლების ორგანიზაცია

გვარის უფროსი წევრების შეკრება

მხედართმთავარი  
(სამხედრო ბელადი)

გვარის უზუცესი  
(ბელადი)

ქურუმები

პირველყოფილი საზოგადოებრივი ხელისუფლების თავისებურებები

ხელისუფლება ამოდიოდა გვაროვნული თემიდან, გვარის ყველა უფროსი წევრისგან

უზუცესების, სამხედრო ბელადების, ქურუმების არჩევა ხდებოდა გვარის წევრთა კრების მიერ; ისინი ახორციელებდნენ სახელისუფლებო ფუნქციებს მისი კონტროლის ქვეშ, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მათი გადაყენება კრების მიერ.

არ არსებობდა სპეციალური აპარატი, რომელიც დაკავებული იქნებოდა მხოლოდ მმართველობით.

## სახელმწიფოს წარმოქმნის თეორიები

### ბუნებრივ-სამართლებრივი (უმთანესებიძი)

სახელმწიფო წარმოიქმნა საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე

*(რუსო)*

### მატიერიალისტური (კლასობრივი)

სახელმწიფო არის კლასობრივ დაპირისპირებათა პროდუქტი და შეურიგებლობის გამოვლენა

*(მარქსი, ენგელსი, ლენინი)*

### ორბანული

საზოგადოება და სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანებისგან შემდგარ საზოგადოებრივ ორგანიზმს, იმის მსგავსად, რომ ადამიანის ცოცხალი ორგანიზმი შედგება უჯრედებისგან.

*(არისტოტელე, სპენსერი)*

### ფსიქოლოგიური

სახელმწიფო წარმოიქმნა ადამიანების ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების შედეგად იცხოვრონ ორგანიზებული საზოგადოების, კოლექტიური ურთიერთქმედების ჩარჩოებში.

*(პეტრაჟიცი)*

### ძალადობის თეორია

სახელმწიფო წარმოიქმნება შიდა (ეკონომიკური და პოლიტიკური) და გარე (ერთი ხალხის მიერ მეორის დაპყრობა) ძალადობის შედეგად

*(დიურინგი, გუმპლოვიჩი, კაუტსკი)*

სახელმწიფოს ადგილი საზოგადოების  
პოლიტიკურ სისტემაში

პოლიტიკური სისტემა



სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

სტრუქტურა



სახელმწიფო

საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები, პროფკავშირები, ქალთა, ახალგაზრდული, შემოქმედებითი, რელიგიური, სპორტული და სხვ.).

სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთქმედების პრინციპები



თანამშრომლობა	ერთმანეთის დახმარება და ხელშეწყობა	კომპრომისის ძიება და მიღწევა	საქმიანობის კოორდინაცია
---------------	------------------------------------	------------------------------	-------------------------

## სახელმწიფოს როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

<p>ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის ძალაუფლებაც ვრცელდება ქვეყნის მთელს მოსახლეობაზე სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში</p>	<p>გააჩნია სუვერენიტეტი, უზენაესობა სხვა ხელისუფლებასთან მიმართებაში ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობა ნებისმიერი უცხოური ხელისუფლებისგან.</p>	<p>ახდენს საზოგადოების ცხოვრების ძირითადი მხარეების კოორდინაციას.</p>
--	---	---

### კითხვები ცოლნის განმტკიცებისთვის

1. როგორია საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანაფარდობა?
2. საზოგადოებრივი ხელისუფლების შინაარსი და სტრუქტურა პირველყოფილ თემურ წყობილებაში.
3. როგორია საზოგადოების სახელმწიფომდელი ორგანიზაციის სოციალური ნორმების თავისებურებები?
4. რატომ წარმოიქმნა სახელმწიფო? რა ობიექტურმა ფაქტორებმა განაპირობეს მისი წარმოქმნა?
5. შეიძლება თუ არა ერთი მეცნიერული თეორიის ფარგლებში აიხსნას სახელმწიფოს წარმოქმნის კანონზომიერებები სხვადასხვა ხალხში? (ეგვიპტე, ინდოეთი, ჩინეთი, ბაბილონი, ათენი, რომი, გერმანია, კიევის რუსეთი და სხვ.)
6. გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო წარმოდგენის მიმართ. შეადარეთ მათი მეცნიერული დებულებები და ეცადეთ გადმოსცეთ მოცემული პრობლემის საკუთარი ხედვა.
7. რას წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური სისტემა მის ისტორიულ განვითარებაში?
8. რატომ წარმოადგენს სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითად ელემენტს?

## თავი III. სახელმწიფოს ცნება და არსი

§1. სახელმწიფოს განსაზღვრათა მრავალფეროვნება.

§2. სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები. §3. სახელმწიფოს არსი და სოციალური დანიშნულება. სახელმწიფოს ცნების განსაზღვრა.

### §1. სახელმწიფოს განსაზღვრათა მრავალფეროვნება

სახელმწიფო-საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტი. წარმოიქმნა რა საზოგადოების სიმწიფის გარკვეულ საფეხურზე ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და სხვა კანონზომიერებების შედეგად, სახელმწიფო ხდება მის ძირითად მმართველ სისტემად. სახელმწიფო-ორგანიზებულმა საზოგადოებამ შეიძინა ახალი (უნიკალური) შესაძლებლობები თავისი არსებობისთვის: საწარმოო ძალების, სოციალური დამოკიდებულებების, ზნეობრივი საფუძვლების, კულტურის, მეცნიერების, საერთაშორისო კავშირების განვითარებისთვის.

### სახელმწიფო-ისტორიულად განვითარებადი მოვლენა.

საზოგადოების წინსვლით განვითარებასთან ერთად იცვლება სახელმწიფოც, მისი მიზნები და ამოცანები, მართვის სტრუქტურები და ფუნქციები. ამის შესაბამისად იცვლება შეხედულებები სახელმწიფოს ცნებაზეც, მის როლზე და დანიშნულებაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მეცნიერული აზრი ცდილობდა განსაზღვრება მიეცა სახელმწიფოსთვის, ძირითადად იმ ობიექტური ფაქტორების გამოყენებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მოცემულ პერიოდში და ასახავდნენ ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოს თავისებურებებს.

მაგალითად, ანტიკურ სამყაროში სახელმწიფო მოიცავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მხარეებს გამონაკლისის გარეშე, ამიტომ, მასში ადამიანი სრულად იყო შთანთქმული სახელმწიფოს მოქალაქის მიერ. არისტოტელე სახელმწიფოს განსაზღვრავდა, როგორც მრავალი გვარისა და სოფლის გაერთიანების უკეთესი, სრულყოფილი ცხოვრებისთვის. ძველ ბერძნებში სახელმწიფო

ითვლებოდა მოქალაქეთა ყველა გონებრივი და ზნეობრივი ინტერესების თავმოყრისთვის. რომში ეს ამოცანა არსებითად ვიწროვდება. **ციცერონი** სახელმწიფოში ხედავს არა ადამიანის ცხოვრების უმაღლესი სრულყოფის ხორცშესხმას, არამედ სამართლის საერთო წესებითა და საერთო სარგებლით გაერთიანებულ ადამიანთა კავშირს.

გერმანელი იურისტი **რ. მოლი** 1872 წელს წერდა, რომ „სახელმწიფო არის ისეთი დადგენილებების მუდმივი, ერთიანი ორგანიზმი, რომელთაც საერთო ნების მიერ მართვის, საერთო ძალით მხარდაჭერისა და ამოქმედების მიხედვით, გააჩნიათ მოცემულ ტერიტორიაზე განსაზღვრული ხალხის ნებადართული მიზნების მიღწევისთვის ხელშეწყობა, კერძოდ, ცალკეული პიროვნებით დაწყებული დამთავრებული საზოგადოებით მანამდე, სანამ ეს მიზნები არ დაკმაყოფილდება პიროვნების საკუთარი ძალებით და სანამ ისინი შეადგენენ ზოგადი საჭიროების საგანს“.

ყურადღებას იმსახურებს ისიც, თუ როგორ განსაზღვრავდნენ სახელმწიფოს ცნებას **რუსი იურისტები**. მრავალი ასეთი განსაზღვრა საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით. მიეცა რა დიდი ხნით დავიწყებას, ისინი დღესაც წარმოადგენენ რეალურ მეცნიერულ ფასეულობას. **მაგალითად, კორკუნოვი** სახელმწიფოს განსაზღვრავს, როგორც „საზოგადოებრივ კავშირს, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ, აღიარებულ იძულებით ბატონობას თავისუფალ ადამიანებზე“. **ტრუბეცკოი** თვლის, რომ „სახელმწიფო არის ადამიანების კავშირი, რომელიც ბატონობს დამოუკიდებლად და უშუალოდ გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში“. **შერშენევიჩი და კოკოშკინი** სახელმწიფოს განმარტავენ, როგორც ერთი ხელისუფლების ქვეშ და ერთი ტერიტორიის ფარგლებში ადამიანების გაერთიანებას. **ხვოსტოვი** წერდა, რომ სახელმწიფო „ესაა გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები და იძულებითი და დამოუკიდებელი უზენაესი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული თავისუფალი ადამიანების კავშირი“.

**გუმპლოვიჩი** სახელმწიფოს განსაზღვრავს, როგორც „გარკვეული მართლწესრიგის დასაცავად გათვალისწინებული მბრძანებლობის ბუნებრივად წარმოქმნილ ორგანიზაციას“.

ამდენად, წარსულის მოაზროვნეთა უდიდესი უმრავლესობა სახელმწიფოს ძირითადად განიხილავდა სოციოლოგიური თვალსაზრისით. სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაში სახელმწიფოს ცნების სოციოლოგიურ განსაზღვრასთან ერთად ნაცადი იყო მისთვის იურიდიული განსაზღვრის მიცემაც. მისი მოძღვრება ბუნებრივად იყოფა „სოციალურად“ და „სამართლებრივად“. „რამდენადაც სამართალი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია — წერს ელინეკი, ამ უკანასკნელის შექმენება შეუძლებელია მისი იურიდიული ბუნების შესწავლის გარეშე. სამართლით მოწესრიგებულ სახელმწიფოს... უნდა ეკავოს გარკვეული ადგილი თვით სამართალში — უნდა არსებობდეს სამართლებრივი ცნება სახელმწიფოს შესახებ“. ის სახელმწიფოს განსაზღვრავს, როგორც იურიდიული სუბიექტის თვისებების მქონე ინდივიდების მიზნობრივ ერთიანობას, რომელსაც გააჩნია ნება და წარმოადგენს უფლებების მატარებელს. ამგვარ შეხედულებას სახელმწიფოზე იზიარებდა რუსი სახელმწიფოთმცოდნე ნ.მ. კორკუნოვიც.

სახელმწიფოს ჰეგელისეული გაგება ეყრდნობა მის საერთო ფილოსოფიურ სისტემას, რომელიც სახელმწიფოს განმარტავს, როგორც ადამიანის ყოფის განსაკუთრებული სულიერი საწყისების წარმოქმნას: „სახელმწიფო არის ზნეობრივი იდეის ნამდვილობა — მიზნობრივი სულისკვეთება, როგორც ცხადი, თავისთავად ნათელი, სუბსტანციონალური ნება, რომელიც აზროვნებს და იცნობს საკუთარ თავს, ასრულებს იმას, რაც იცის და რამდენადაც იცის“.

**მარქსისტულ-ლენინური** მეცნიერება სახელმწიფოს განსაზღვრავს მისი უცვლელი კლასობრივი ბუნებიდან გამომდინარე. რამდენადაც სახელმწიფო წარმოიქმნება, როგორც კლასობრივი საზოგადოების პროდუქტი საზოგადოების შეურიგებელ კლასებად დაყოფის შედეგად, „ის ზოგადად წარმოადგენს ყველაზე ძლიერი, ეკონომიკურად გაბატონებული კლასის, სახელმწიფოს, რომელიც სახელმწიფოს დახმარებით ხდება ასევე პოლიტიკურად გაბატონებული კლასი და ამგვარად იძენს საშუალებებს ექსპლუატირებული კლასის დათრგუნვისა და დაჩაგვრისთვის“. ძირითადად ყურადღებას ამახვილებს რა სოციალურ-ეკონომიკურ

ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობეს სახელმწიფოს წარმოქმნა და არსებობა, მარქსიზმ-ლენინიზმი სახელმწიფოს განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციას. „სახელმწიფო – წერს ლენინი – არის მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დაჩაგვრისთვის, მანქანა, რათა ერთი კლასის მორჩილების ქვეშ იყოს სხვა დაქვემდებარებული კლასები“.

XIX ს-ის შუა პერიოდის ბურჟუაზიული სახელმწიფოს გაანალიზებისას მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ ის „თავისი არსით არის კაპიტალისტური მანქანა, კაპიტალისტების სახელმწიფო, იდეალური კაპიტალისტი“.

შემდგომში სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარება ორიენტირებული იყო ძირითადად სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათის უფრო ღრმა გაგებაზე მის ნებისმიერ გამოვლინებაში, მათ შორის, „სოციალისტურშიც“. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ფილოსოფიურ-იურიდიული აზროვნება რჩებოდა უცვლელი სახელმწიფოზე შეხედულებებში. „სახელმწიფო – ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მიზანიცაა არსებული ეკონომიკური წესრიგის დაცვა და სხვა კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვა“.

სასწავლო ლიტერატურაში შეხედულებები სახელმწიფოზე, მისი გაგება და არსი გადმოცემული იყო უშუალოდ კლასობრივ ტონალობაში და უარყოფილი იყო ასეთ განმარტების საპირისპირო ნებისმიერი სხვა შეხედულება. „სახელმწიფოს არსი მდგომარეობს იმაში – წერდნენ ს.ა. გოლუნსკი და მ.ს. სტროგოვიჩი – რომ გაბატონებული კლასი იძულების სპეციალური აპარატის მეშვეობით იძულებით ახვევს თავს თავის ნებას მთელს საზოგადოებას: სახელმწიფო ყოველთვის არის გაბატონებული კლასის დიქტატურა“. ა.ი. დენისოვი ეყრდნობა რა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების დასკვნებს, თვლიდა, რომ „სახელმწიფო ეწოდება იმ განსაკუთრებულ ორგანიზაციას, რომლის მეშვეობითაც კლასი ახორციელებს თავის ყველანაირი კანონებით შეზღუდულ ხელისუფლებას – დიქტატურას“.

სახელმძღვანელოს „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის“ ავტორები მ.პ. კარევა, ს. ფ. კეჩიკიანი, ა.ს. ფედოსევი, ტ. ი. ფედკინი სახელმწიფოში გამოყოფს ორ კლასობრივ ელემენტს: შიდას და გარეს. ისინი მიდიან დასკვნამდე, რომ „სახელმწიფო არის ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია, ხელისუფლების აპარატი, რომლის მეშვეობითაც ეს კლასი ახორციელებს დიქტატურას, ლაგამამოდებული ჰყავს კლასობრივი მოწინააღმდეგეები და იცავს თავისი არსებობის მატერიალურ პირობებს, მათზე ყოველგვარი ხელყოფისგან მისთვის მტრული ძალების მხრიდან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ“.

გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ნაშრომებში სახელმწიფოს ცნება განიხილება უფრო უნივერსალური და არა იმდენად მკაცრი კლასობრივი პოზიციებიდან. ასე მაგალითად, მრავალტომიანი გამოცემის „სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტული-ლენინური ზოგადი თეორია“ ავტორები თვლიან, რომ სახელმწიფო „ესაა ისტორიულად გარდამავალი, საზოგადოებიდან გამოყოფილი და მისი ეკონომიკური წყობილებით განპირობებული პოლიტიკური სუვერენული ხელისუფლების კლასობრივი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს და იცავს წარმოების ძირითადი საშუალებების მესაკუთრეთა საერთო ინტერესებს“. სახელმწიფოს განსაზღვრას რამდენადმე აკონკრეტებს სახელმძღვანელო „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“ პროფესორი ს. ს. ალექსეევის რედაქციით. მასში სახელმწიფო განიხილება, როგორც „ეკონომიკურად გაბატონებული კლასის (მშრომელების მუშათა კლასის მეთაურობით – სოციალისტურ საზოგადოებაში) პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც ფლობს იძულების სპეციალურ აპარატს და თავის ბრძანებებს აძლევს სავალდებულო ძალას მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის“. რამდენადმე განსხვავებულად განსაზღვრავენ სახელმწიფოს მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორები: „სახელმწიფო-კლასობრივი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც კონცენტრირებული ფორმით გამოხატავს გაბატონებული კლასების ნებასაც,

რომელთა პოლიტიკური ხელისუფლების მატერიალურ მატარებელს წარმოადგენს საჯარო ხელისუფლება“.

კლასობრიობა, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნიშანი აღიარებული იყო საბჭოთა იურისტების უმრავლესობის მიერ. ასე მაგალითად, ვ. ს. პეტროვი თვლის, რომ საერთოდ სახელმწიფოს ან ვარკვეული ისტორიული ტიპების განსაზღვრა შეუძლებელია, მხოლოდ სახელმწიფოს მარქსისტული დიალექტიკური გაგების კათვალისწინებით, რომელიც ხსნის მის კლასობრივ არსს.

სახელმწიფოზე შეხედულებების მრავალფეროვნება, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ თავად სახელმწიფო წარმოადგენს საკმაოდ რთულ, მრავალწახნაგოვან და ისტორიულად ცვლად მოვლენას. ამ შეხედულებების მეცნიერულობა განისაზღვრება საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ პერიოდში ადამიანის აზრის სიმწიფის ხარისხით, სახელმწიფოს შესწავლისადმი მეთოდოლოგიური მიდგომების ობიექტურობით.

„საერთოდ“, სახელმწიფოს კანონზომიერებებისა და ნიშნების შემეცნება, როგორც ჩანს შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ პერსპექტივაზე მუდმივად ცვლადი ეკონომიკური, სოციალური, სულიერი, ნაციონალური, ეკოლოგიური, რელიგიური და სხვა ფაქტორების ძალით, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო-ორგანიზებული საზოგადოების შინაარსსა და სტრუქტურას. უფრო მეტიც, ხშირად სახელმწიფოს შესახებ ცნება მოცემულია არა ისტორიულ სინამდვილეში, არამედ იდეალურ წარმოდგენაში. იმის ნაცვლად, რომ განსაზღვრონ, თუ რა არის სახელმწიფო, ხშირად მხოლოდ აღწერენ იმას, თუ როგორი უნდა იყოს ის. როგორც შერშენევიჩი აღნიშნავს, მეთოდოლოგიური ამოცანა სახელმწიფოს ცნების განსაზღვრისას მდგომარეობს იმაში, რომ მას მიეცეს იმ ისტორიული მოვლენის ნიშნები, რომელიც ატარებს „სახელმწიფოს“ სახელწოდებას. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სინამდვილის საფუძველზე ცნების განსაზღვრისას, ჩვენ არ უნდა შევიტანოთ მასში — რაიმე სინამდვილეში არარსებული როლი, მეორეს მხრივ, უნდა ავიღოთ მოცემული სახის სინამდვილე სრულად, თვითნებური არჩევის დაშვების გარეშე.

სახელმწიფოს განსაზღვრა უხდა აასუხობდეს კითხვას, თუ რა არის სახელმწიფო: მის ისტორიულ ხინამდილეში და ყველა ისტორიულ გამოვლინებაში.

## §2. სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები

მეცნიერული ვაგებით, სახელმწიფოს ზოგადი ძირითადი ნიშნების ამსახველი ცნება საშუალებას იძლევა გაირკვეს საზოგადოების ნებისმიერი სახელმწიფო ორგანიზაციის განსხვავებები მისი არასახელმწიფო ორგანიზაციებისგან, საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სხვა ნაწილებებისგან. ასეთი ნიშნები წარმოადგენს საზოგადოების სახელმწიფო ორგანიზაციის გარკვეულ შედარებით უცვლელ კარკასს, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით ივსება ახალი შინაარსით, კარგავს დრომტმულ სტრუქტურებსა და ფუნქციებს და იძენს ახალს.

სახელმწიფოს ცნების სოციოლოგიური განსაზღვრის წარმომადგენლები გამოყოფენ მის სამ ნიშანს: 1) ადამიანების ერთობლიობას – ხალხს; 2) მათზე გაბატონებულ ხელისუფლებას; 3) ტერიტორიას, როგორც ამ ხელისუფლების მოქმედების ზღვარს. ეს ნიშნები ურთიერთკავშირში წარმოქმნიან გაგებას სახელმწიფოს, როგორც გარკვეული ტერიტორიის საზღვრებში ერთი ხელისუფლების ქვეშ ადამიანების გაერთიანების შესახებ. ამავდროს, შერშენევიჩი და კოკოშკინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს თითოეული მახასიათებელი ნიშანი წარმოადგენს რთულ ცნებას და ამიტომ მოითხოვს დამოუკიდებელ კვლევას.

შეხედულებები სახელმწიფოს ნიშნებზე გადმოცემულია ენგელსის მიერ ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. თავში „ბარბაროსობა და ცივილიზაცია“ ავტორი გამოყოფს სახელმწიფო-ორგანიზებული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ შემდეგ ზოგად, ძირითად ნიშნებს:

1. სახელმწიფოს ქვეშევრდომების დაყოფა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

2. განსაკუთრებული საჯარო ხელისუფლების დაფუძნება,

რომელიც უკვე უშუალოდ არ ემთხვევა მოსახლეობას.

3. მოსახლეობისგან გადასახადების აკრეფა და მისგან სესხების მიღება სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის შესანახად.

მთლიანობაში, სხვადასხვა მეცნიერული მიმართულების წარმომადგენლების მიერ გამოყოფილი და დასაბუთებული სახელმწიფოს ზოგადი ნიშნების შინაარსობრივი ანალიზისგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. წამყვანი საზოგადოებრივი აზრი მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სახელმწიფომდელი ორგანიზაციისგან ჩასიათდება ერთიანი ტერიტორიით, მასზე მცხოვრები მოსახლეობითა და ხელისუფლებით, რომელიც ერცელდება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე.

საზოგადოებაში სახელმწიფოსთან ერთად ყალიბდება სხვა, არასახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციებიც (პარტიები, კავშირები, სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი მოძრაობები), რომლებიც ასევე ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სურათზე. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ყველაზე მაჩასიათებელი ნიშნები, რომლებიც მას გამოყოფენ საზოგადოების არასახელმწიფო ორგანიზაციებისგან, როგორც წარსულში, ასევე ამჟამად. ეს გვაძლევს შესაძლებლობას გავმიჯნოთ სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სხვა ელემენტებისგან, მოვახდინოთ სხვადასხვა ისტორიული პერიოდების სახელმწიფოთა თავისებურებების ტიპიზირება, გადავწყვიტოთ საკითხი თანამედროვე პირობებში წინა სახელმწიფომდელი ინსტიტუტების შემკვიდრეობითობის შესახებ.

რეალურ სინამდვილეში სახელმწიფო არის სახელმწიფო საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომელიც განსხვავდება განვითარების უფრო ადრეულ ან გვიანდელ საფეხურებზე მყოფი სახელმწიფოებისგან. თუმცა, ყველა სახელმწიფოს ისტორიულად ახასიათებს ზოგადი ნიშნები, რომლებიც ანიჭებენ მოცემულ საზოგადოებრივ მოვლენას თვისობრივ განსაზღვრულობას, მას ამით გამოყოფენ რა სხვა საზოგადოებრივი წარმოქმნებისგან. როგორია ეს ნიშნები?

ჯერ ერთი, სახელმწიფო წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების ერთიან ტერიტორიულ ორგანიზაციას ბიუჯეტის ნიშნის მასშტაბით. სახელმწიფო ხელისუფლება ვრცელდება მთელს მოსახლეობაზე გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. მოსახლეობის ტერიტორიული დაყოფა, საზოგადოების წევრებს შორის სისხლით ნათესაური კავშირებისგან განსხვავებით, წარმოქმნის ახალ სოციალურ ინსტიტუტს — მოქალაქეობას ან ქვეყნმშობლობას, უცხოელებს ან პირებს მოქალაქეობის გარეშე ტერიტორიული ნიშანი განაპირობებს სახელმწიფოს აპარატის ფორმირებისა და საქმიანობის სახეს მისი სივრცითი დაყოფის გათვალისწინებით. წარმოიქმნება სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები. ხელისუფლების განსორცხველება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით იწვევს მისი სივრცითი საზღვრების — სახელმწიფო საზღვრის დადგენას, რაც ერთ სახელმწიფოს გამიჯნავს მეორესგან. ტერიტორიული ნიშანი არაპარდაპირა დაკავშირებულია სახელმწიფოს ფედერაციულ მოწყობასთან, რომლის საზღვრებშიც ცხოვრობს სხვადასხვა ერისა და ხალხისაგან შემდგარი მოსახლეობა. სახელმწიფო ტერიტორიის ცნება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შიდა მოწყობის დაყოფისთვის, არამედ მისი რიგი კონკრეტული ამოცანებისა და ფუნქციების გასაგებადაც. მაგალითად, სახელმწიფოს ტერიტორიის დაცვა ვარდის თავდასხმისგან ან საკუთარი ტერიტორიის გაფართოება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ხარჯზე.

სახელმწიფოს გააჩნია ტერიტორიული უზენაესობა თავისი საზღვრების ფარგლებში. ეს ნიშნავს სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობასა და სისრულეს მოსახლეობაზე, რაც გამორიცხავს უცხო ხელისუფლების ჩარევას.

ტერიტორია არის სახელმწიფოს არსებობის არა საზოგადოებრივი, არამედ ბუნებრივი პირობა. თავად ტერიტორია ვერ წარმოქმნის სახელმწიფოს. ის წარმოქმნის მხოლოდ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ახორციელებს ხელისუფლებას.

ამგვარად, მოსახლეობაც და ტერიტორიაც წარმოადგენენ

სახელმწიფოს წარმოქმნისა და არსებობის აუცილებელ მატერიალურ წინაპირობებს. ისევე როგორც სახელმწიფო შეუძლებელია ტერიტორიის გარეშე, ასევე არ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო მოსახლეობის გარეშე.

**მეორე** – სახელმწიფო არის პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია საზოგადოების მართვის სპეციალური აპარატი (მექანიზმი) მისი ნორმალური ცხოველქმედების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მექანიზმი წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მატერიალურ გამოხატულებას. ორგანოებისა და დაწესებულებების მთელი სისტემის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს საზოგადოების უშუალო მართვას, ამტკიცებს და ახორციელებს პოლიტიკური ხელისუფლების გარკვეულ რეჟიმს, იცავს საზღვრების ხელშეუხებლობას.

წყობისა და ამოცანების მიხედვით განსხვავებული სახელმწიფო მექანიზმის ნაწილები ერთიანდებიან საერთო დანიშნულებით: უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და მისი წევრების დაცვას; უმნიშვნლოვანეს სახელმწიფო ორგანოებს განეკუთვნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. სახელმწიფოს მექანიზმში განსაკუთრებული ადგილი ყოველთვის ეკავათ იძულების, მათ შორის, დამსჯელი ფუნქციების განმხორციელებელ ორგანოებს: ჯარს, პოლიციას, ციხისა და გამოსასწორებელ-შრომით დაწესებულებებს.

სახელმწიფოს მექანიზმი არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს. საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფოს ორგანოები იცვლება სტრუქტურულად და წყდება სხვადასხვაგვარი ტიპის ამოცანები. თუმცა, ეს ცვლილებები და განსხვავებები არ გამოხატავს საერთო ელემენტებს, რომლებიც ახასიათებს ნებისმიერი სახელმწიფოს მექანიზმს.

**მესამე** – სახელმწიფო საზოგადოებრივ ცხოვრებას აყალიბებს სამართლებრივ საწყისებზე. საზოგადოების ცხოვრების ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმები ახასიათებს სწორედ სახელმწიფოს, სამართლის, კანონმდებლობის გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია ეფექტურად მართოს საზოგადოება, უზრუნველყოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უპირობო შეს-

რულება. მრავალ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის მხოლოდ სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების სახით გამოსცემს ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის სავალდებულო ძალის მქონე ბრძანებებს. არის რა მთელი საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი, სახელმწიფო აუცილებელ შემთხვევებში ატარებს სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს სპეციალური ორგანოების (სასამართლოების, ადმინისტრაციის და ა.შ.) მეშვეობით.

**მეოთხე** — სახელმწიფო წარმოადგენს ხელისუფლების სუვერენულ ორგანიზაციას. ამით ის განსხვავდება საზოგადოების სხვა პოლიტიკური წარმონაქმნებისგან.

**სახელმწიფოს სუვერენიტეტი** ესაა სახელმწიფო ხელისუფლების ისეთი თვისება, რომელიც გამოიხატება მოცემული სახელმწიფოს უზენაესობასა და დამოუკიდებლობაში ქვეყნის შიგნით ნებისმიერ სხვა ხელისუფლებასთან მიმართებაში და ასევე სახელმწიფოთაშორისო დამოკიდებულებების სფეროში საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების მკაცრი დაცვისას.

**სუვერენიტეტი** — სახელმწიფოს კრებსითი ნიშანი. ის მოიცავს საზოგადოების სახელმწიფო ორგანიზაციის ყველა არსებით თვისებას. სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და უზენაესობა გამოიხატება შემდეგში:

— **უნივერსალობაში** — მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილებები ვრცელდება მოცემული ქვეყნის მთელს მოსახლეობაზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

— **პრეროგატივაში** — სხვა საზოგადოებრივი ხელისუფლების ნებისმიერი უკანონო გამოვლინების გაუქმებისა და ბათილად ცნობის შესაძლებლობები;

— **ზემოქმედების** სპეციალური საშუალებების არსებობაში, რომელთაც არ ფლობს ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა სულაც არ გამორიცხავს მის ურთიერთქმედებას არასახელმწიფო პოლიტიკურ ორგანიზაციებთან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანი საკითხების გადაწყვეტისას. სახელმწიფოს სუვერენიტეტში პოულობს პოლიტიკურ და იურიდიულ გამოხატ-

ულებას ხალხის სრულუფლებიანობა, რომლის ინტერესებშიც სახელმწიფო ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელობას.

ცნობილი პირობების დრის სახელმწიფოს სუვერენიტეტი ემთხვევა ხალხის სუვერენიტეტს. ხალხის სუვერენიტეტი ნიშნავს ხალხის უზენაესობას, მის უფლებას თავად გადაწყვიტოს მისი ბედის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი განვითარების ძირეული საკითხები, ჩამოაყალიბოს მისი სახელმწიფოს პოლიტიკური მიმართულება, მისი ორგანოების შემაღლებლობა, ავტონომიის სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა.

სახელმწიფო სუვერენიტეტის სება მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული სუვერენიტეტის ცნებას. ეროვნული სუვერენიტეტი ნიშნავს ერების თვითგამორკვევის უფლებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოყოფამდე და წარმოქმნამდე. ერების ნებაყოფლობით გაერთიანების გზით წარმოქმნილ მრავალნაციონალურ სახელმწიფოებში, ბუნებრივია, სუვერენიტეტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ნაციის სუვერენიტეტი. იმის მიხედვით, თუ რა ხერხით ახორციელებდნენ თვითგამორკვევის უფლებას გაერთიანებული ერები — საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანების ან ავტონომიისა თუ კონფედერაციის ბაზაზე ფედერაციის გზით — მოცემული მრავალნაციონალური სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო სუვერენიტეტი უნდა იძლეოდეს თითოეული გაერთიანებული ნაციის სუვერენიტეტის გარანტიას. პირველ შემთხვევაში ეს მიიღწევა კავშირის სუბიექტების სუვერენული უფლებების უზრუნველყოფის გზით, რომლებმაც თავიანთი უფლებების ნაწილი დაუთმეს მრავალნაციონალურ სახელმწიფოს (მაგალითად, საერთო სახელმწიფო საზღვრების დაცვა, საერთო ფინანსური, საგადასახადო და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელება). მეორე შემთხვევაში ერების სუვერენიტეტი უზრუნველყოფილია ეროვნული სახელმწიფოების ავტონომიის დაცვის გზით. თუმცა, ორივე შემთხვევაში, მრავალნაციონალური სახელმწიფო უმაღლესი ორგანოების სახით წარმოადგენს არა რომელიმე ცალკე აღებული ნაციის, არამედ მოცემული მრავალნაციონალური სახელმწიფოს სუვერენიტეტის მატარებელს, რომელიც გამოხატავს, როგორც ყველა გაერთიანებული ერის საერთო ინტერესებს, ასევე თითოეული მათგანის სპეციფიკურ ინტერესებ-

საც. მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ მის ნებისმიერ ნაირსახეობაში მრავალეროვნული სახელმწიფო უზრუნველყოფდეს მის შემადგენლობაში შემაჯავალ თითოეული ნაციის რეალურ სუვერენიტეტს.

ასეთია სახელმწიფოს ყველაზე ზოგადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ მას, როგორც საზოგადოების სპეციფიკურ ორგანიზაციას. თავისთავად ნიშნები ჯერ კიდევ არ იძლევიან სრულ წარმოდგენას სახელმწიფოს არსისა და სოციალური დანიშნულების შესახებ მის ისტორიულ განვითარებაში. საზოგადოებრივი ცხოვრების, თავად ადამიანის სრულყოფასთან, მისი სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი სიმწიფის ზრდასთან ერთად იცვლება სახელმწიფოც. მისი ზოგადი ნიშნები, პრინციპში რჩება რა უცვლელი, ივსება ახალი, უფრო რაციონალური შინაარსით. მდიდრდება სახელმწიფოს არსი, ქრება დრომოჭმული და ჩნდება მისი საქმიანობის უფრო პროგრესული ფუნქციები და ფორმები, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებს.

### §3. სახელმწიფოს არსი და სოციალური დანიშნულება. სახელმწიფოს ცნების განსაზღვრა

სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის არსი წარმოადგენს მრავალწახნაგოვან ღერძს, რომელიც შედგება მისთვის უნივერსალური მმართველი სისტემის თვისობრივი განსაზღვრულობის მიმნიჭებელი მრავალი ურთიერთდაკავშირებული შიდა და გარე მხარეებისგან. სახელმწიფოს არსის გარკვევა ნიშნავს იმ მთავარის, განმსაზღვრელის გამოვლენას, რაც განაპირობებს მის ობიექტურ აუცილებლობას საზოგადოებაში, იმის გამოძევავენებას, თუ რატომ არ შეუძლია არსებობა და განვითარება საზოგადოებას სახელმწიფოს გარეშე.

სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან, თვისობრივად მუდმივ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ის ყველა ნაირსახეობაში ყოველთვის გამოდის, როგორც მთელი საზოგადოების მმართველი პოლიტიკური ხელისუფლების ერთადერთი ორგანიზაცია. მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით ყოველგვარი ხე-

ლისუფლება არის მართვა. **სახელმწიფო ხელისუფლება** კი — ესაა მმართველობის განსაკუთრებული სახე, რომელიც ხასიათდება კოლოსალური ორგანიზაციული შესაძლებლობებით და ძალიანშიერი იძულების გამოყენების უფლებით სახელმწიფო ბრძანებების შესასრულებლად.

სახელმწიფო წარმოიქმნება, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების კლასობრივი ორგანიზაცია. ეს პირდაპირ თუ ირიბად დამტკიცებულია მსოფლიო სოციალური და ისტორიული პრაქტიკის მიერ. მართლაც, მონათმფლობელური სახელმწიფო საფუძველშივე არსებითად იყო მონათმფლობელთა პოლიტიკური ორგანიზაცია. თუმცა, ის გარკვეულწილად იცავდა ყველა თავისუფალი მოქალაქეების ინტერესებს. **ფეოდალური სახელმწიფო** — პირველ რიგში, ფეოდალების და ასევე, სხვა მდიდარი წოდებების (ვაჭრების, ხელოსნების, მღვდელმსახურების) პოლიტიკური ხელისუფლების ძირითადი ორგანო. **კაპიტალისტური სახელმწიფო** განვითარების პირველ (კლასიკურ) ეტაპებზე გამოდიოდა, როგორც ბურჟუაზიის ინტერესთა გამოხატვის ორგანო.

თუ ყურადღებას მოვაცილებთ დასახელებული სახელმწიფოების საქმიანობის იმ მხარეებს, რომლებშიც გამოიხატება მათი ზოგადსოციალური დანიშნულება, ყველა მათგანი იყო წარმოების ძირითადი საშუალებების მესაკუთრეთა პოლიტიკური ორგანიზაცია. ამასთან დაკავშირებით, მარქსი წერდა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფო „არის მხოლოდ ორგანიზაცია, რომელსაც ქმნის ბურჟუაზიული საზოგადოება ზოგადად, როგორც მუშების, ასევე ცალკეული კაპიტალისტების ხელყოფისგან წარმოების კაპიტალისტური ხერხის ზოგადი გარე პირობების დასაცავად“.

როგორც თვლიდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები კლასობრივი პოზიციებიდან სახელმწიფოს წარმოქმნისა და ფუნქციონირების გარკვეული ეკონომიკური და სოციალური კანონზომიერებების ანალიზმა განაპირობა სახელმწიფოს არსისთვის „უნივერსალური“ განსაზღვრის მიცემა, რაც მოიცავდა სახელმწიფოების ყველა ისტორიულ ტიპს, მათ შორის, თანამედროვე ტიპებსაც.

თუმცა, საზოგადოების ცხოვრებაში ობიექტურად მიმდინარე

თვისობრივმა ცვლილებებმა გამოიწვიეს სახელმწიფოს არსის ცვლილება. საბჭოთა სახელმწიფოს, შემდეგ კი, რიგი ერთტიპიური სახელმწიფოების წარმოქმნა ევროპასა და აზიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე აღარ ეტეოდა სახელმწიფოს, როგორც „კლასობრივი ბატონობის ორგანიზაციის“ არსის კლასიკურ ფორმულირებაში. რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა „სოციალისტური სახელმწიფოს“, როგორც წარმოების ძირითადი საშუალებების მესაკუთრეთა პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრაც, რამდენადაც ამ საშუალებების მესაკუთრე იყო არა მუშათა კლასი, არა გლეხობა, არა ინტელიგენცია, არამედ პარტიულ-სახელმწიფო აპარატი, რომელიც რეალურად და ოფიციალურად გამოხატავდა საზოგადოებასაც და სახელმწიფოსაც, როგორც გარკვეულ მთელს. ასეთ სახელმწიფოში არ არსებობდა საზოგადოებრივი განვითარებისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებები. ის იქცა პოლიტიკური ხელისუფლების ტოტალიტარულ ორგანიზაციად, სადაც იძულება წარმოადგენდა საზოგადოების მართვის ძირითად საშუალებას.

**სახელმწიფოს განვითარება** — რთული დიალექტიკურ-ლოგიკური პროცესი. ის ხასიათდება მრავალი წინააღმდეგობრივი ტენდენციით, რომელთა შორისაც, საბოლოო ჯამში, სჭარბობს პროგრესული.

საზოგადოების არსებობის მეტ-ნაკლებად ერთტიპიური ეკონომიკური და სოციალური პირობები (საწარმოო ურთიერთობები, სოციალური სტრუქტურა), მათი შესაბამისი ზნეობრივი საფუძვლები და მოსახლეობის კულტურული დონე — მონობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დროს, მისი განვითარების საწყის ეტაპებზე, სახელმწიფოს აძლევენ შიდა ერთიანობას. ყველა მათგანი ეყრდნობა საკუთრების ისეთ ურთიერთობებს, რომლებშიც სჭარბობს იძულების ელემენტები სახელმწიფო მართვაში, ოფიციალურად აღიარებული უთანასწორობა და ჩაგვრა, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი მდგომარეობა.

თანამედროვეობის წინამორბედი სახელმწიფოების ისტორიული ტიპების თავისებურება მდგომარეობა იმაში, რომ ისინი ძირითადად გამოხატავდნენ უმცირესობის (მონათმფლობელების,

ფეოდალების, კაპიტალისტების) ეკონომიკურ ინტერესებს. თუმცა, საზოგადოების სრულყოფის მიხედვით, მისი ჰუმანიზაციის, ადამიანის პოლიტიკური და ზნეობრივი „ჩამოყალიბების“ პროცესში სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური ბაზა ფართოვდება. მისი ხელისუფლების იძულების ელემენტი კი — ვიწროვდება.

ამგვარად, ობიექტური მიზეზების ძალით, სახელმწიფო უპირატესად ხდება საზოგადოების ორგანიზაციული ძალა, რომელიც გამოხატავს და იცავს მისი წევრების პირად და საერთო ინტერესებს. უმცირესობის საკუთრება თანდათან ხდება უმრავლესობის საკუთრება. საკუთრების ურთიერთობების რევოლუციური და ევოლუციური გარდაქმნების შედეგად იცვლება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური არსიც, მისი მიზნები და ამოცანები. ასევე, საკუთრების სახელმწიფო, კოლექტიური, სააქციო, კოპერატიული, ფერმერული, ინდივიდუალური და სხვა ფორმების ჩამოყალიბებასთან ერთად ახალი თვისებები შეიძინა კერძო საკუთრებამაც ანუ ინდივიდის საკუთრებამ.

ჯერ კიდევ ა. სმიტი იცავდა თითოეული ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებას კონკურენციით რეგულირებული სამეურნეო საქმიანობის სფეროში. ის თვლიდა, რომ ყველგან, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ სფეროში, თუ ადამიანი სარგებლობს არჩევის თავისუფლებით, ის ირჩევს ყველაზე ხელსაყრელ გზებს. ამავე დროს, მისი მოქმედებები, განპირობებული პირადი სარგებლის მიღებით, ემთხვევა საზოგადოების ჭეშმარიტ ინტერესებს.

თანამედროვე სახელმწიფოში კერძო საკუთრება ხდება არა იმდენად სახელმწიფო, რამდენადაც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც იმყოფება სახელმწიფო დაცვის ქვეშ. სახელმწიფო სტიმულს აძლევს და იცავს ინდივიდის (ინდივიდთა) იმ საკუთრებას, რომელიც ორგანულად შედის საზოგადოების საერთო ეკონომიკურ სისტემაში და უზრუნველყოფს მის მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას. ყოვლისმომცველმა სახელმწიფო საკუთრებამ, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ფაქტიურად იყო საკუთრების ერთადერთი ფორმა სოციალისტურ ქვეყნებში, ვერ გაუძლო დროის გამოცდას.

სახელმწიფოს, როგორც ისტორიულ მოვლენას გააჩნია ორმა-  
ვი ბუნება, წარმოადგენს რა ეკონომიკურად გაბატონებული კლასის  
პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციას, ის ასევე არის  
„ნებისმიერი საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარე „საერთო საქმე-  
ბის“ ორგანიზატორი“. მოცემული დასკვნის ობიექტურობა ეჭვს  
არ იწვევს. სახელმწიფოს რომელი დასახელებული თვისება წარ-  
მოადგენს ძირითადს? მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს  
განვითარების ყველა ეტაპზე უპირატესობას ერთმნიშვნელოვნად  
ანიჭებს კლასობრივ საწყისებს.

თუმცა, ადამიანის ყოფის რეალურობამ არსებითი კორექტივე-  
ბი შეიტანა სახელმწიფოს „კლასობრივი“ და „საერთო“ ამოცანების  
თანაფარდობაში.

საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების ცვლილებასთან ერ-  
თად, **ერთის მხრივ**, მოხდა სახელმწიფოს, როგორც კლასობრივი  
ბატონობის ორგანიზაციის შევიწროება, **მეორეს მხრივ** კი —  
მისი იმ ობიექტური თვისებების გაფართოება და გამდიდრება,  
რომლებიც სახელმწიფოს ახასიათებენ, როგორც მთელი საზოგა-  
დოების ორგანიზაციას. პროგრესული საზოგადოებრივი განვითარე-  
ბის პროცესების გავლენით მცირდება სახელმწიფოს ხალხისგან  
„დაშორება“, ხდება მისი „მიახლოება“ საზოგადოებისა და პიროვნების  
ძირეულ ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან. ამგვარად, სახ-  
ელმწიფო საზოგადოებაზე მდგარი ორგანოდან იქცა ორგანოდ,  
რომელიც ემსახურება საზოგადოებას.

თითოეულ კონკრეტულ სახელმწიფოში არის ზოგადი რამ, რაც  
დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებული,  
რომელიც გამოხატავს სახელმწიფოების ნათესაური ჯგუფის გან-  
მასხვავებელ ნიშნებს და ერთეული, რაც ნიშანდობლივია მხოლოდ  
მოცემული კონკრეტული სახელმწიფოსთვის. მისი ისტორიული  
განვითარების ყველა საფეხურზე სახელმწიფო იცავს თავის საერ-  
თო არსებით თვისებებს და ამავე დროს იცვლება კონკრეტულ  
არსში საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლადი პირობების ძალით.

**სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება** გამომდინარე-  
ობს მისი არსიდან, როგორცაა სახელმწიფოს არსი, ასეთია მისი  
საქმიანობის ხასიათი, ასევე მის წინაშე მდგარი ამოცანები და

მიზნები. შეიძლება ვისაუბროთ საერთოდ სახელმწიფოს სოციალური დანიშნულების შესახებ იმ ისტორიული გარდამავალი ამოცანებისგან განყენებით, რომელთაც ის წყვეტდა საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. სახელმწიფოს სოციალური დანიშნულების განსაზღვრის მცდელობები, მთელი მისი ისტორიული პერსპექტივით, ჰქონდათ სხვადასხვა ეპოქის და განსხვავებული მეცნიერული მიმართულებების მიმდევარი მოაზროვნეების მიერ. ასე მაგალითად, პლატონი და არისტოტელე თვლიდნენ, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს დანიშნულებას წარმოადგენს ზნეობრიობის დამკვიდრება. მოგვიანებით, ეს შეხედულება სახელმწიფოს სოციალურ დანიშნულებაზე გაიზიარა და განავითარა ჰეგელმა. სახელმწიფოს წარმოშობის შეთანხმებითი თეორიის წარმომადგენლები მის არსებობაში ხედავდნენ საერთო კეთილდღეობას (გროციუსი); საერთო უსაფრთხოებას (ჰობსი); საერთო თავისუფლებას (რუსო). ლასალი სახელმწიფოს მთავარ ამოცანას ასევე ხედავდა ადამიანის თავისუფლების განვითარებასა და რეალიზაციაში.

სახელმწიფოს ძირითად დანიშნულებად მარქსისტული მოძღვრება თვლის ისეთი წესის შექმნას, რომელიც აკანონებს ერთი კლასის მიერ მეორის დაჩაგვრას, ზომიერს ხდის რა მათ შეჯახებას.

XX ს-ის შუა პერიოდში ჩნდება რიგი თეორიები („საყოველთაო ბედნიერების სახელმწიფო“, „პლურალისტური დემოკრატია“, „სამართლებრივი სახელმწიფო“ და სხვ.), რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის მთავარ ამოცანას ხედავენ, კანონის ფარგლებში, მრავალფეროვანი სოციალური კეთილდღეობის შექმნაში საზოგადოების ყველა წევრისათვის, თითოეულის შესაძლებლობების გათვალისწინებით (როსტოუ, ჰეკშენერი, ბერნსი, ჯონსი და სხვ.).

შეხედულებები სახელმწიფოს სოციალურ დანიშნულებაზე განისაზღვრება იმ ობიექტური პირობებით, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოების განვითარების მოცემული დონისთვის. მათ ცვლილებასთან ერთად იცვლება შეხედულებებიც სახელმწიფოს სოციალურ დანიშნულებაზე.

ამასთან ერთად, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსზე არსებით გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქ-

ტორებიც. მათ, პირველ რიგში, განეკუთვნება გარკვეული თეორიის ჭეშმარიტება, მისი უნივერსალურობა, ისტორიული პერსპექტივის, საზოგადოებრივი ცხოვრების შესაძლო ცვლილებების განჭვრეტის უნარი, მისი რეალიზაცია სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკაში.

მარქსისტულ-ლენინური წარმოდგენა სახელმწიფოს, როგორც კლასობრივი ბატონობის იარაღის შესახებ, კომუნიზმის არსებობის პერიოდში, ბოლო დრომდე ითვლებოდა ერთადერთ ჭეშმარიტ და მეცნიერულ შეხედულებად. თუმცა, საზოგადოებრივმა პრაქტიკამ მოცემული თეორია მოაქცია სერიოზული გამოცდების ქვეშ, დაამტკიცა რა მისი ჭეშმარიტება მხოლოდ გარკვეულ დროში შეზღუდულ ისტორიულ პერიოდში. კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ.ი. ლენინის დასკვნა ხანმოკლე გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს მოკვდინებისა და მისი „ნახევარ-სახელმწიფოდ“ გადაქცევის შესახებ, ჩვენი ქვეყნის განვითარების გამოცდილებამ არ დაამტკიცა. მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების პროგნოზის საპირისპიროდ, სახელმწიფო რევოლუციის შემდეგაც რჩებოდა ხალხის უმრავლესობის დათრგუნვის იარაღი. ასეთმა პრაქტიკამ საშუალება მოგვცა გავგვეკეთებინა დასკვნა კლასობრივი სახელმწიფოს თეორიის „ჭეშმარიტებისა“ და „უნივერსალურობის“ შესახებ.

საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი შესაძლო ჰიპოთეზის ერთგულება, რომელიც დაცული იყო მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მიერ, (კაპიტალიზმის კრიზისი და გახრწნა; იმპერიალიზმი, როგორც სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ), რაც საშუალებას არ იძლეოდა შემდგომში დანახული ყოფილიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სერიოზული ცვლილებები. კაპიტალიზმი, როგორც საზოგადოებრივი წყობა თანდათან გამყარდა და მან მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა. ის აღმოჩნდა უნარიანი აღექვა და რეალურად დაენერგა პრაქტიკაში საზოგადოებრივი განვითარების პროგრესული იდეები.

მნიშვნელოვნად გაღრმავდა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზმი, თანასწორობა და სოციალური სამართლიანობის საწყისები, პიროვნების თავისუფლება. საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის და აზიის განვითარებულ ქვეყნებში,

უკვე გახდა თვისობრივად სხვაგვარი. ის არსებითად განსხვავდებოდა მარქსისა და ენგელსის დროის „კაპიტალისტური“ და ლენინის მიერ შესწავლილი „იმპერიალისტური“ საზოგადოებისგან.

### **რა ცვლილებები განიცადა სახელმწიფომ?**

არის რა კვლავაც საზოგადოების მმართველი სისტემა, სახელმწიფო სულ უფრო იწყებს სოციალური წინააღმდეგობების დაძლევის, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებისა და კოორდინაციის, ცხოვრებაში ისეთი გადაწყვეტილებების გატარების ორგანოდ ქცევას, რომელთაც მხარს დაუჭერს სხვადასხვა ფენა. პირველ პლანზე სახელმწიფოს საქმიანობაში გამოდის ისეთი მნიშვნელოვანი ზოგადდემოკრატიული ინსტიტუტები, როგრიცაა ხელისუფლებათა დაყოფა, კანონის უზენაესობა, საჯაროობა, აზრების პლურალიზმი, სასამართლოს მაღალი როლი.

არსებითად იცვლება სახელმწიფოს როლი საერთაშორისო არენაზეც, მისი საგარეო საქმიანობა, რაც მოითხოვს ორმხრივ დათმობებს, კომპრომისებს, გონივრულ შეთანხმებებს სხვა სახელმწიფოებთან.

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფო დავახასიათოთ, როგორც სოციალური კომპრომისის საშუალება (შინაარსის მიხედვით) და როგორც სამართლებრივი სახელმწიფო (ფორმის მიხედვით).

შეუძლებელია განისაზღვროს სახელმწიფოს ზოგადი ცნება, რომელიც მოიცავს წარსულში, აწმყოსა და მომავალში მისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანსა და თვისებას გამონაკლისის გარეშე. იმ პირობების მრავალფეროვნება, რომლებშიც არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ სახელმწიფოები განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, ავლენს სხვა სახელმწიფოებისგან განმასხვავებულ მრავალ თავისებურებასა და სპეციფიკურ თვისებას. ამასთან ერთად, როგორც გვიჩვენა მსოფლიო მეცნიერებამ და საზოგადოებრივმა პრაქტიკამ ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია ისეთი უნივერსალური ნიშნების ნაკრები, რომლებიც ვლინდება მისი განვითარების ყველა ეტაპზე. ეს ნიშნები ერთობლიობაში და ურთიერთქმედებაში იძლევიან სახელმწიფოს შემდეგ განსაზღვრას:

**სახელმწიფო-საზოგადოების ერთიანი პოლიტიკური ორ-**

განიზაცია, რომელიც თავის ხელისუფლებას ავრცელებს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე და მის მოსახლეობაზე, ამისათვის ფლობს მართვის სპეციალურ აპარატს, გამოსცემს ყველასთვის სავალდებულო ბრძანებებს და გააჩნია სუვერენიტეტი.

სახელმწიფო განსახლების ნაირსახეობა

ანისტორიული	მოქალაქეების ყველა გონებრივი და ზნეობრივი ინტერესების თავმოყრა
ცივილიზი	სამართლის საერთო საწყისებისა და საერთო სარგებლობით გაერთიანებული ადამიანების კავშირი
პორაქსიზმი შერეულობა ტრეპაქსიზმი	საზოგადოებრივი კავშირი, რომელიც წარმოადგენენ დამოუკიდებელ იძულებით ბატონობის თავისუფალ ადამიანებზე გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში.
ბუპალიზმი	გაბატონების ბუნებრივად წარმოქმნილი ორგანიზაცია, რომელიც გათვალისწინებულია გარკვეული წესრიგის დასაცავად
პლინიკი	ინდივიდების მიზნობრივი ერთიანობა, რომელსაც გააჩნია იურიდიული სუბიექტის თვისებები და წარმოადგენს უფლებების მატარებელს.

**სახელმწიფოს ნიშნები, რომელიც მას განასხვავებენ  
არასახელმწიფო ორგანიზაციებისგან**



პოლიტიკური ხელისუფლების ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც ვრცელდება მთელს მოსახლეობაზე (მოქალაქეებზე, უცხოელებზე, პირებზე მოქალაქეობის გარეშე) ქვეყნის ტერიტორიის, მისი სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში.



გააჩნია სუვერენიტეტი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სისრულე და დამოუკიდებლობა თავის ტერიტორიაზე, უზენაესობა სხვა ხელისუფლებების მიმართ ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობა ნებისმიერი უცხოური ხელისუფლებისგან.



გააჩნია ხელისუფლების, მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი



ახდენს ხელისუფლების ორგანიზებას და განხორციელებას სამართლებრივ საფუძვლებზე



**განსაჯვრა**

**სახელმწიფო** – საზოგადოების ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ხელისუფლებას ავრცელებს მთელს მოსახლეობაზე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში, გამოსცემს იურიდიულად სავალდებულო ბრძანებებს, გააჩნია მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი, სუვერენიტეტი

სახელმწიფოს სოციალური დანიშნულება (როლი)

ნაირსახეობა სახელმწიფოს  
სოციალური დანიშნულების  
გაგებაში

ქლატიანი არისტოტელე, პეგაუსი,      ზნეობრიობის  
დამკვიდრება

ბროტინსი      სოციალური კეთილდღეო-  
ბის მიღწევა

ჰობსი      საერთო უსაფრთხოების  
მიღწევა

რუსო, ლასალი      საერთო თავისუფლებ-  
ის დამკვიდრება

მარქსი,      წარმოადგენს კლასობრივი  
ენგელსი,      ბატონობის და არაკლასო-  
ლენინი      ბრივი საზოგადოების  
მშენებლობის იარაღს

როსტოუ,      კანონის ფარგლებში მრავალგვარი  
სოციალური კეთილდღეობის შექმნა  
სპეჰნერი,      საზოგადოების ყველა წევრისთვის  
ბერნსი      თითოეულის შესაძლებლობების  
გათვალისწინებით.

თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს  
სამსახურებრივი როლი

მართლწესრიგის, ადამი-  
ანების უფლებებისა და  
თავისუფლების დაცვა

გადაწყვეტილებების გატარება,  
რომელთაც მხარს უჭერს საზოგა-  
დოების სხვადასხვა ფენა

სოციალური წინააღმდე-  
გობების დაძლევა

მშვიდობის შენარჩუნება, შეიარ-  
ალებული კონფლიქტების თავიდან  
აცილება

სოციალური კომპრომისის, მოსახლეობის სხვა-  
დასხვა ჯგუფების ინტერესთა გათვალისწინები-  
სა და კოორდინაციის მიღწევა

### კითხვები ცოდნის განმტკიცებისთვის

1. რა არის სახელმწიფო? რატომ არსებობს სახელმწიფოს მრავალი განსაზღვრება?
2. როგორია სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების ძირითადი გაბატონებული პოლიტიკური ორგანიზაციის ნიშნები?
3. რაში მდგომარეობს სახელმწიფოზე შეხედულებების ერთიანობა და განსხვავება არისტოტელესთან და ჰეგელთან?
4. როგორია სახელმწიფოს მატერიალისტური თეორიის ძირითადი დებულებები?
5. როგორ განსაზღვრავდნენ სახელმწიფოს რუსი იურისტები? (კორკუნოვი, შერშენევიჩი, ტრუბეცკოი და სხვ.)
6. რა სიახლე შეაქვს თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებას სახელმწიფოს ცნებასა და მის სოციალურ დანიშნულებაში?
7. როგორია თანამედროვე სახელმწიფოს სამსახურებრივი როლი?
8. მუდმივია თუ არა სახელმწიფო? თქვენი შეხედულებები.

## თავი X. სამართლის პრინციპები და უწყვეტიება

§1. სამართლის პრინციპები. §2. სამართლის უწყვეტიება (როლი) საზოგადოებრივ ცხოვრებაში. §3. სამართლის მნიშვნელობა შიიარაღმართული კალმის მშენებლობასა და საშვიანობაში

### §1. სამართლის პრინციპები

სამართალი ემყარება და ყუნქციონირებს მისი არსისა და სოციალური დანიშნულების გამოხატველ გარკვეულ პრინციპებს. მათში აისახება სამართლის ძირითადი თვისებები და თავისებურებები, რაც მას ანიჭებს საზოადოებრივ ურთიერთობებში სამართლიანობისა და თავისუფლების ზომის სახელმწიფო რეგულატორის თვისებას.

სამართლის პრინციპები — ესაა ძირითადი საწყისი დებულებები, რომლებიც იურიდიულად ამტკიცებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ კანონზომიერებებს. ისინი მოიცავენ სამართლის ყველაზე სახასიათო თვისებებს, განსაზღვრავენ მის იურიდიულ ბუნებას. სამართლის საფუძვლები დევს სამართლებრივი სახელმწიფოს, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობის საფუძველში. მათი მეშვეობით სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, ახდენს მათ მიერ იურიდიული ვალდებულებების შესრულების გარანტირებულობას.

სამართლის პრინციპები წარმოადგენენ სახელმწიფოს სამართლის მთელი სისტემის ღერძს. აქედან გამომდინარეობს მათი განმსაზღვრელი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის, იურიდიული პრაქტიკისთვის. სამართლის მოთხოვნების მკაცრი და ზუსტი განხორციელება ამავედროულად ნიშნავს ცხოვრებაში მასში ასახული პრინციპების თანამიმდევრულ ხორცშესხმასაც. ამიტომ, კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას საჭიროა პირველ რიგში ხელმძღვანელობა სამართლის პრინცი-

პებით. ეს წარმოადგენს იურიდიული ნორმების სწორი გამოყენების, დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

სამართლის პრინციპები შეიძლება სპეციალურად განმტკიცდეს ზოგად იურიდიულ ნორმებში (ნორმა-პრინციპებში) — კონსტიტუციებში, კანონების პრეამბულებში, კოდექსებში ან შეიძლება ათ შეადგინონ თავად სამართლის მატერია, სამართლის ნორმების შინაარსში შეღწევით.

სამართლის პრინციპები ობიექტურად განპირობებულია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების სახით, რომელთაც ემყარება სამართლის გარკვეული სისტემა. ამდენად, საზოგადოებრივი ურთიერთობების თითოეული სისტემა რეგულირდება არა თვითნებურად, არამედ იმ ობიექტური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც აისახებიან სამართლის სისტემაში და შეადგენენ მის არსს. ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის პრინციპების სახე რ შეიძლება განისაზღვროს სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურისა და შემადგენლობის, სოციალურ-ეკონომიკური პირობების, საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის წყობისა და ფუნქციონირების პრინციპების გარეშე.

**სამართლის პრინციპების სახეები.** სამართლის პრინციპები იყოფა სახეებად იმის მიხედვით, თუ სამართლებრივი ნორმების რომელ სფეროზე ვრცელდება ისინი. არსებობს სამართლის პრინციპების სამი ძირითადი ჯგუფი: **ზოგადი, დარგთაშორისი და დარგობრივი.**

**1. ზოგადი პრინციპები** — ესაა ძირითადი საწყისები, რომლებიც განსაზღვრავენ მთლიანად სამართლის როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელი ერთობლიობის რეგულატორის ყველაზე არსებით თვისებებს, მის შინაარსსა და თავისებურებებს. სამართლის ზოგად პრინციპებს განეკუთვნება:

**ა. სოციალური თავისუფლების პრინციპი.** ცივილიზებული სახელმწიფოში სამართლებრივი რეგულირების ძირითად საწყისს წარმოადგენს მისი მონაწილეებისთვის მაქსიმალური თავისუფლების მიცემა შრომითი საქმიანობის ფორმების, პრო-

ფესიის, საცხოვრებელი ადგილის შერჩევაში, სახელმწიფო და კერძო პირების სოციალური მომსახურებებით სარგებლობის შესაძლებლობაში, საკუთარი შრომითი შემოსავლების თავისუფლად განკარგვაში, სოციალურ კეთილდღეობათა განაწილებაში მონაწილეობის მიღებაში, იყოს დაცული უმუშევრობისგან და სხვა სოციალური კონფლიქტებისგან. მოცემული პრინციპი უზრუნველყოფს პიროვნების სოციალურ დაცულობას, აძლევს მას რეალურ გარანტიებს თავისუფალი და უზრუნველყოფილი ცხოვრებისთვის. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, როგორც უმაღლესი სოციალური ფასეულობები.

**ბ. სოციალური სამართლიანობის პრინციპი.** ამ პრინციპს გააჩნია ძორალურ-სამართლებრივი შინაარსი. ის უზრუნველყოფს შესაბამისობას ინდივიდების პრაქტიკულ როლსა და მათ სოციალურ მდგომარეობას, მათ უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომასა და ანაზღაურებას, დანაშაულსა და სასჯელს, ადამიანთა დამსახურებებსა და მათ საზოგადოებრივ აღიარებას შორის. სამართლიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან საწყისს სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკაში, კონკრეტული იურიდიული საქმეების გადაწყვეტისას (მაგალითად, პენსიის ოდენობის განსაზღვრისას, საცხოვრებელი ფართის გამოყოფისას, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ზომის განსაზღვრისას).

**გ. დემოკრატიზმის პრინციპი.** სამართლებრივ სახელმწიფოში ეს პრინციპი მოიცავს სამართლის მთელ სისტემას. ის უშუალო გამოხატულებას პოულობს იმ სამართლებრივ ნორმებში, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ორგანიზებისა და საქმიანობის წესს, განსაზღვრავენ პიროვნების სამართლებრივ მდგომარეობას, მის ურთიერთდამოკიდებულებას სახელმწიფოსთან.

**დ. ჰუმანიზმის პრინციპი.** ჰუმანიზმის საწყისები დამახასიათებელია ყველა ცივილიზებული სამართლებრივი სისტემისთვის. ისინი მოიცავენ სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ფასეულ მახასიათებელს. სამართალი რეალურად უზრუნველყოფს ადამი-

ანის ბუნებრივი და განუყოფელი უფლებების გარანტირებულობას: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების, საკუთარი ღირსებისა და რეპუტაციის, პირადი ცხოვრების სფეროში ნებისმიერი თვითნებური ჩარევისგან დაცვის უფლებას.

სამართლის საფუძვლების ჰუმანიზმი გამოიხატება იმაში, რომ ისინი აღიარებენ პიროვნების ხელშეუხებლობას: არავინ არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების ან პროკურორის სანქციის გარეშე; თითოეულ ადამიანს აქვს დაცვის, საქმის კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიანი და ღია განხილვის უფლება; ყველა თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს აქვს ჰუმანიური მოპყრობისა და მისი ღირსების პატივისცემის უფლება; არ შეიძლება არავის წამება, არაადამიანური ან მისი ღირსების შემლახავი მოპყრობა.

**ე. თანასწორობის პრინციპი** (ყველას თანასწორობა კანონის წინაშე). ეს პრინციპი ჩადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებების შესახებ, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის საკონსტიტუციო კანონებში. ეს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები აღიარებენ ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე, მათ თანაბარ დაცვის უფლებას ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ენის, სქესის, პოლიტიკური და სხვა სახის შეხედულებების, რელიგიის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა გარემოებების მიუხედავად.

**ვ. იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების ერთიანობა.** მოცემული პრინციპის არსი გამოიხატება საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების ორგანულ კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში, როგორცაა მთლიანად სახელმწიფო, მისი ორგანოები, თანამდებობის პირები, მოქალაქეები და სხვადასხვა გაერთიანებები. საზოგადოებრივი ურთიერთობების ასეთი ორგანიზებისას გარკვეული სოციალური კეთილდღეობით სარგებლობის უფლებას შეესაბამება სხვათა ინტერესებში საზოგადოებრივად სასარგებლო

მოქმედებების განხორციელების ვალდებულება. რაიმე უფლების რეალობაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მისთვის შესაბამისი იურიდიული ვალდებულების არსებობისას. ასე მაგალითად, მოქალაქის სასამართლო დაცვის უფლება რეალიზებული ხდება სასამართლოების ვალდებულების მეშვეობით განასორციელონ ასეთი დაცვა; მოქალაქის სოციალური უზრუნველყოფის უფლება სიბერეში, ავადმყოფობის ან შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ მისი სოციალური ორგანოების სახით, რომლებიც ვალდებული არიან გასცენ პენსიები ან შემწეობები. ამავე დროს, კანონით დგინდება, რომ მოქალაქის უფლებების განხორციელება არ უნდა ვწინააღმდეგებოდეს სხვა ადამიანთა უფლებებს.

**ზ. დანაშაულზე პასუხისმგებლობის პრინციპი.** ამ პრინციპის შესაბამისად იურიდიული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დანაშაული სამართლებრივი ნორმის მოთხოვნების დარღვევაში. დანაშაული წარმოადგენს წამყვან საწყისს, რომელიც განსაზღვრავს იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლებს. პირის ქმედებაში დანაშაულის არარსებობისას ამ უკანასკნელის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები.

**თ. კანონიერების პრინციპი.** ამ პრინციპს გააჩნია ზოგადი, ყოვლისმომცველი ხასიათი. მისი შინაარსი გამოიხატება სამართლის ყველა სუბიექტის მიერ სამართლებრივი ნორმების მითითებათა მკაცრი და სრული განხორციელების მოთხოვნაში. უზრუნველყოფს რა სამართლის ნორმების რეალიზაციას, აღნიშნული პრინციპი ამავედროულად ხელს უწყობს სხვა ზოგადი სამართლებრივი პრინციპების: სამართლიანობის, სოციალური თავისუფლების, ჰუმანიზმის ხორცშესხმას სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის ყველა ზოგადი პრინციპი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. თუ მოქმედებს სოციალური სამართლიანობის პრინციპი, მაშინ მყარდება ჰუმანური ურთიერთობები ადამიანებს შორის. ჰუმანური პრინციპის რეალიზაცია ამავედროულად გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სა-

მართლიანი ურთერთობების დამყარებას. არისტოტელე აღნიშნავდა, რომ სამართლიანობა მჭიდროდ უკავშირდება ადამიანთა თანასწორობის კანონიერების ცნებებს, რამდენადაც სამართლიანობა გამოდის, როგორც კანონიერი და თანასწორი, ხოლო უსამართლობა, როგორც კანონსაწინააღმდეგო და არათანასწორი დამოკიდებულება ადამიანებთან.

2. **დარგთაშორისი სამართლებრივი პრინციპები.** ესაა ისეთი სახელმძღვანელო საწყისები, რომლებიც გამოხატავენ სამართლის რამდენიმე მონათესავე დარგის (მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესოს) თავისებურებებს. სამართლის აღნიშნული დარგების ზოგად პრინციპებს წარმოადგენს, მაგალითად, კოლეგიალობა სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების განხილვაში, სასამართლო განხილვის საჯაროობა. ამავე დროს, სამართლის მომიჯნავე დარგებზე სრულად ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპებიც.

3. **დარგობრივი სამართლებრივი პრინციპები.** ისინი ახასიათებენ სამართლის კონკრეტული დარგის (მაგალითად, ადმინისტრაციული ან სამოქალაქოს) ყველაზე არსებით თვისებებს. სამოქალაქო სამართლის პრინციპებს წარმოადგენს მხარეთა თანასწორობა ქონებრივ ურთიერთობებში, შეთანხმებითი დისციპლინის უზრუნველყოფა და ა.შ.

## §2. სამართლის ფუნქციები (როლი) საზოგადოებრივ ცხოვრებაში

სამართლის აქტიური როლი საზოგადოების ცხოვრებაში გამოიხატება მის ფუნქციებში. სამართლის ფუნქციები – ესაა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, ადამიანთა ქცევაზე მისი ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები. სამართლის ფუნქციები განიხილება სხვადასხვა სიბრტყეში. რამდენადაც სამართალი უწყვეტად უკავშირდება სახელმწიფოს, მისი ფუნქციები ბევრ რამეში ემთხვევა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციებს. სახელმწიფოს საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულება ხორციელდება სამართლებრივ ფორმებში, საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

ერთის მხრივ, შეიძლება გამოიყოს სამართლის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა ფუნქციები, რაც შეესაბამება სახელმწიფოს იდენტურ ფუნქციებს. მეორეს მხრივ, შეიძლება განვასხვავოთ სამართლის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები.

სამართლის ფუნქციები შესაძლოა დაიყოს სახეობად იმის მიხედვითაც, თუ რომელ ძირითად ამოცანებს წვევებენ ისინი მოცემული კლასიფიკაციის დროს გამოიყოფა სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი მიმართულებები, რომლებიც ემთხვევიან სამართლის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულაციური ფუნქციას, მისი იურიდიული მნიშვნელობა ამ ურთიერთობებისთვის.

ნებისმიერა ცივილიზებული ქვეყნის სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, მათი მოქცევა სოციალური თავისუფლებისა და სამართლიანობის ჩარჩოებში. ამ ამოცანას სამართალი წვევებს რეგულაციური ფუნქციის მეშვეობით. სამართლის მეორე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვა სხვადასხვა სახის ხელყოფისგან სამართალდარღვევათა მხრიდან.

მოკლედ განვიხილოთ სამართლის რეგულაციური და დაცვის ფუნქციების შინაარსი.

1. რეგულაციური ფუნქცია — ესაა სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი მიმართულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ურთიერთობების მკაფიო ორგანიზაცია, მათი ფუნქციონირება და განვითარება საზოგადოებრივი პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად. სამართლის რეგულაციური ზემოქმედება უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების დადებით მოვლენებს ქონებრივი, ფინანსური, ოჯახური და სხვა ურთიერთობების სფეროში.

სამართლის რეგულაციური ფუნქცია ზემოქმედებს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე შემდეგი სახით:

ჯერ ერთი, ამ ურთიერთობების ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში განმტკიცების გზით. სამართლის ნორმები სავალდებულო

იურიდიულ ფორმას ანიჭებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც შეადგენს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების საფუძველს. სამართლის ნორმებში მტკიცდება განათლების წესი, სახელმწიფოს ორგანოების კომპეტენცია, მოქალაქეთა უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულებები.

**მეორე.** სამართალი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისუფლებისა და ორგანიზებულობას მაღალ ხარისხს, მათ მედმეო სრულყოფისა და განვითარებას. სამართლის ასეთი ზემოქმედება კლინდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ორგანიზების უშუალო რეგულირებაში — ეკონომიკურ, სოციალურ მშენებლობასა და სხვა სფეროებში. სამართლებრივი რეგულირების შედეგად დგინდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე ოპტიმალური წესი, რომელიც პასუხობს ქვეყნის მთელი მოსახლეობის ინტერესებს. სამართალში ჩადებულია არსებული ურთიერთობების ცვლილებისა და სრულყოფის შესაძლებლობები საზოგადოებრივი განვითარების თითოეულ კონკრეტულ ეტაპზე (მაგალითად, საკანონმდებლო აქტებში საკუთრებას სხვადასხვა ფორმის დამტკიცება ტოტალიტარულიდან დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოზე გადასვლის პერიოდში).

**2. დაცვითი ფუნქცია** — ესაა სამართლებრივი ზემოქმედების ისეთი მიმართულება, რომელიც მიმართულია საზოგადოებისთვის დადებითი ურთიერთობების დაცვაზე და მათზე ურთიერთობების განდევნაზე. სამართლის დაცვითი ზემოქმედება გამოიხატება შემდეგში:

- მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაზე აკრძალვების განსაზღვრაში;
- აღნიშნული ქმედებების ჩადენაზე იურიდიული სანქციების დადგენაში,
- სამართალდარღვევის ჩამდენი პირების მიმართ იურიდიული სანქციების უშუალო გამოყენებაში.

ასეთია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები., მათში გამოიხატება სამართლის სამსახურებრივი როლი, მისი სოციალური დანიშნულება.

### §3. სამართლის მნიშვნელოვან შეიარაღებული ძალების მშენებლობასა და საქმიანობაში

თანამედროვე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში სამართალი ასრულებს იგივე ფუნქციებს, რასაც მთლიანად საზოგადოებაში. თუმცა, სამართლის ზემოქმედებას საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გააჩნია რიგი თავისებურებები. ეს თავისებურებები განპირობებულია შეიარაღებული ძალების მოწყობის სპეციფიკით, მათ წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნების თავისებურებით.

**ჯერ ერთი,** სამართლის ნორმები მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სამხედრო მოსამსახურეთა ქცევას მათ მიერ სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებების შესრულების პროცესში. ასეთი მდგომარეობა განისაზღვრება შეიარაღებული ძალების საქმიანობის სახით, შეიარაღებული ძალების სირთულითა და დინამიკურობით, რაც პირადი შემადგენლობისგან მოითხოვს უმაღლესი ხარისხით ორგანიზებულობასა და დისციპლინას.

**მეორეც,** სამართლის ნორმები უფრო დეტალურად და დაწვრილებით არეგლამენტირებენ სამხედრო მოსამსახურეთა ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს. საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთ სხვა სფეროში არ არეგულირებენ სამართლებრივი ნორმები ურთიერთქმედებას ადამიანებს შორის, ამგვარი, დეტალიზებული სახით, როგორც სამხედრო ორგანიზაციაში.

**მესამეც,** სამართალი აწესებს სამხედრო მოსამსახურეთა მაღალ პასუხისმგებლობას სამხედრო მოსამსახურის გავლის წესის დარღვევაზე. შეიარაღებულ ძალებში გათვალისწინებულია იურიდიული პასუხისმგებლობა გადაცდომებზე, რომლებიც სამოქალაქო ცხოვრებაში არ ითვლებიან მართლსაწინააღმდეგოდ (მაგალითად, სამხედრო პატივისცემის წესების დარღვევა). სამხედრო მოსამსახურეების მიმართ გამოიყენება იურიდიული პასუხისმგებლობის უფრო მკაცრი ზომები სამოქალაქო პირების მიერ, ანალოგიურ სამართალდარღვევებთან შედარებით (თანამდებობის პირის შეურაცხყოფა, ბრძანების შეუსრულებლობა, დაუმორჩილებლობა და ა.შ.). სამხედრო მოსამსახურეები იღებენ იურიდიულ

პასუხისმგებლობას ისეთ მოქმედებებზეც, რომელთაც ადვილი აქვთ მხოლოდ სამხედრო სამსახურის დროს (ნაწილის თვითნებური დატოვება, დესერტირობა და ა.შ.).

სამართლის ზემოქმედება შეიარაღებული ძალების ცხოვრებასა და საქმიანობაზე ხდება იმავე ძირითადი მიმართულებებით, როგორც მოქალაქე საზოგადოებაში.

1. სამართალი ზეგავლენას ახდენს შეიარაღებულ ძალებში სამკაცობებზე საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, მათ სამართლებრივ ნორმებში განმტკიცების გზით. ასე მაგალითად, კონსტიტუციური ნორმები ამტკიცებენ შეიარაღებული ძალების დანიშნულებას, განსაზღვრავენ სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებებს სამხედრო მშენებლობის სფეროში. საკანონმდებლო აქტებში, ასევე მტკიცდება შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული საფუძვლები, მათი დაკომპლექტების წესი, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა, სამხედრო მოსამსახურეთა სამართლებრივი მდგომარეობა და ა.შ.

2. სამართალი უზრუნველყოფს ჯარში საზოგადოებრივი ურთიერთობების სათანადო ორგანიზაციასა და მკაფიო ფუნქციონირებას. სამართლებრივი ნორმების საფუძველზე იგება სამხედრო მოსამსახურეთა ყოველდღიური ცხოვრება და საბრძოლო მომზადება, საყარაულო და გარნიზონის სამსახური, საბრძოლო მორიგეობა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ნაწილებისა და ქვედანაყოფების მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას.

3. სასამართლო ხელს უწყობს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამყარებას, რომლებიც პასუხობენ შეიარაღებული ძალების განვითარების მოთხოვნილებებს და შეაქვთ ახალი ელემენტები სამხედრო მშენებლობაში. საერთაშორისო დამატებლობის განმუხტვა. შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღებათა შემცირება სახელმწიფოს საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გაანთავისუფლოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სასწრაფო სამსახურისგან.

4. სამართალი უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების, სამხედრო სამსახურის გავლის წესის, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების

დაცვას. შეიარაღებულ ძალებში სამართლის დაცვისათვის შემოქმედება მიმართულია სამართალდარღვევებთან ბრძოლაზე. ის განაპირობებს ნაწილებში წესრიგისა და დისციპლინის მაღალ დონეს.

5. სამართალი მნიშვნელოვან აღმზრდელობით გავლენას ახდენს სამხედრო მოსამსახურეებზე. ის ხელს უწყობს გაცნობიერებულ სამხედრო დისციპლინას, მაღალი ორგანიზებულობის, შემსრულებლობის, აუცილებელი საბრძოლო და ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებას. სამართალი სამხედრო მოსამსახურეებში, ასევე, ამტკიცებს კანონების მკაცრი დაცვის სულიკვეთებას, სამხედრო მართლწესრიგისადმი, სამხედრო სამსახურისადმი პატივისცემას.

ამგვარად, სამართალი წარმოადგენს სამხედრო დისციპლინის განმტკიცების, ჯარის ნაწილების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების კანონიერი უფლებების დაცვის მნიშვნელოვან და აუცილებელ საშუალებას. ის უზრუნველყოფს ნაწილებისა და ქვედანაყოფების ნორმალურ ცხოველქმედებას, მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

## სამართლის პრინციპები

ესაა ძირითადი საწყისი დებულებები, რომლებიც იურიდიულად ამტკიცებენ საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ კანონზომიერებებს

### სწინააღმდეგობა

ფუძემდებლური საწყისები, რომლებიც ხსნიან სამართლის, როგორც მთლიანად საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორის თავისებურებებს.

### დარბაზობა

სახელმძღვანელო საწყისები, რომლებიც ახასიათებენ სამართლის კონკრეტული დარგის (სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ა.შ.) თავისებურებებს

### დარბაზობა

სახელმძღვანელო საწყისები, რომელიც განეკუთვნება სამართლის რამდენიმე მომიჯნავე დარგს.

სამართლის ფუნქციები (როლი)  
საზოგადოების ცხოვრებაში

საზოგადოებრივ ურთიერთობებზე  
ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები

რეგულატიური (ორგანიზაცი-  
ის ფუნქცია)

დაცვითი

ურთიერთობების პოზიტი-  
ური განვითარების სახელმ-  
წიფო რეგულირება

საზოგადოებრივი ურთიერ-  
თობების დაცვა მართლსაწ-  
ინააღმდეგო ხელყოფათაგან,  
პიროვნებისა და საზოგა-  
დოებისთვის მავნე ურთ-  
იერთობების განდევნა

↓ სდგება შემდეგი გზით ↓

ნორმატიულ აქტებში სა-  
ზოგადოებრივი ცხოვრების ოპ-  
ტიმალური ფუნქციონირების,  
პიროვნების თავისუფლებათა  
განვითარების წესების, უფლე-  
ბების, თავისუფლებების, სა-  
მართლებრივი სტატუსის გან-  
მტკიცებით

საზოგადოებისთვის სა-  
შიში ქმედებების ჩადენაზე  
აკრძალვების დადგენით



სამართლებრივი მექანიზ-  
მის დადგენით, რომელმაც უნდა  
უზრუნველყოს სამართლებრივი  
მითითებების ეფექტური რეალ-  
იზაცია და საზოგადოებრივი ცხ-  
ოვრების ორგანიზებულობა

სამართალდარღვევებში  
დამნაშავეთა მიმართ იური-  
დიული სანქციების გამო-  
ყენებით

სამართლებრივი ნორმების სახეები

სამართლებრივი მითითებების  
ელემენტთა გარკვეულობის  
ხარისხის მიხედვით

ასოლუტურიად გარკვეული	შედარებით გარკვეული	ალტერნატიული
--------------------------	------------------------	--------------

იმ პირობა წრის მიხედვით,  
რომლებზეცაა ისინი მიმართული

ზოგადი

სპეციალური

საზოგადოებრივი ურთიერთობების მოცულობის  
მასშტაბებისა და დონის მიხედვით

კონსტიტუციური, ძირითადი, საწყისი, რომლებიც  
ამტკიცებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინ-  
სტიტუტების, ადამიანისა და მოქალაქის სამართ-  
ლებრივი ძღვობარეობის სამართლებრივ საფუძვ-  
ლებს.

ნორმატიული მუხლები — სამართლებრივი  
ცნების შემაღგენელი დეფინიციები.

მუხლი-პრინციპები, რომლებიც აყალიბებენ  
ფუძემდებლურ საწყისებს, რომლებზეც დგას მთე-  
ლი სამართლებრივი სისტემა (დემოკრატიზმი, ჰუ-  
მანიზმი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები,  
კანონიერება და ა.შ.).

## პითხვები ცოდნის განმტკიცებისთვის

1. რატომ გააჩნია ობიექტური ხასიათი სამართლის პრინციპებს?
2. როგორია სამართლის პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკისთვის, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისთვის?
3. შესაძლებელია კონკრეტული იურიდიული საქმე გადაწყდეს სამართლის პრინციპების ვათვალისწინების გარეშე?
4. სამართლის პრინციპების ძირითადი დახასიათება და მათი კლასიფიკაცია.
5. სამართლის ზოგადი პრინციპების ადგილი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემაში.
6. რაში გამოიხატება სოციალური თავისუფლების პრინციპი? მისი ურთიერთკავშირი სოციალური სამართლიანობის პრინციპთან.
7. თანასწორობის პრინციპის თანაფარდობა დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპებთან.
8. რატომ გააჩნია კანონიერების პრინციპს საყოველთაო მნიშვნელობა საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკისთვის.
9. სამართლის დარგთაშორისი და დარგობრივი პრინციპების შემადგენლობა.
10. სამართლის ფუნქციების ცნება. როგორია მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფოს ფუნქციებთან?
11. განმარტეთ სამართლის რეგულატიური ფუნქციის შინაარსი. რა ასრულებს სამართლის სხვა ფუნქციებს, მაგალითად, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ფუნქციებს?
12. როგორია საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის დაცვითი ზემოქმედების მექანიზმი?
13. რაში მდგომარეობს სამართლის ფუნქციური ზემოქმედების სპეციფიკა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიქმნება მხოლოდ შეიარაღებული ძალების პირობებში?

## თავი XI. სამართლის ნორმები და მათი სტრუქტურა

§1. სამართლის ნორმების ცნება და სტრუქტურა.

§2. სამართლებრივ ნორმათა ელემენტების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუსლებში გადმოცემის ხერხები.

§3. სამართლებრივი ნორმების სახეები.

### §1. სამართლის ნორმების ცნება და სტრუქტურა

ადრე აღინიშნა, რომ ფორმალური თვალსაზრისით, სამართალი წარმოადგენს სახელმწიფოდან გამოდინარე ნორმების სისტემას. ამდენად სამართალი შედგება სამართლებრივი ნორმებისგან. **სამართლებრივი ნორმა** — ესაა **სამართლის პირველადი უჯრედი**.

სამართლის ნორმა წარმოადგენს ტიპიური საზოგადოებრივი ურთიერთობების ნიმუშს (მოდელს), რომელსაც ადგენს სახელმწიფო. ის განსაზღვრავს ადამიანთა შესაძლო ან სათანადო ქცევის საზღვრებს, მათი შინაგანი და გარეგანი თავისუფლების საზომს კონკრეტულ ურთიერთდამოკიდებულებებში. სამართლის ნორმა ითვალისწინებს რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა თავისუფლებას ორგვარი გაგებით:

— **ჯერ ერთი**, როგორც სუბიექტის ნების უნარი შეგნებულად აირჩიოს ქცევის ესა თუ ის სახე (შინაგანი თავისუფლება);

— **მეორეც**, როგორც შესაძლებლობა იმოქმედო გარედან, დაისახო და განახორციელო გარკვეული მიზნები გარე სამყაროში (გარეგანი თავისუფლება).

როგორია სამართლებრივი ნორმისთვის დამახასიათებელი ნიშნები?

1. სამართლის ნორმა **დგინდება ან სანქციონირებულია** სახელმწიფოს მიერ. ესაა ქცევის მოდელი, რომელიც მტკიცდება ოფიციალურ სახელმწიფო აქტებში.

2. სამართლის ნორმას გააჩნია **შეთავაზებით-დამავალდებულებელი ხასიათი**. ერთის მხრივ, ის აძლევს თავისუფლებას სუბიექტის კანონიერი უფლებების დაკმაყოფილებაზე მიმართულ

მოქმედებებს. რა არის საკუთრების უფლება? ეს არის ძირითადი საკუთრების თავისუფლება სრული მთავრობით ფლობდეს და განკარგავდეს მის კუთვნილ ნივთს. რა არის კრედიტორის უფლება? ესაა მისი თავისუფლება მოითხოვოს მოვალისგან ვალის დაბრუნება. მეორეს მხრივ, სამართლის ნორმა იძლევა ვალდებულებას განახორციელოს ან არ განახორციელოს გარკვეული ქმედებები, ამგვარად იზღუდავს რა კიდევცელ პირთა თავისუფლება. სამართლებრივი ნორმის ეს შინაარსობრივი მხარე წარმოადგენს ისეთივე არსებითს, როგორც მოქმედებათა შეთავაზებული თავისუფლება. სინამდვილეში თუ წარმოვიდგენთ, რომ პირის თავისუფლება არაფრით არაა შეზღუდული, ასეთ ძველმარეობაში საუბარიც კი არ შეიძლება იყოს სამართალზე. თითოეულ ადამიანს რომ ჰქონდეს სავალდებულო თავისუფლება განკარგოს სხვისი ცხოვრება, ეს ნიშნავს, რომ არავის არ ექნებოდა სიცოცხლის უფლება; თუ არაა სხვისი საგნის მისაკუთრების თავისუფლების შემზღუდავი წესები, მაშინ არავის არ ექნება საკუთრების უფლება.

ამგვარად, სამართლის ნორმა მოიცავს პირთა გარეგანი თავისუფლების შეთავაზებასა და ამავედროულად შეზღუდვას მათ ურთიერთკავშირში. სამართლებრივი ნორმის შეთავაზებით — დამავალდებულებელი ხასიათი საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს უფლებამოსილი სუბიექტების კანონიერი ინტერესების ვალდებულ პირთა მოქმედების მეშვეობით.

3. სამართლებრივი ნორმის რეალიზაცია საჭირო შემთხვევებში უზრუნველყოფილია სახელმწიფო ძალების ზომებით. ნებადართული და საჭირო ქცევის თავისუფლების საზღვრების დარღვევა მოიცავს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სამართალდამრღვევების მიმართ იურიდიული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას. სამართლებრივი ნორმის დაცვითი ხასიათი საშუალებას იძლევა საიმედოდ იქნეს დაცული სახელმწიფოს მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები.

4. ზემოთაღნიშნული ნიშნების (თვისებების) წყალობით სამართლის ნორმები გამოდიან ტიპური საზოგადოებრივი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულატორის სახით (ისეთი ურთიერთობების, როგორიცაა ჯარში მორჩილება, ყიდვა-გაყ-

იღვის ურთიერთობები ქონებრივი გარიგებების დადებისას). ამაში გამოიხატება სამართლებრივი ნორმების სოციალური როლი.

**სამართლის ნორმის სტრუქტურა.** სამართლის ნორმას გააჩნია დამახასიათებელი შიდა წყობა (სტრუქტურა). სამართლებრივი ნორმის სტრუქტურა გვიჩვენებს, თუ რა ელემენტებისგან (ნაწილებისგან) შედგება ნორმა და როგორ ურთიერთკავშირში არიან ეს ნაწილები. ასეთი ელემენტი სამია: ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია.

1. **ჰიპოთეზა (ვარაუდი)** – ესაა სამართლებრივი ნორმის ელემენტი, რომელშიც მითითებულია, რა პირობების დროს უნდა მოხდეს მოცემული წესით ხელმძღვანელობა. ჰიპოთეზაში გადმოცემულია ის ფაქტიური გარემოებები, რომელთა არსებობის დროსაც პირებს გააჩნიათ იურიდიული უფლებები და ვალდებულებები.

2. **დისპოზიცია (განკარგვა)** – ესაა სამართლებრივი ნორმის ელემენტი, რომელშიც მითითებულია, თუ როგორი შეიძლება ან უნდა იყოს ქცევა ჰიპოთეზით გათვალისწინებული პირობების დროს. დისპოზიცია ხსნის ქცევის წესს, პირის იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების შინაარსს.

3. **სანქცია (ჯარიმა)** – ესაა სამართლებრივი ნორმის ელემენტი, რომელშიც განისაზღვრება, თუ სახელმწიფო ჯარიმის რა ზომები შეიძლება იქნეს გამოყენებული დისპოზიციით გათვალისწინებული წესის დამრღვევის მიმართ. სანქცია განსაზღვრავს იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებს სამართლის გარკვეული ნორმის დარღვევაზე.

სამართლის ნორმის ყველა ლოგიკური ელემენტი შეიძლება მოკლედ ჩამოვაცალიბოთ ასე: თუ გამჭირავებელმა გააჭირავა ქონება (ჰიპოთეზა), ის ვალდებულია შეინახოს მოცემული ქონება დამჭირავებლის კანონიერი უფლებების ფარგლებში (დისპოზიცია), წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ შესაძლებელია დამჭირავებლის უფლებების დასაცავად მიმართული სახელმწიფო ზემოქმედების ზომების გამოყენება (სანქცია).

სამართლის ნორმა შეიძლება ასრულებდეს თავის უშუალო

რეგულატიურ ფუნქციებს ყველა მისი სტრუქტურული ელემენტის არსებობისას. წარმოვიდგინოთ, რომ ნორმაში არაა მითითებული გარემოებები, რომელთა დროსაც ის მოქმედებს ანუ არ არსებობს ჰიპოთეზა. ასეთი ნორმა იქნება უსიცოცხლო, რამეთუ ცნობილია, თუ რა პირობების დროს უნდა მოხდეს ხელმძღვანელობა მასში გადმოცემული წესით. თუ ნორმაში არაა დისპოზიცია. ასეთი ნორმის არსებობა „არარაობაა“. კარგავს საერთოდ სოციალური ნორმის თვისებას. ნორმის სტრუქტურაში სანქციის არარსებობისას, მას ეკარგება სამართლებრივი ნორმის თვისება. რამდენადაც სამართლის ნორმის უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს მისი დაცვა სახელმწიფოს მიერ. ამგვარად, სამართლის ნორმას შეუძლია აქტიური ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, იყოს მათი სახელმწიფო რეგულატორი ყველა მისი სტრუქტურული ელემენტის ერთიანობისა და ლოგიკური ურთიერთკავშირის დროს.

## §2. სამართლებრივ ნორმათა ელემენტების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლგვში გადმოცემის ხერხები

თუ გავანალიზებთ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების (კანონებს, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებს) მუხლებს. ჩვენ ყოველთვის აღმოვაჩენთ სამართლებრივი ნორმის სამ ელემენტს. ასე მაგალითად, კონსტიტუციის მუხლებში არის მხოლოდ ჰიპოთეზა და დისპოზიცია, სანქცია კი არ არსებობს. სისხლის სამართლის კანონის რიგ მუხლებში ჰიპოთეზა და სანქცია გადმოცემულია სრული მოცულობით, ხოლო დისპოზიცია კი – ზოგადად. ეს მოწმობს იმას, რომ სამართლის ნორმა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლი ერთმანეთს არ ემთხვევა.

ფაქტიურად, სამართლის ნორმის ელემენტები (ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია) შეიძლება გადმოცემული იყოს ერთი და იმავე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სხვადასხვა მუხლში. ზოგჯერ კი, სხვადასხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლებში. ეს განპირობებულია იმით, რომ ნორმებს გააჩნიათ არაერთგ-

ვაროვანი ფორმა, გამოხატვის საშუალება, ამასთან, ისინი იცავენ ლოგიკურ სტრუქტურასაც. სამართლის ნორმა ხომ ესაა ქცევის ერთიანი, სავალდებულო წესი, რომელიც მოდის სახელმწიფოდან და მისი დაცვის ქვეშაა.

რა არის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლი? ესაა სამართლებრივი ნორმის გამოხატვის ფორმა, გადმოცემის ხერხი.

არსებობს სამართლის ნორმების გადმოცემის შემდეგი ძირითადი ხერხები ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლებში:

**1. გადმოცემის პირდაპირი ხერხი.** ამ ხერხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლში გადმოცემულია სამართლებრივი ნორმის სამივე ელემენტი (ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია). აქ, სამართლის ნორმის ლოგიკური სტრუქტურა ემთხვევა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლის სტრუქტურას. შეიძლება ნორმატიული მასალის ასეთი წყობის მრავალი მაგალითის პოვნა, როცა ის იდეალურად შეესაბამება სამართლის ნორმის სამწევრიან სტრუქტურას.

**2. გადმოცემის მითითებითი ხერხი.** სამართლის ნორმის გადმოცემის ასეთი ფორმის დროს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლებში არ არის ყველა სტრუქტურული ელემენტი, მაგრამ მითითებულია ამავე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სხვა მომიჯნავე მუხლები, სადაც არის სათანადო ცნობები.

**3. გადმოცემის საბლანკეტო ხერხი.** ასეთი ხერხის დროს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლში დგინდება მხოლოდ პასუხისმგებლობა გარკვეული წესების დარღვევაზე. თუმცა, მასში არაა მითითებული თავად წესები და არც ამ კანონის სხვა მუხლი. ასეთ მუხლებში გადმოცემულია ჰიპოთეზა და სანქცია, დისპოზიცია მხოლოდ დასახელებულია, მისი შინაარსი კი არ განიმარტება.

სამართლის ნორმების ელემენტების საბლანკეტო გადმოცემის ხერხის მითითებისგან განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: მითითებითი ხერხის დროს მითითებულია კონკრეტული მუხლი, რომელსაც უნდა მივმართოთ სამართლის ნორმის ელემენტების შესახებ ცნობების მისაღებად. ეს მუხლი შედის იმავე ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში. საბლანკეტო ხერხის დროს არაა

მითითება კანონის კონკრეტულ მუხლზე, არამედ, საჭირო ცნობები სამართლის ნორმის ელემენტების შესახებ უნდა ექცეოდეს სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში ან აქტებში.

ამგვარად, სამართლის ნორმა არაა კანონის მუხლის იდენტური სამართლის ნორმა — ესაა ქვევს ლოგიკურად დასრულებული წესი, ხოლო კანონის მუხლი ესაა მისი დათმობის ნორმა. კანონის მუხლი შეიძლება შეიცავდეს ნორმის მარჯვს ან მისი ელემენტის ნაწილს. სამართლის ნორმა შესაძლებელია გადმოიცეს ერთი ან რამდენიმე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის რიგ მუხლებში. მოცემული გარემოება უნდა გათვალისწინონ ყველამ, ვინც სარგებლობს სამართლის ნორმებით ან აყენებს მათ იურიდიულ პრაქტიკაში.

### §3. სამართლის ნორმების სახეები

სამართლის ნორმები იყოფა გარკვეულ სახეებად სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით.

1. სამართლის დარგების მიხედვით, გამოიყოფა სახელმწიფო, ადმინისტრაციული, შრომითი, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სამართლის სხვა დარგების ნორმები.

2. იმ ფუნქციების მიხედვით, რომელთაც ასრულებენ სამართლის ნორმები. ასეთი სახეობრივი კლასიფიკაცია შეესაბამება სამართლის ფუნქციების დაყოფას რეგულატიურად და დაცვით ფუნქციებად, რომელთა განხორციელებაც ხდება სამართლის შესაბამისი (რეგულატიური ან დაცვითი) ნორმებით.

3. სამართლის ნორმებში არსებული ქცევის წესების სახის მიხედვით. აქ ხდება გამოიჯენა იმის მიხედვით, თუ რას ადგენენ სამართლის ნორმები: ვალდებულებას თუ უფლებას. ამ ნიშნით გამოიყოფა შემდეგი ნორმები:

— დამავალდებულებელი, რომელიც ადგენს ვალდებულებას განხორციელდეს გარკვეული დადებითი მოქმედებები (მაგალითად, ხელშეკრულებით შეთანხმებული სამუშაოს შესრულება, შემკვეთისთვის პროდუქციის მიწოდება და ა.შ.);

— აკრძალვითი, რაც კრძალავს გარკვეული ქმედებების

განხორციელებას (ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, მოქალაქეთა უფლებების დარღვევა და ა.შ.);

– უფლებამოსილების მიმნიჭებელი, რაც საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებს აძლევს უფლებას განახორციელონ დადებითი მოქმედებები საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით (სახლის ფლობა, სასწავლებელში სწავლა და ა.შ.).

**4. ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში სამართლის ნორმათა ელემენტების გადმოცემის გარკვეულობის ხარისხის მიხედვით.** ამ ნიშნით სამართლის ნორმები იყოფა აბსოლუტურად გარკვეულად, შედარებით გარკვეულად და ალტერნატიულად.

– **აბსოლუტურად გარკვეული** – ესაა ნორმები, რომლებიც აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვრავენ მათი მოქმედების პირობებს, ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებსა და ვალდებულებებს ან იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებს მათ დარღვევაზე. ამასთან, დაუშვებელია სამართლის ნორმით გათვალისწინებული მითითების კონკრეტიზაცია. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს პირობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა დროსაც სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს უპირობოდ: თუ განაჩენი გამოტანილია სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მიერ, თუ დარღვეულია მოსამართლეთა თათბირის ფარულობა, თუ განაჩენს ხელს არ აწერს რომელიმე მოსამართლე და ა.შ. აქ, ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად გარკვეული ჰიპოთეზა. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში არის ნორმები აბსოლუტურად გარკვეული დისპოზიციით. მაგალითად, სასამართლოსთვის მითითება დაატოვებინოს სასამართლო სხდომის დარბაზი ყველა მოწმეს, რომელიც გამოცხადდა მისი დაკითხვის დაწყებამდე. აბსოლუტურად გარკვეული სანქციები ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს იურიდიული პასუხისმგებლობის სახესა და ზომას, სამართლის ნორმის დარღვევაზე (მაგალითად, ჯარიმა).

– **შედარებით გარკვეული** – ესაა ნორმები, რომლებიც არ შეიცავენ საკმაოდ სრულ ცნობებს მათი მოქმედების პირობების, საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებისა და ვალდებულებების ან იურიდიული პასუხისმგებლობის ზომე-

ბის შესახებ და აძლევს შესაძლებლობას სამართალგამოყენებით ორგანოებს გადაწყვიტონ საქმე და აძლევს შესაძლებლობას სამართალგამოყენებით ორგანოებს გადაწყვიტონ საქმე კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

— **ალტერნატიული — ესაა ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ მათი მოქმედების რამდენიმე ვარიანტს, პირობას. მხარეთა ქცევას ან სანქციას მათ დარღვევაზე ასე მაგალითად, თუ სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით მფიდველს, რომელსაც მიჰყიდეს არაშესაბამისი ხარისხის ნივთი, უფლება აქვს ან შიშობოს ნივთის შესაბამისი ხარისხის ნივთით შეცვლა ან მისი ფასის თანაბარ ზომიერი ვაწყვა ან მკლავების ხარჯების ანაზღაურება მის გამოსწორებაზე. ალტერნატიული სანქციები შეიცავს სასჯელის რამდენიმე ვარიანტს, რომელთაგან ერთერთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდამრღვევის მიმართ. მაგალითად, მინდორსაცავი და სხვა სახის ნარგავების დაზიანება განზრახ შეიძლება ითვალისწინებდეს გამოსასწორებელ სამუშაოებს 1 წლამდე ვადით ან ჯარიმას ან ვალდებულებას გამოასწოროს მიყენებული ზიანი.**

**5. პირთა წრის მიხედვით სამართლის ნორმები იყოფა ზოგადად და სპეციალურად. ზოგადი ნორმები ვრცელდება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირზე. სპეციალური ნორმები მოქმედებს მხოლოდ გარკვეული კატეგორიის პირების (მასწავლებლების, ექიმების, სამხედრო მოსამსახურეების პენსიონერების) მიმართ.**

**6. სამართლის სპეციალიზებული ნორმები. მათი კლასიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი სამართლებრივი რეგულირების პროცესში. რეგულატიური და დაცვითი ნორმებისგან განსხვავებით, ისინი არ ატარებენ დამატებით ხასიათს, რამდენადაც არ შეიცავენ ქცევის გარკვეულ წესებს. სპეციალიზებულ ნორმებს გააჩნიათ შემდეგი ნაირსახეობები:**

— **განმტკიცებითი — ნორმები, რომლებშიც განზოგადებული სახითაა გამოხატული რეგულირებადი ურთიერთობების გარკვეული ელემენტები. მაგალითად, ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ვალდებულებების შესრულების ზოგად პირობებს**

სამოქალაქო სამართალში; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები, რომლებიც აღვყენ დანაშაულის, სასჯელის, სასჯელისგან განთავისუფლების ერთიან ნიშნებს;

- **დეფინიტიური - ნორმები**, რომლებშიც მოცემულია იურიდიული ცნებებისა და კატეგორიების მეცნიერულად ჩამოყალიბებული განსაზღვრებები (მაგალითად, დანაშაულის, სამოქალაქო უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის ცნება და ა.შ.);

- **ნორმა-პრინციპები - ნორმები**, რომლებშიც ჩამოყალიბებულია იურიდიულ ნორმათა მოცემული ერთობლიობის ამოცანები და ზოგადი ან დარგობრივი სამართლებრივი პრინციპები (სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები, სამოქალაქო კანონმდებლობის ამოცანები და ა.შ.).

სამართლის ნორმების კლასიფიკაცია შეიძლება სხვა საფუძვლების მიხედვითაც (მაგალითად, მოქმედების დროს, იურიდიული ძალის მიხედვით). თუმცა, ყველა შემთხვევაში იხინი ასრულებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულატორის როლს, ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებას, იცავენ მას ხელყოფისგან ცალკეული პირების მხრიდან. სამართლებრივი ნორმების სამეცნიერო კლასიფიკაცია ემსახურება მათ უფრო ღრმა გაგებას და პრაქტიკაში სწორ გამოყენებას.

სამართლის  
ნორმა

სამართლის სისტემის პირველადი ელემენტი, იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესი, მომდინარე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებიდან დამტკიცებული ან სანქცირებული ოფიციალურ აქტში (კანონში, ბრძანებულებაში და ა.შ.) და დარღვევებისგან დაცული სახელმწიფო იძულების ზომებით. დგინდება ან სანქცირებულია

სამართლის  
ნორმების  
ნიშნები

სახელმწიფოს მიერ;

განსაზღვრავს სუბიექტთა შესაძლო და სათანადო ქცევის სავალდებულო საზღვრებს;

გააჩნიათ შეთავაზებით-დამავალდებულებელი ხასიათი;

მათი რეალიზაცია აუცილებელ შემთხვევებში უზრუნველყოფილია იძულებითი სახელმწიფო ზომებით;

გამოდიან ტიპიური საზოგადოებრივი ურთიერთობის სახელმწიფო რეგულატორად.

სამართლებრივი ნორმის ღირებუანი სტრუქტურა

სტრუქტურა

პიპოტეზა	დისპოზიცია	სანქცია
განსაზღვრ	განმარტება	ჯარიმა



სამართლის ნორმის ნაწილი, რომელიც მოუთითებს თუ რა გარემოებების დროს მოქმედებს ნორმა, განსაზღვრავს სუბიექტთა წრეს, მათ უფლებებსა და ვალდებულებებს	ნორმის ნაწილი, რომელიც აცალიბებს უფლებებსა და ვალდებულებებს, თავად ქცევის წესს	ნორმის ნაწილი, რომელიც ადგენს სახელმწიფო უბოქმედების (იძულების) ზომებს, რაც გამოიყენება მისი დარღვევის დროს
---	--	---

სამართლებრივი ნორმის ელემენტების ნორმატიულ-სამართლებრივ აქტების მუხლებში გადმოცემის ფორმები



სრული მუხლში გადმოცემულია სამართლებრივი ნორმის ყველა აუცილებელი ელემენტი (პიპოტეზა, დისპოზიცია, სანქცია) სხვა მუხლებზე მითითების გარეშე	მითითებითი მუხლში არაა მოცემული სამართლებრივი ნორმის ყველა ელემენტი, მაგრამ მითითებულია ამავე აქტის სხვა მუხლები, სადაც არის სათანადო ცნობები	საკლანკეტო მუხლში დასახელებულია მხოლოდ წესები ან დგინდება პასუხისმგებლობა მათ დარღვევაზე, თუმცა თვითონ ქცევის წესები შედის სხვა ნორმატიულ აქტში.
---	---	--

სამართლის როლი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების  
ფუნქციონირებასა და საქმიანობაში

**ამტკიცებს** სამართლებრივ ნორმებში შეიარაღებული ძალების  
პირობებში წარმოქმნილ სპეციფიკურ საზოგადოებრივ  
ურთიერთობებს

**უზრუნველყოფს** მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ურთიერ-  
თობების მოწესრიგებას, დალაგებას, ორგანიზებულ-  
ბას შეიარაღებულ ძალებში.

**იცავს** მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან შეიარაღებული ძალებ-  
ის ბრძოლისუნარიანობას, სამხედრო დისციპლინას,  
მსახურების წესს, სამხედრო მოსამსახურეებისა და  
მათი ოჯახების უფლებებსა და კანონიერ ინტერე-  
სებს.

**ახდენს** აღმზრდელობით ზეგავლენას სამხედრო მოსამსახურეე-  
ბზე.

## პითხვები ცოდნის განმტკიცებისთვის

1. სამართლის ნორმა, როგორც სამართლის სისტემის პირველადი ელემენტი, მისი ნიშნები და რეგულატიური შესაძლებლობები.
2. რას ნიშნავს სამართლის ნორმის შეთავაზებით-დამაგაღლებულუ-ბელი წახილი?
3. ნამდვილად განსაზღვრავს სამართლის ნორმა ადამიანის შინა-განი და გარეგანი თავისუფლების ზომას. რაში გამოიხატება ეს?
4. რა არის სამართლის ნორმის სტრუქტურა?
5. განმარტეთ სამართლის ნორმის ლოგიკური სტრუქტურული ელემენტების მიხაარსი.
6. შეუძლია სამართლის ნორმას შეასრულოს სახელმწიფო-რეგუ-ლატიური ფუნქციები, მისი თუნდაც ერთ-ერთი სტრუქტურუ-ლი ელემენტის არარსებობისას?
7. იქვენთვის უცნობია სამართლის ნორმების მოქმედების პირობე-ბი. შესაძლებელია მისი მითითებების გამოყენება გარკვეული ცხოვრებისეული გარემოებების მიმართ?
8. ყოველთვის არის შესაძლებელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მუხლებში ჰიპოთეზის, დისპოზიციის და სანქციის აღმოჩენა მათი ლოგიკური ერთიანობით?
9. რომელი სამართლის ნორმათა ელემენტების გადმოცემის ხე-რხებია იქვენთვის ცნობილი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტე-ბის მუხლებში?
10. რაში გამოიხატება სამართლებრივი ნორმის ლოგიკური ელე-მენტების გადმოცემის მითითებითი ხერხის განსხვავება სა-ბლანკეტოსგან?
11. სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია და მისი დანიშნულება სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკისთვის.

## თავი XII. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და მათი სისტემატიზაცია

§1. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ცნება, მისი თავისებურებები და განსხვავება სამართლის სხვა ფარგლებიდან. §2. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სახეები. §3. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია. §4. საინფორმაციო სამსახური კანონმდებლობის თაობაზე.

§1. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ცნება, მისი თავისებურებები და განსხვავება სამართლის სხვა ფარგლებიდან

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფოს სამართლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. მასში გამოიხატება სამართლებრივი ნორმების უმრავლესობა, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვან ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. სამართლის სხვა წყაროები (სამართლებრივი წეს-ჩვეულებები, სასამართლო და ადმინისტრაციული პრეცედენტები) არ ფლობენ ზოგადრეგულატიურ მნიშვნელობას. ისინი თამაშობენ ნაწილობრივ, დამხმარე ან დამატებით როლს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში.

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში მტკიცდება ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ მთლიანად უმრავლესობისა და უმცირესობის ინტერესებს, ახდენენ მათ კოორდინაციას მოცემულ ისტორიულ პერიოდში კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული და საერთაშორისო ურთიერთობების მიხედვით.

მსოფლიო იურიდიული მეცნიერება სამართლის წყაროებს განიხილავს სამართლის ნორმების შინაარსთან უწყვეტ ერთიანობაში. იურიდიული ნორმების გამოხატვას წეს-ჩვეულებებში, პრეცედენტში, სასამართლო პრაქტიკაში გააჩნია კაზუისტური და არა ყოველთვის მუდმივი ხასიათი. ეს ნორმები ყალიბდება თანდათან,

კერძო შიშთხვევების განმეორების, ქვევის გარკვეული წესის გამოყენების მიხედვით. ამიტომ იურიდიულ ნორმებს არ შეუძლიათ აღნიშნულ ფორმებში ასახონ ზოგადი და საკმაოდ გარკვეული გამოხატულება.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან, საზოგადოებრივი ურთიერთობების გართულებასთან ერთად, ეს საზოგადოებრივი დადგენილებები აფერხებენ საზოგადოებრივ პროგრესს. როგორც აღნიშნავდა ნ.მ. კორკუნიანი, „სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მოწოდებულია შეინარჩუნოს და დაიცვას სამართლის ბატონობა, არ შეიძლება შეეფუოს საქმის ასეთ მდგომარეობას, თოვორც კი საკმარისად მტკიცდება და ორგანიზებული ხდება, ის ცდილობს ეველგან თავის ადვილზე დააყენოს ჩვეულებრივი სამართლის გაურკვეველი საწყისები და მის მიერ ჩამოყალიბებული და შეძლებს დაეკარად ზოგადი დებულებები ან კანონები“.

გადახველი ნორმატიულ რეგულირებაზე ხდება ეკოლუციურად. თავიდან ნორმატიული რეგულირება ვრცელდებოდა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებზე, რომელიც უშუალოდ ეხებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებს. კერძო ქონებრივა და ოჯახური ურთიერთობები ხანგრძლივი დროის მანძილზე რჩებოდა ჩვეულებრივი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის შემოქმედების ქვეშ. დროთა განმავლობაში ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება ფართოვდება, იქვემდებარებს რა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებს და ამგვარად ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების უპირატესი ფორმა.

ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს გააჩნია შემდეგი ნიშნები:

1. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი იქმნება სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობისა და საყოველთაო ნების გამოხატვის (რეფერენდუმის) შედეგად. სამართალშემოქმედებითი საქმიანობა წარმოადგენს ისეთ სახელმწიფო საქმიანობას, რომელიც გამოიხატება სამართლის ნორმების გამოცემაში და ასევე დრომოკმული სამართლის ნორმების სრულყოფასა და გაუქმებაში.

**სამართალშემოქმედება** – ესაა საქმიანობა, მიმართული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მომზადებაზე, გამოცემაზე და სრულყოფაზე. მას გააჩნია ორი ძირითადი ფორმა: უშუალო სამართალშემოქმედება და გაშუალებული (სახელმწიფო) სამართალშემოქმედება.

**უშუალო სამართალშემოქმედება** ხორციელდება კონსტიტუციური წესით ჩატარებული რეფერენდუმების შედეგად, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღებას ან უარყოფას.

**სახელმწიფო სამართალშემოქმედება** გამოიხატება კანონით დადენილი წესით, სამართლის ნორმების დადგენაში, ცვლილებაში ან გაუქმებაში. მასვე უერთდება სახელმწიფო მიერ სანქცირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნორმატიული აქტები. ამასთან, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შექმნილი ნორმები იძენენ სახელმწიფოს მიერ დაცული სამართლებრივი ნორმების თვისებებს.

2. **ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში შედის მხოლოდ სამართლის ნორმები ანუ სახელმწიფო ვალდებულების მქონე ზოგადი ხასიათის წესები.** ამიტომ, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები უნდა განვასხვავოთ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისგან, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართლის წყაროებს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ავრცელებს თავის მოქმედებას სამართლის კონკრეტულ სუბიექტებზე. ის გათვლილია ერთჯერად გამოყენებაზე და უშუალოდ ეხება გარკვეულ პირებს და წყვეტს მოქმედებას კონკრეტული უფლების ან ვალდებულებების რეალიზაციასთან ერთად (მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს მიერ კონკრეტული პირისათვის პენსიების დანიშვნა).

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები წარმოადგენენ სამართლებრივი ნორმების ზოგადი მითითებების რეალიზაციის მნიშვნელოვან და აუცილებელ საშუალებას. მათ გააჩნიათ სავალდებულო სახელმწიფო ხასიათი, მათი განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების (სასამართლოს,

მერიის, არბიტრაჟის) მიერ, თუმცა ისინი არ წარმოადგენენ სამართლის წყაროებს, რამდენადაც არ შეიცავენ სამართლის ნორმებს. სამართლებრივი ნორმებისგან განსხვავებით, მათი მითითებები ეხება პერსონიფიცირებულ პირებს და კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს.

3. **ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის, როგორც სამართლის წყაროსგან უნდა განვასხვავოთ სამართალმცოდნეობის წყაროები ანუ სამართლის შესახებ ჩვენი ცოდნის წყაროები.** ჩვენ ცნობებს სამართლის ნორმების შესახებ ვიღებთ სხვადასხვა სახის ისტორიული სამართლებრივი ძეგლებიდან, განონმდებლობის კრებულებიდან, პროფესიონალი იურისტების აწარმოებებისგან. ყოველივე ეს სამართლებრივი ნორმების ჩვენი უფლები შეცნობის წყაროა და არა სამართლის წყარო.

4. **ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი ფორმდება ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტის სახით, რომელსაც გააჩნია სავალდებულო ატრიბუტები:** აქტის დასახელება (კანონი, ბრძანება, დადგენილება); აქტის მიმღები ორგანოს დასახელება (პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო).

5. **ნორმატიულ აქტებში სამართლის ნორმები ჯგუფდება გარკვეული სტრუქტურული წარმონაქმნების:** კარების, თავების, მუხლების მიხედვით (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი: კარი: „სავალდებულო უფლება“, თავი „ვალდებულებების შესრულება“, მუხლი „ვალდებულების ვადამდელი შესრულება“).

ამდენად, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი ესაა სამართალმცოდნეობის ოფიციალური აქტი, რომელშიც შედის სამართლის ნორმები.

## §2. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სახეები

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა საფუძველით: იურიდიული ძალის, შინაარსის, მოქმედების მოცულობისა და ხასიათის, მათი გამოძცემი სუბიექტების მიხედვით.

იურიდიული ძალის მიხედვით ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი იყოფა კანონებად და კანონჩვეულებარე აქტებად ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების იურიდიული ძალა წარმოადგენს მათი კლასიფიკაციის ყველაზე არსებით ნიშანს. ის განსაზღვრავს მათ ადგილს და მნიშვნელობას სახელმწიფო ნორმატიული რეგულირების ზოგად სისტემაში.

სამართალშემოქმედების თეორიაშია და პრაქტიკის შესასრულებლად ზემდგომი სამართალშემოქმედებითი ორგანოების აქტებს განაწილათ უფრო მაღალი იურიდიული ძალა, ვიდრე ქვემოთში სამართალშემოქმედებითი ორგანოების აქტებს. ამ უკანასკნელის გამოყენება ხდება ზემდგომი სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესრულებას მაზნით.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ასევე, იყოფა შინაარსის მიხედვით. ასეთი დაყოფა პირობითია. ობიექტურად ეს პირობითობა აიხსნება იმით, რომ ყველა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში როდია ერთგვაროვანი შინაარსის ნორმები (მაგალითად, შრომის, ოჯახური, სისხლის სამართლის კანონმდებლობა). თუმცა, დარგობრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად მოქმედებს კომპლექსური ხასიათის მქონე აქტებიც. სამეურნეო, სავაჭრო, სამხედრო, საზღვაო კანონმდებლობა — კომპლექსური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მაგალითები.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები მოქმედების მოცულობისა და სახის მიხედვით იყოფა:

— ზოგადი მოქმედების აქტებად, რომლებიც მოიცავენ მოცემულ ტერიტორიაზე კარკვეული სახის ურთიერთობების მოვლს ერთობლიობას;

— შეზღუდული მოქმედების აქტებად — ვრცელდება მხოლოდ ტერიტორიის ნაწილზე და მოცემულ ტერიტორიაზე მყოფ პირთა კარკვეულ კონტინგენტზე;

— განსაკუთრებული (საგანგებო) მოქმედების აქტებად. მათი რეგულატიური შესაძლებლობების რეალიზება ხდება მხოლოდ განსაკუთრებული ვარემოებების (სამხედრო მოქმედებები, სტიქიური უბედურებები) დადგომისას.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები სახელმწიფო სა-

მართალ შემოქმედების ძირითადი სუბიექტების მიხედვით იყოფა საკანონმდებლო ხელისუფლების აქტებად (კანონები); აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებად (კანონქვემდებარე აქტები); სასამართლო ხელისუფლების აქტებად (ზოგადი ხასიათის იურისდიქციული აქტები).

**კანონი.** ესაა თანამედროვე სახელმწიფოს მთავარი და უპირატესი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი. კანონის განსაზღვრა შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე: ესაა სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაკუთრებული საკანონმდებლო წესით გამოყენებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა და არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნილებების თვალსაზრისით.

მოცემული განსაზღვრებიდან გამომდინარეობს კანონის, როგორც სამართლის ძირითადი წყაროს, ასევე უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ნიშნები:

1. კანონების მიღება ხდება **სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ან თავად ხალხის მიერ რეფერენდუმის შედეგად;**

2. კანონების მიღება ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად, ყველაზე არსებით საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ პიროვნების ინტერესების ოპტიმალურ დაკმაყოფილებას;

3. კანონები მიიღება **განსაკუთრებული საკანონმდებლო წესით**, რაც არ ახასიათებს კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს. **კანონის მიღება მოიცავს ოთხ სავალდებულო სტადიას:** კანონპროექტის შეტანას საკანონმდებლო ორგანოში; კანონპროექტის განხილვას; კანონის მიღებას; მის გამოქვეყნებას. კანონის მიღება რეფერენდუმის შედეგად ასევე ხდება რეფერენდუმის შესახებ კანონით გათვალისწინებული საკანონმდებლო წესით;

4. კანონები არ ექვემდებარებიან **კონტროლს ან დამტკიცებას სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს მხრიდან**. მათი გაუქმება ან ცვლილება შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუ-

ფლების მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ცნოს არაკონსტიტუციურად, თუმცა, მისი გაუქმების პრეროგატივა საკანონმდებლო ორგანოს ეკუთვნის.

5. კანონები წარმოადგენენ სახელმწიფოს მთელი სამართლებრივი სისტემის ბირთვის. ისინი განაპირობებენ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მთელი ერთობლიობის სტრუქტურას, თითოეული მათგანის იურიდიულ ძალას, ამ აქტების სუბორდინაციას ერთმანეთთან მიმართებაში.

თავის მხრივ კანონები იყოფა კონსტიტუციურად და ჩვეულებრივად. კონსტიტუციური კანონები განსაზღვრავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის ძირითად საწყისებს, პიროვნებისა და ორგანიზაციების სამართლებრივ მდგომარეობას. კონსტიტუციური კანონების საფუძველზე იგება მთელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემა. ჩვეულებრივი კანონების მიღება და მოქმედება ხდება კონსტიტუციურ აქტებთან მკაცრ შესაბამისობაში, ისინი ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული და შეზღუდული სფეროების რეგლამენტირებას.

## **კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები**

კანონქვემდებარე აქტებს კანონებთან შედარებით გააჩნიათ ნაკლები იურიდიული ძალა. ისინი ეყრდნობიან კანონების იურიდიულ ძალას და არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ მათ. კანონქვემდებარე აქტები მოწოდებულნი არიან დააკონკრეტონ კანონების ძირითადი, პრინციპული დებულებები სხვადასხვა სახის ინდივიდუალურ ინტერესებთან მიმართებაში.

შინაარსის მიხედვით კანონქვემდებარე აქტები წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს აქტებს. გამოცემის სუბიექტებისა და გავრცელების სფეროს მიხედვით ისინი იყოფიან ზოგად, ადგილობრივ, საუწყებო და შიდასაორგანიზაციო აქტებად.

1. **ზოგადი კანონქვემდებარე აქტები.** ესაა ზოგადი კომპეტენციის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომელთა მოქმედებაც ვრცელდება ყველა პირზე ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში. ზოგადი კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით ხდება საზოგადოების სახელმწიფო მართვა, საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხების კოორდინირება.

ზოგად კანონქვემდებარე აქტებს განეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი (ცენტრალური) ორგანოების ნორმატიული მოქმედებითი მითითებები. ისინი მომდინარეობენ ქვეყნის პრეზიდენტის ან მთავრობის მეთაურისგან. სახელმწიფო მართვის ფორმის (საპრეზიდენტო ან საპარლამენტო) მიხედვით, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები გამოხატულებას პოულობენ ორი სახის კანონქვემდებარე აქტში.

**პრეზიდენტის ნორმატიული ბრძანებულებები.** კანონქვემდებარე აქტების სისტემაში მათ გააჩნიათ უმაღლესი იურიდიული ძალა და გამოცემა ხდება კანონების საფუძველზე და მათი განვითარებისთვის. პრეზიდენტის უფლებამოსილებები სამართალმომოქმედებით საქმიანობაში განისაზღვრება ქვეყნის კონსტიტუციით ან სპეციალური საკონსტიტუციო კანონებით.

**მთავრობის დადგენილებები.** ესაა პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობაში მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელთა მიხედვითაც ხდება ეკონომიკის, სოციალური მშენებლობის, ჯანდაცვის, განათლების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის სახელმწიფო მართვის საკითხების დარეგულირება.

2. **ადგილობრივი კანონქვემდებარე აქტები.** ესაა ადგილებზე წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. მათ გამოსცემენ წარმომადგენლობითი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ამ აქტების მოქმედება შეზღუდულია მათი ქვემდებარე ტერიტორიით. ეს ასევე შეიძლება იყოს საბჭოს, მუნიციპალიტეტის, მერიის, პრეფექტის ნორმატიული გადაწყვეტილებები ან დადგენილებები ადგილობრივი ხასიათის საკითხებზე.

3. საუწყებო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები (ბრძანებულებები, დადგენილებები). რიგ ქვეყნებში სამთავრობო ორგანოების (სამინისტროების, უწყებების) გარკვეული სტრუქტურული ქვედანაყოფები ფლობენ სამართალშემოქმედებით ფუნქციებს. ესაა ზოგადი მოქმედების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, თუმცა ისინი ვრცელდება საზოგადოებრივი ურთიერთობების შეზღუდულ სფეროზე (საბაჟო, საბანკო, სატრანსპორტო, სახელმწიფო-საკრედიტო და სხვ.).

4. შიდასაორგანიზაციო კანონქვემდებარე აქტები. ესაა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოცემული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები შიდა საკითხების რეგლამენტაციისთვის და ვრცელდება ამ ორგანიზაციების წევრებზე.

თანამედროვე სახელმწიფოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემა არაერთგვაროვანია. ეს აიხსნება ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის ფორმის თავისებურებით, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, ნაციონალური და სხვა ფაქტორებით. ნორმატიულ-სამართლებრივი სისტემების უმეტესობა მაინც იგება აქტის იურიდიული ძალის ხარისხის ნიშნის მიხედვით. ყველა კოლიზიას, წინააღმდეგობას კანონქვემდებარე აქტებს შორის ცივილიზებულ სახელმწიფოში წყვეტს კანონი, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების იურიდიული ძალის ხარისხი განსხვავებულია, თუმცა მათში შესული ნორმების სავალდებულობა ერთნაირია ყველასთვის, ვისაც ეხება მათი მითითებები. ეს პრინციპული მდგომარეობა შეადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების საფუძველს.

დასასრულს, საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმატიულ რეგულირებაში მთავარი და განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს კანონს. კანონქვემდებარე აქტები თამაშობენ მხოლოდ დამხმარე და მადეტალიზებელ როლს. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად მხარეს და ის წარმოადგენს პიროვნების ძირეული ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების მთავარ გარანტს.

## სასამართლო ხელისუფლების აქტები

სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებები ნორმატიულ ბუნებას იძენს სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად, რაც ატარებს ინდივიდუალურ, სამართალგამოყენებით სახეს. სასამართლო პრაქტიკა გამოდის სამართლის წყაროდ იმ შემთხვევებში, როცა ნორმატიული მითითებების გაურკვევლობის, მინაღმდეგობის ძალით სასამართლო იძულებულია დააკონკრეტოს ან დააზუსტოს სამართლებრივი ნორმების შინაარსი ან შექმნას ახალი ნორმები სამართალში აღმოჩენილი ხარვეზების შედეგად.

სასამართლოების სამართალშემოქმედებითი ფუნქციები ყალიბდება თავად სასამართლო პრაქტიკით, კანონით გაუთვალისწინებელი ზოგადი ცხოვრებისეული შემთხვევების სამართლებრივი რეგულირების მოთხოვნილებებით. სასამართლო ხელისუფლების შემადგენელი ორგანოები არა მხოლოდ აკონკრეტებენ სამართლის მოქმედ ნორმებს, არამედ ქმნიან კიდევ ახალ სამართლებრივ ნორმებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, იურიდიული საქმეების პრაქტიკული გადაწყვეტის დროს წარმოქმნილ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების სახელმძღვანელო განმარტებით მიზნით (ასეთი ნორმების მაგალითად გამოდგება უზენაესი სასამართლოს დადგენილებები).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასამართლო პრაქტიკის სავალდებულო ძალა მდგომარეობს არა თავად მასში, არამედ საკანონმდებლო ხელისუფლების ბრძანებებში. სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოების სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მთლიანად ეფუძნება მის კანონიერ უფლებამოსილებებს კანონიერების და სამართლის მოცემული სისტემის პრინციპების ჩარჩოებში.

### §3. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები იქმნება სახელმწიფოს სხვადასხვა სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერ მათ გააჩნია არაერთგვაროვანი იურიდიული ძალა, დაუმოქმედებელი დროითი მოქმედება და ვრცელდება სხვადასხვა სუბიექტზე და განსხვავებული ტერიტორიულ სივრცეს. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში მათ შორის ხდება წინააღმდეგობები. ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი მჯობინებულ მარეობს კანონმდებლობის სისტემატიზაციაში.

კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზანია მართლწესრიგის სტაბილიზაცია, ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების ისეთი ინსტრუმენტად ქცევა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ ფუნქციონირებას, სახელმწიფო საქმეების ყველაზე ეფექტურ მართვას პიროვნების ინტერესებში.

**ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების (კანონმდებლობის) სისტემატიზაცია ესაა სამართლებრივი ნორმების მოწესრიგებისა და სრულყოფაზე მიმართული საქმიანობა**

სისტემატიზაციის შედეგად აღმოიფხვრება წინააღმდეგობები სამართლებრივ ნორმებს შორის, უქმდება ან იცვლება მოძველებული ნორმები და იქმნება ახალი, უფრო სრულყოფილი ნორმები, რაც პასუხობს საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს. ხდება მათი დაჯგუფება გარკვეული სისტემური ნიშნებით კოდექსებში, კანონმდებლობის კრებულში და სხვა სისტემატიზირებულ აქტებში.

იმ სახელმწიფოებში, სადაც მოქმედებს პრეცედენტული ან ჩვეულებრივი სამართალი, სამართლებრივი ნორმების სისტემატიზაცია წარმოადგენს რთულ პრობლემას, რამდენადაც თანამედროვე კანონმდებლობა მხოლოდ ფორმალურად ცნობს პრეცედენტებისა და სამართლებრივი წეს-ჩვეულებების ნორმატიულ-სამართლებრივ შესაძლებლობას.

რელიგიური სამართლის კანონები (მუსულმანური, ბუდისტური) არ შეიძლება არ იყოს ვათვალისწინებული იმ სახელმწიფოების კანონმდებლობის სისტემით, სადაც მოცემული კანონები წარმოადგენენ გაბატონებულს მოსახლეობის უმრავლესობაში. თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების ზოგადსაკაცობრიო, არარელიგიური,

არანაციონალური ინტერესები წარმოადგენენ კარგ ნიადაგს ისეთი ნორმატიულ-სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირებისათვის, რომელიც ჰარმონიულად ითვალისწინებს ადამიანთა განსხვავებულ რელიგიურ და ეროვნულ მოთხოვნილებებს.

ამჟამად გამოიყენება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციის სამი ძირითადი ფორმა: კოდიფიკაცია, ინკორპორაცია, კონსოლიდაცია.

**I. კოდიფიკაცია** — ესაა სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი ორგანოების საქმიანობა ახალი, კრებსითი, სისტემატიზირებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის შექმნის თაობაზე, რომელიც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის ღრმა და ყოველმხრივი გადამუშავებისა და მასში ახალი არსებითი ცვლილებების შეტანის გზით.

კანონმდებლობის კოდიფიკაცია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით. **ჯერ ერთი**, კოდიფიკაციის საქმიანობა არის მხოლოდ კომპეტენტური სამართალშემოქმედებითი ორგანოების პრეროგატივა კონსტიტუციური ან სხვა კანონიერი უფლებამოსილებების საფუძველზე.

**მეორეც**, კოდიფიკაციის შედეგად იქმნება ახალი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს ადრე მოქმედისგან არსებითად განსხვავებულ ნორმებს.

**მესამეც**, საკოდიფიკაციო აქტი წარმოადგენს კრებსით აქტს, რამდენადაც მასში გაერთიანებულია ადრე სხვადასხვა აქტში არსებული ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთსა და იმავე სფეროს.

**მეოთხეც**, საკოდიფიკაციო აქტი არის ძირითადი აქტებს შორის, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სფეროში. ასეთი აქტი ძირითადად არეგულირებს სამართლის მოცემული დარგის რეგულირების საგნის საზოგადოებრივ ურთიერთობებს (მაგალითად, მიწის კოდექსი).

**მეხუთეც**, კოდიფიკაციის შედეგად შექმნილი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები გათვლილია საზოგადოებრივი ურთიერთობების ხანგრძლივ რეგულირებაზე. ისინი ითვალისწინებენ შესაძლო ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არეგულირებენ უფრო

სრულყოფილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ მომავალში.

**კოდიფიკაცია** — ესაა კანონმდებლობის სისტემატიზაციის ყველაზე რთული და სრულყოფილი ფორმა. მისი მეშვეობით იქმნება ერთიანი, იურიდიულად და ლოგიკურად მთლიანი, შინაგანად შეთანხმებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი. საკოდიფიკაციო აქტები შინაარსისა და დასახელების მიხედვით იყოფა სამ ძირითად სახედ:

1. **კანონმდებლობის საფუძვლები** — ესაა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს სამართლის გარკვეული დარგის ან სახელმწიფო მართვის სფეროს უმნიშვნელოვანეს დებულებებს (ძირითად საწყისებს). კოდიფიკაციის ასეთი ფორმა გამოიყენება ფედერაციულ სახელმწიფოებში.

2. **კოდექსი** — საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში მოქმედი საკოდიფიკაციო აქტების ყველაზე გავრცელებული სახე, რომელიც მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას (სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, საბაჟო კოდექსი და ა.შ.).

3. **წესდება, დებულება** — ესაა სპეციალური მოქმედების საკოდიფიკაციო აქტები, რომელთა გამოცემაც ხდება არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ სხვა სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერაც (მაგალითად, პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ). საკოდიფიკაციო აქტებს წარმოადგენს სამხედრო წესდებები შეიარაღებულ ძალებში, რკინიგზის წესდება.

თანამედროვე სახელმწიფოებში საკოდიფიკაციო აქტების მნიშვნელოვან რაოდენობას არ გააჩნია სპეციალური დასახელება. ესაა სხვადასხვა სახის კანონები: საკუთრების, საპენსიო უზრუნველყოფის, სამხედრო სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ა.შ.

**II. ინკორპორაცია** წარმოადგენს მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კრებულებში გაერთიანებას გარკვეული წესით, შინაარსის ცვლილების გარეშე.

ინკორპორაციის შედეგად ხდება მოქმედი კანონმდებლობის გარეგანი დამუშავება. რას ნიშნავს ეს?

1. გარეგანი დამუშავებისას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ლაგდება გარკვეული წესით: ანბანური, ქრონოლოგიური ან საგნობრივი წესით ანუ მიიღწევა მათი გარეგანი მოწესრიგება.

2. კანონმდებლობის ან ინკორპორაციულ კრებულებში შესული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შინაარსი არსებითად არ იცვლება. მათში არაა შესული მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც გაუქმებულია კანონიერი წესით ან ცნობილია ბათილად.

ინკორპორაციას ახორციელებს სისტემატიზირებადი ორგანო (მაგალითად, იუსტიციის სამინისტრო), რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება გააუქმოს, შეცვალოს ან დაადგინოს სამართლებრივი ნორმები. მას შეუძლია მხოლოდ ასახოს კრებულში ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უკვე გაკეთდა სამართალშემოქმედებითი ორგანოს მიერ.

ინკორპორაცია არის ოფიციალური და არაოფიციალური.

ოფიციალური ინკორპორაცია — ესაა სამართლებრივი ნორმების მოწესრიგება მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კრებულთა კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოცემის გზით. ამ ორგანოების მიერ გამოცემული კანონმდებლობის კრებულებს გააჩნია ოფიციალური ხასიათი. ისინი არ წარმოადგენენ სამართლის წყაროებს, თუმცა შესაძლებელია მათზე მითითება სამართალშემოქმედების და სამართლის გამოყენების პროცესში.

ოფიციალური ინკორპორაციის აქტი წარმოადგენს მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნების ფორმას დამუშავებული და მოწესრიგებული სახით.

ოფიციალური ინკორპორაციის განსხვავება კოდიფიკაციისგან გამოიხატება სამართლებრივი ნორმების სისტემატიზაციის დონეში. თუ კოდიფიკაცია მიმართულია სამართლის სისტემის არსებით განვითარებაზე, სამართლებრივი ნორმების სისტემატიზაციის ცვლილებაზე, ასეთ ფუნქციებს ინკორპორაცია არ ასრულებს. მან მკაცრ სისტემაში უნდა მოაქციოს სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიერ კოდიფიკაციის პროცესში შექმნილი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები.

ანსხვავებენ ოფიციალური ინკორპორაციის ორ სახეს: ქრონოლოგიურს და საგნობრივს (სისტემატურს).

**ქრონოლოგიური ინკორპორაცია** — ესაა სისტემატიზაციის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოწესრიგება ხდება მათი გამოქვეყნებისა და კანონიერ ძალაში შესვლის დროის მიხედვით. ქრონოლოგიური ინკორპორაციის დროს თითოეულ ნორმატიულ აქტს გააჩნია რიგითი ნომერი, მითითებულია მისი დასახელება, გამოცემის წელი, თვე და რიცხვი, ასევე მუხლის ნომერი. ეს აადვილებს საჭირო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ძიებას, მასში მითითებული სამართლებრივი ნორმების ოპერატიული პოვნისა და გამოყენების შესაძლებლობას.

**სისტემატური ინკორპორაცია წარმოადგენს** მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დალაგებას საგნობრივი ნიშნით ანუ სამართლის დარგების, მათი ინსტიტუტების, სახელმწიფო საქმიანობის სფეროების მიხედვით. საგნობრივი ინკორპორაციის გამოყენებით სახელმწიფო ორგანოებს, თანამდებობის პირებს ან მოქალაქეებს შეუძლიათ სწრაფად და ოპერატიულად გამოიყენონ მათთვის საინტერესო სამართლის ნორმები.

**არაოფიციალური ინკორპორაცია** — ესაა კანონმდებლობის გარეგანი დამუშავება ორგანიზაციების ან ცალკეული მოქალაქეების (სასწავლო დაწესებულებების, უწყებების, მეცნიერებისა და პრაქტიკოსების) მიერ ამაზე სამართალშემოქმედებითი ორგანოების სპეციალური უფლებამოსილებების გარეშე. არაოფიციალური ინკორპორაცია ემსახურება დაწესებულებების, ორგანიზაციების, ცალკეული კატეგორიის სპეციალისტების სპეციფიკურ მოთხოვნებს ნორმატიულ-სამართლებრივ მასალებთან დაკავშირებით. ეს შეიძლება იყოს შრომის ან საბინაო კანონმდებლობის კრებულები და ა.შ.

**III. კონსოლიდაცია** — ესაა სისტემატიზაციის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთსა და იმავე სფეროში მოქმედი რამდენიმე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის გაერთიანება ერთიან კრებსით ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში შინაარსის შეცვლის გარეშე.

კონსოლიდაციის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის შეიცავს კოდიფიკაციისა და ინკორპორაციის გარკვეულ თვისე-

ბებს. კონსოლიდაციური აქტი წარმოადგენს კრებსით ნორმატიულ-სამართლებრივ აქტს და ეს მას ფორმალურად აახლოებს კოდიფიკაციასთან; ის ფაქტი კი, რომ მას არსებითად არ შეაქვს არაფერი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებაში, მას აახლოებს ინკორპორაციასთან. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციის მიხედვით კონსოლიდაცია უმეტესად უახლოვდება სისტემატურ ინკორპორაციას. ის გამოიყენება იქ, სადაც არ არის კოდიფიკაციის აუცილებლობა ან შესაძლებლობა. ამ შემთხვევებში კონსოლიდაცია გამოდის, როგორც ეფექტური საშუალება ერთი სახის ნორმატიული მასალის გაერთიანებისთვის, აქტების რაოდენობის შემცირებისა და სამართლებრივი რეგულირების ფორმის გაუმჯობესებისთვის.

#### §4. საინფორმაციო სამსახური კანონმდებლობის შმსახეობა

მის ფუნქციაში შედის ხელახლა შემოსული კანონმდებლობის გათვალისწინება, საჭირო სამართლებრივი ინფორმაციის ძიება და გაცემა მომხმარებლისთვის.

არსებობს მოქმედი ნორმატიულ-სამართლებრივი მასალის აღრიცხვის შემდეგი სახეები:

1. **საჟურნალო აღრიცხვა.** ჟურნალში ხდება შემოსული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების რეგისტრაცია ანბანური, ქრონოლოგიური ან საგნობრივი ნიშნით. ესაა კანონმდებლობის აღრიცხვის ყველაზე მარტივი სახე.

2. **კართოტეკული აღრიცხვა.** ხდება სპეციალური კართოტეკების შევსება თემატური ნიშნით — ანბანური წესით (მაგალითად, გამოიყოფა შემდეგი კარები: არბიტრაჟი, ბარტერული გარიგება და ა.შ.). ასეთი წესით კართოტეკებში იწერება აქტის დასახელება და მისი მიმღები ორგანოს დასახელება, აქტის სახე, ნომერი, ზოგჯერ კი თავსდება თავად აქტიც.

3. **კომპიუტერული აღრიცხვა.** ხდება მონაცემთა ბანკში პრაქტიკულად შეუზღუდავი რაოდენობის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესახებ მონაცემების შეტანა. ის წარმოადგენს

კანონმდებლობის ყველაზე ოპერატიულ და ეფექტურ სახეს.

კანონმდებლობაზე ცნობითი მუშაობა ხდება ხელით, მექანიზირებული და ავტომატიზირებული ხერხებით.

**ინფორმაციის ხელით გაცემისას** ხდება კანონმდებლობის ჟურნალის ან კართოტეკული აღრიცხვის გამოყენება. ამისათვის დგინდება სპეციალური ანბანურ-საგნობრივი სიტყვები. მასში ჩამოთვლილია თემატური საკითხები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს საჭირო სამართლებრივი ინფორმაციის ძიება და გაცემა.

**ინფორმაციის ძიება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:**

— ანბანურ-საგნობრივი სიტყვარით განისაზღვრება საკითხი, რომელზეც საჭიროა ინფორმაციის გაცემა;

— ჟურნალის ან კართოტეკის მეშვეობით ვლინდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მოთხოვნით ნორმებს;

— ნორმატიულ-სამართლებრივი აქტიდან ხდება საჭირო სამართლებრივი ნორმის არჩევა და მის შინაარსზე ცნობების მიღება.

სამართლებრივი ინფორმაციის ხელით ძიებისა და გაცემის ხერხი გამოიყენება მცირე დაწესებულებებში, საწარმოებში, სადაც ნორმატიულ-სამართლებრივ მასალაზე მოთხოვნილება მცირეა.

კანონმდებლობაზე ცნობითი მუშაობის **მექანიზირებული ხერხი** ხორციელდება სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებების გამოყენების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს სამართლებრივი ინფორმაციის ძიებას და შედარებით მოკლე დროში დიდი მოცულობის ნორმატიული მასალის დამუშავებას.

სამართლებრივი ინფორმაციის დამუშავებისა და ძიების **ავტომატიზირებული ხერხი** ეფუძნება კომპიუტერული, მათ შორის, ლაზერული ტექნიკის გამოყენებას. მისი მეშვეობით სწრაფად მუშავდება საკმაოდ დიდი რაოდენობის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები და დაუყოვნებლივ გაიცემა საჭირო სამართლებრივი ინფორმაცია დიდი რაოდენობით მომხმარებლისთვის.

იუსტიციის, პროკურატურის ორგანოებში, სასამართლოებში, მსხვილ საწარმოებში, ფირმებში, დაწესებულებებში ცნობით-საინფორმაციო მუშაობას ახორციელებენ სპეციალური განყოფილებები. ინფორმაცია მიმდინარე კანონმდებლობის შესახებ თავსდება სპეციალიზირებულ გამოცემებში (ბიულეტენებში).

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ცნება, მისი  
თანაფარდობა ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებთან

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი

ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტი, რომელშიც შედის  
სამართლის ნორმები

ნორმატიული აქტები

მეორეხარისხიანი

სახელმწიფოს ორგანოთა  
ნორმატიული აქტებით  
საკანონმდებლო საჭიროების  
(ან რეფერენდუმის)  
შედეგად

მათში ჩამოყალიბებულია  
სამართლის ნორმები

წარმოადგენენ სამართლის  
ძირითად წყაროს, იურიდი-  
ულად სავალდებულოს  
პირთა პერსონალურად  
არაფიქსირებული  
წრისთვის

მეორეხარისხიანი

ნორმატიული ხასიათის  
აქტების, კანონების, ბრძა-  
ნებულებების, დებულებების  
სახით

ინდივიდუალურ-  
სამართლებრივი აქტები

მეორეხარისხიანი

სამართალგამოცემებითი  
ორგანოების მიერ

სამართლის ნორმები არ  
შეიცავს

არ წარმოადგენს სამართ-  
ლის წყაროს, იურიდიულად  
სავალდებულოა მხოლოდ  
ამ აქტში მითითებული  
პირებისთვის

მეორეხარისხიანი

ბრძანებების, დადგენილებე-  
ბის, ბრძანებულებების  
სახით, რომლებიც ეხებიან  
მათში დასახელებულ  
პირებს და კონკრეტულ  
გარემოებებს.

# ნორმატიული აქტების სახეობა



# კანონმდებლობის სისტემატიზაციის ცნება და სახეები

კანონმდებლობის სისტემატიზაცია:  
მოქმედი ნორმატიული აქტების მოწესრიგება, ერთიან,  
მთელ სისტემაში მოყვანა

## სახეები

### კოდიფიკაცია

კანონმდებლის (ნორმათ-  
შემოქმედი ორგანოს) მიერ  
კრებითი, სისტემატიზირებუ-  
ლი, შინაგანად შეთანხმებუ-  
ლი, დიდი ნორმატიული  
აქტის შექმნა

### ინკორპორაცია

სისტემატიზირებული  
სახით მოქმედი ნორმატიუ-  
ლი აქტების გაერთიანება  
მათი შინაარსის ცვლილებ-  
ის გარეშე. ის ზორციელდ-  
ება არა სამართალშემოქმე-  
დი ორგანოების მიერ,  
არამედ სისტემატიზა-  
ტორით, რომელსაც არ  
გააჩნია უფლებამოსილებები  
შეცვალოს სამართლის  
ნორმების შინაარსი

### ინკორპორაციის სახეები

### ოფიციალური

კომპეტენტური ორგანოს  
მიერ კანონმდებლობის  
კრებულთა, სახელმძღვ-  
ანელოთა გამოცემა მასში  
შესული ცვლილებებითა და  
დამატებებით

### არაოფიციალური


კანონმდებლობის კრებულების,  
სახელმძღვანელოების გამოცე-  
მა ორგანიზაციების, დაწესე-  
ბულებების ინიციატივით  
ამაზე სპეციალური უფლებამ-  
ოსილებების გარეშე

ცნობით-საინფორმაციო სამსახური  
კანონმდებლობის შესახებ


ცნობით-საინფორმაციო  
მუშაობა  
კანონმდებლობაზე

მოქმედი კანონმდებლობის აღრიცხვა,  
საჭირო სამართლებრივი ინფორმაციის  
ძიება და მომხმარებლისთვის გაცემა

აღრიცხვის სახეები



ცნობით-საინფორმაციო მუშაობის  
განხორციელების ხერხები



## კითხვები ცოდნის განმტკიცებისთვის

1. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი სამართლის სხვა წყაროების სისტემაში: მისი თავისებურებები და დამახასიათებელი ნიშნები.
2. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი და სამართალმცოდნეობის წყაროები. როგორ შეესაბამებიან ისინი ერთმანეთს?
3. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით.
4. როგორ იყოფა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები იურიდიული ძალის მიხედვით? რა იგულისხმება ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის ქვეშ?
5. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია მათი მოქმედების მოცულობისა და სახის მიხედვით.
6. რას წარმოადგენს იურიდიული კანონი? როგორია მისი ადგილი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემაში?
7. კანონის, როგორც მთავარი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის ძირითადი ნიშნები.
8. კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია და მოკლე დახასიათება.
9. სასამართლო ხელისუფლების აქტების შინაარსი და თავისებურებები. წარმოადგენენ თუ არა ისინი სამართლის წყაროებს?
10. რისთვისაა აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სისტემატიზაცია?
11. გაანალიზეთ კოდიფიკაციის, როგორც კანონმდებლობის სისტემატიზაციის ყველაზე სრულყოფილი ფორმის შინაარსი.
12. კანონმდებლობის ინკორპორაციის ცნება და ნაირსახეობები.
13. არაოფიციალური ინკორპორაციის მნიშვნელობა იურისტების პროფესიული საქმიანობისთვის.
14. რას წარმოადგენს კონსოლიდაცია, როგორც კანონმდებლობის სისტემატიზაციის ნაირსახეობა? მისი თანაფარდობა კოდიფიკაციასთან და ინკორპორაციასთან.
15. მოქმედი კანონმდებლობის აღრიცხვის რა სახეებია თქვენთვის ცნობილი?
16. როგორია კანონმდებლობაზე საინფორმაციო სამსახურის შინაარსი, მისი სტრუქტურა და მნიშვნელობა კანონიერებისა და მართლწესრიგის დასამტკიცებლად.

## თავი XIII. სამართლის რეალიზაციის ფორმები. სამართლებრივი ნორმების გამოყენება

- §1. სამართლის რეალიზაციის ფორმები. §2. სამართლის გამოყენების ცნება. სამართლის ნორმების გამოყენების პროცესის ძირითადი სტადიები. §3. სამართლებრივი ნორმების გამოყენების აქტები: ცნება, სახეები.
- §4. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრეში. §5. ხარვეზები სამართალში. სამართლის გამოყენება ანალოგიის მისელებით.

### §1. სამართლის რეალიზაციის ფორმები

სამართლის ნორმები არსებობს იმისთვის, რომ აქტიური ზეგავლენა მოახდინოს ადამიანთა ქცევაზე, დაარეგულიროს საზოგადოებრივი ურთიერთობები. სამართლის გავლენა ადამიანთა ქცევაზე ხორციელდება მათი ნებისა და ცნობიერების მეშვეობით. სამართლებრივი რეგულირების წყალობით ადამიანების ქცევა მოწესრიგებულია, შესაბამისობაშია მოყვანილი საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებთან, სახელმწიფოს მოქალაქეთა საერთო და ინდივიდუალურ ინტერესებთან.

სამართლის ნორმების რეალიზაცია არის მათი მითითებების ასახვა ადამიანთა ქცევაში.

გამოიყოფა სამართლის ნორმების რეალიზაციის შემდეგი ფორმები:

1. უფლებების განხორციელება (გამოყენება). ის გამოიხატება საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთათვის სამართლის ნორმების მიერ მიცემული შესაძლებლობების რეალიზაციაში. ამ ფორმით ხორციელდება, მაგალითად, ნორმები, რომლებიც მოქალაქეებზე ამტკიცებენ უფლებას მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში; საკუთარი ქონების ფლობის, გამოყენებისა და განკარგვის უფლებას და ა.შ. რეალიზაციის მოცემული ფორმის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებრივი ურთ-

იერთობების მონაწილეებს შეუძლიათ სამართლის ნორმებით ნებადართული მოქმედებების განხორციელება.

**2. ვალდებულებების შესრულება.** ის გამოიხატება სამართლის ნორმებით მითითებული აქტიური მოქმედებების სავალდებულო განხორციელებაში. ასეთი ფორმით ხდება მოქალაქეების, თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათი ორგანოების იურიდიული ვალდებულებების განმსაზღვრელი ნორმების რეალიზება. მაგალითად, მიმწოდებლის ვალდებულება დადგენილ დროში მიაწოდოს პროდუქცია დამკვეთს; მოვალის ვალდებულება დააბრუნოს ვალი და ა.შ. რეალიზაციის ამ ფორმის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ სუბიექტებმა თავიანთი სურვილის მიუხედავად უნდა განახორციელონ სამართლის ნორმებით გათვალისწინებული აქტიური მოქმედებები.

**3. ვალდებულებების დაცვა.** ის გამოიხატება იურიდიული ნორმებით აკრძალული მოქმედებების ჩადენისგან თავის შეკავებაში. სამართლის ნორმების რეალიზაციის ამ ფორმის არსი მდგომარეობს იმ მოქმედებების განუხორციელებლობაში, რომლებიც ზიანს აყენებენ საზოგადოებას, სახელმწიფოს, პიროვნებას, ვალდებულებების დაცვის განსხვავება ვალდებულებების შესრულებისგან მდგომარეობს იმაში, რომ ის ატარებს პასიურ ხასიათს. ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში მოქალაქეებმა უნდა იმოქმედონ აქტიურად, რათა მოახდინოს სამართლის ნორმის რეალიზაცია, ვალდებულებების დაცვის შემთხვევაში კი პირიქით, არ უნდა განახორციელონ აკრძალული მოქმედებები.

სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის აღნიშნული ფორმები ითვლება **უშუალოდ**, რამდენადაც სამართლებრივი მითითებების რეალიზება ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა მიერ. თუ მოცემული ფორმები არ იძლევიან საშუალებას სრული მოცულობით მოხდეს სამართლის ნორმებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზება, მაშინ ჩნდება სამართლის, როგორც მისი რეალიზაციის განსაკუთრებული ფორმის გამოყენების აუცილებლობა. ეს საკითხი მოითხოვს სპეციალურ და უფრო ბევრით განხილვას.

## §2. სამართლის გამოყენების ცნება. სამართლის ნორმების გამოყენების პროცესის ძირითადი სტადიები

სამართლის ნორმების გამოყენება აუცილებელია მაშინ, როცა ზემოთ განხილული ფორმები არასაკმარისია სამართლებრივი ნორმების სრული რეალიზაციისათვის და საჭიროა ამ პროცესში სპეციალური კომპეტენტური ორგანოების ჩართვა.

**სამართლის ნორმების გამოყენება** — ესაა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა კონკრეტულ ცხოვრებისეულ შემთხვევებთან და ინდივიდუალურ-გარკვეულ პირთა მიმართ სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის თაობაზე.

როგორია სამართლის ნორმების გამოყენებისთვის დამახასიათებელი ნიშნები?

**ჯერ ერთი**, სამართალგამოყენებით საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები (თანამდებობის პირები) ან საზოგადოებრიობის ორგანოები სახელმწიფოს უფლებამოსილებით. მაგალითად, მერია, პრეფექტურა, სასამართლო, ადმინისტრაციული საწარმოები, სამხედრო ნაწილის მეთაური, პროფკავშირის კომიტეტი. ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებიც არ წარმოადგენენ თანამდებობის პირებს, არ გააჩნიათ სპეციალური უფლებამოსილებები და მაშასადამე, არ შეუძლიათ სამართლის ნორმების გამოყენება.

**მეორეც**, სამართლის ნორმების გამოყენების მოქმედებას გააჩნია სახელმწიფო-სახელისუფლებო ხასიათი. ასეთია სასამართლოს საქმიანობა მართლმსაჯულების განხორციელებაზე ან გამომძიებლის საქმიანობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე.

**მესამეც**, სამართალგამოყენებითი საქმიანობის შინაარსი გამოიხატება ინდივიდუალური სამართლებრივი მითითებების (აქტების) გამოცემაში სამართლის ნორმების საფუძველზე. მაგალითად, სასამართლოს განაჩენი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ და სხვ.

**მეოთხეც**, სამართლის ნორმების განხორციელება ხდება კანონით მკაცრად დადგენილი წესით. ასეთ წესს გააჩნია დიდი მნიშ-

ვნელობა სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენებისას, როცა უზრუნველყოფილია კანონიერების თანამედროვე განხორციელება, კონკრეტული იურიდიული საქმის გარემოებების ღრმა და ყოველმხრივი განხილვა.

მაშინ როდის ჩნდება სასამართლოს ნორმების გამოყენების აუცილებლობა?

1. სამართლის ნორმა გამოიყენება კომპეტენტური ორგანოების მიერ მაშინ, როცა **გათვალისწინებული იურიდიული უფლებები და ვალდებულებები არ გააჩნიათ კონკრეტულ პირებს.** თითოეულ ასეთ შემთხვევაში ამ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოქმნისა და რეალიზაციისთვის აუცილებელია კომპეტენტური ორგანოს მიერ კონკრეტული პირის მიმართ მბრძანებლური გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, შრომითი მოწყობის უფლების რეალიზაციისთვის საჭიროა საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ოფიციალური გადაწყვეტილება სამსახურში მიღების შესახებ. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას აღნიშნული უფლების რეალიზაციის შესახებ.

2. კომპეტენტური ორგანოების სამართალგამოყენებითი მოქმედება საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა **არსებობს გარკვეული დაბრკოლებები მოქალაქეების ან ორგანიზაციების მიერ სუბიექტური იურიდიული უფლებების გამოყენებისთვის.** მაგალითად, მოქალაქემ კანონიერ საფუძველზე შეიძინა სახლი, სხვა პირები კი უქმნიან მას დაბრკოლებებს სახლის ფლობის უფლების განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში მოქალაქე მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს, რომლებიც იღებენ სახლის მფლობელის დარღვეული უფლების აღდგენაზე მიმართულ გადაწყვეტილებას.

3. სამართლის ნორმების გამოყენების აუცილებლობა დგება მაშინაც, როცა იურიდიული **ვალდებულებები არ სრულდება ნებაყოფლობით.** მაგალითად, ერთი ორგანიზაცია ხელშეკრულებით ვალდებულია სხვა ორგანიზაციას მიაწოდოს გარკვეული ვალდებულება, მაგრამ მან ეს არ შეასრულა. ასეთ შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანოს (სასამართლოს, არბიტრაჟს) გამოაქვს გადა-

წყვეტილება, რომლის საფუძველზეც იძულების წესით უზრუნველყოფილია ორგანიზაციის მიერ აღებული ვალდებულების შერულება.

4. სამართალგამოყენებითი საქმიანობა ყოველთვის საჭიროა თუ მოხდა სამართალდარღვევა და საჭიროა სამართალდამრღვევის მიმართ იურიდიული პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის განსაზღვრა. ასე მაგალითად, სამხედრო მსამსახურის მიერ დისციპლინარული გადაცდომის დროს სასჯელნიშნავს მხოლოდ მეთაური, ხოლო თუ ჩადენილია დანაშაული სასჯელის ზომას განსაზღვრავს მხოლოდ სასამართლო სისხლი სამართლის ნორმების საფუძველზე.

### **სამართლის ნორმების გამოყენების პროცესის ძირითადი სტადიები**

სამართალგამოყენებითი მოქმედება წარმოადგენს რთულ პროცესს, რომელიც შედგება რიგი სტადიებისგან.

1) **საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენა.** იურიდიული ნორმების გამოყენება მიმართულია კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში მათი რეალიზაციის უზრუნველყოფაზე, რომელიც ყალიბდება გარკვეული ფაქტებისგან. სწორედ ეს ფაქტები წარმოქმნიან სამართლის ნორმების გამოყენების ფაქტიურ საფუძველს. ამიტომაც სამართლის ნორმების გამოყენებელმა პირებმა, პირველ რიგში უნდა გამოარჩიონ და მკაფიოდ გამოყონ იურიდიული საქმის სწორი გადაწყვეტისთვის საჭირო ფაქტები, შემდეგ გააკეთონ აღნიშნული ფაქტების სათანადო ანალიზი და შეფასება.

საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენა უნდა იყოს დასაბუთებული და კანონიერი. ამაზეა დამოკიდებული სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე. საქმის გარემოებების დადგენის სისრულე და დასაბუთებულობა მიიღწევა ფაქტების ღრმა და ყოველმხრივი კვლევის, მათი ნამდვილობის გარკვევისა და ობიექტური უტყუარობის დადასტურების გზით. საქმის ობიექ-

ტური ჭეშმარიტების დასადგენად ხდება ფაქტების გაანალიზება მიზეზ-შედეგობრივ კავშირში.

კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების გარემოებების გამოკვლევისას, პირველ რიგში უნდა დადგინდეს შემდეგი ფაქტები: ვინ ჩაიდინა დანაშაული, როდის და სად მოხდა ის, რა ხერხით, როგორია დანაშაულის ჩადენის მოტივები. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დგინდება მოწმეთა ჩვენებების, დანაშაულის ადგილის დათვალიერების, ექსპერტიზის შედეგების, დოკუმენტების, საგნების და სხვა მონაცემების გამოკვლევის მეშვეობით. ეს მონაცემები დგინდება კანონით დადგენილი წესით და მათ ეწოდებათ იურიდიული მტკიცებულებები.

**2) გამოსაკვლევი ფაქტიური გარემოებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის ნორმების შერჩევა და ანალიზი.** განხილული გარემოებების იურიდიული მნიშვნელობის დადგენის შემდეგ იწყება სამართლის ნორმების გამოყენების მეორე სტადია. ამ სტადიაზე წყდება საკითხი, რა ნორმის საფუძველზე უნდა გადაწყდეს განსახილველი საქმე. **ნორმის არჩევა ნიშნავს საქმის ფაქტიური გარემოებებისთვის სამართლებრივი კვალიფიკაციის (შეფასების) მიცემას.**

შემდეგ სამართალგამომყენებელმა ორგანომ უნდა განსაზღვროს, რომ არ ეწინააღმდეგება არჩეული ნორმა კანონს და სხვა ნორმატიულ აქტებს. სამართლის ნორმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ის შეესაბამება ზემდგომი ორგანოების აქტების მითითებებს.

**არჩეული სამართლებრივი ნორმის ანალიზი მოიცავს მისი დროში, სივრცეში და პირთა წრეში მოქმედების სათანადო შემოწმებას.** ეს ნიშნავს იმას, რომ სამართალგამომყენებელმა ორგანომ **ზუსტად უნდა დაადგინოს:**

- მოქმედებს თუ არა ნორმა იმ მომენტში, როცა მის საფუძველზე საჭიროა კონკრეტული საქმის გადაწყვეტა;
- მოქმედებს თუ არა ის, იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა გადაწყდეს ეს საქმე;
- ვრცელდება თუ არა მოცემული ნორმის მოქმედება იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ის უნდა იქნეს გამოყენებული.

სამართლის ნორმის არჩევისა და ანალიზის დროს ზოგჯერ კლინდება, რომ მოცემული შემთხვევა რეგულირდება რამდენიმე შინაარსით ერთმანეთის საპირისპირო ნორმის მიერ. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სამართლებრივი ნორმების კოლიზიას. როგორ უნდა მოგვარდეს კოლიზია სამართლებრივ ნორმებს შორის? არსებობს კოლიზიათა გადაწყვეტის შემდეგი წესი:

1. თუ აღმოჩენილია წინააღმდეგობა ფედერაციული კანონის ნორმასა და რესპუბლიკის კანონის ნორმას შორის, საჭიროა ფედერაციული კანონის ნორმის გამოყენება;

2. თუ არსებობს კოლიზია სხვადასხვა ორგანოდან მომავალ ნორმებს შორის, გამოიყენება ზემდგომი ორგანოს ნორმა;

3. ერთი და იმავე ორგანოს მიერ, მაგრამ სხვადასხვა დროს მიღებულ ნორმებს შორის წინააღმდეგობისას გამოიყენება ის ნორმა, რომელიც მოგვიანებით მიღებულ იქნა;

4. ზოგად და სპეციალურ ნორმას შორის კოლიზიის დროს გამოიყენება ეს უკანასკნელი.

მოცემულ სტადიაზე კომპეტენტური ორგანოს ამოცანაა გამოსაყენებელი ნორმის განმარტება, ასევე სამართალში ხარვეზების დაძლევა სამართლის ანალოგიის მიხედვით გამოყენების გზით.

**3) კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილების მიტანა დაინტერესებულ პირებამდე და ორგანიზაციებამდე.**

ესაა სამართლის ნორმის გამოყენების პროცესის დასკვნითი და ძირ. ად. სტადია. კონკრეტული გადაწყვეტილების გამოტანის წინ საჭიროა დარწმუნება იმაში, რომ საქმის გარემოებები გამოკვლევლია სწორად და სრულად და რომ, სამართლის გამოსაყენებელი ნორმა ეხება სწორედ მოცემულ შემთხვევას. ასეთი დარწმუნების შემდეგ კომპეტენტურ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც ეცნობება დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს. ამით სრულდება სამართლის ნორმის გამოყენების პროცესი, იწყება სამართლის ნორმის გამოყენების აქტით, და ამ აქტით განსაზღვრული კონკრეტული უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაცია.

### §3. სამართლებრივი ნორმების გამოყენების აქტები: ცნობა, სახმობი

კომპეტენტური ორგანოების საქმიანობა სრულდება სამართლის ნორმის გამოყენების აქტის გამოცემით. ის აფიქსირებს მიღებულ გადაწყვეტილებას, ანიჭებს მას ოფიციალურ მნიშვნელობას.

**სამართლის ნორმის გამოყენების აქტი** — ოფიციალური სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კომპეტენტური ორგანოს ინდივიდუალური სახელმწიფო-მბრძანებლურ მითითებას, რომლის გამოტანაც ხდება მის მიერ კონკრეტული იურიდიული საქმის გადაწყვეტის შედეგად.

რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს სამართლის ნორმების გამოყენების აქტებს?

**ჯერ ერთი**, სამართლის ნორმის გამოყენების აქტს გააჩნია ბრძანებითი ხასიათი და დაცულია სახელმწიფოს იძულებითი ძალით. მასში შესულ კონკრეტულ მითითებებს გააჩნია სავალდებულო ძალა ყველასთვის, ვისთვისაც ისაა განკუთვნილი და საჭიროების შემთხვევაში რეალიზებულია იძულების გზით.

**მეორეც**, გამოყენების აქტი ესაა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ის ეხება მკაცრად განსაზღვრულ პირებს. მას გააჩნია ძალა მხოლოდ მოცემული შემთხვევისთვის და მსგავს შემთხვევებზე არ ვრცელდება. ამით ის განსხვავდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებისგან, რომლებიც შეიცავენ ზოგადი ხასიათის მქონე სამართლის ნორმებს. სამართლის ნორმები არ ეგლირებს მრავალ ერთი ტიპის შემთხვევებს და ვრცელდება მათი მოქმედების სფეროში მყოფ ყველა პირზე (კონკრეტულად განუსაზღვრელზე). ეს ნორმები გათვლილია არაერთჯერად გამოყენებაზე. ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში არ შედის სამართლის ნორმები. ისინი მხოლოდ აკონკრეტებენ ზოგად მითითებებს ცალკეულ პირებთან ან ორგანიზაციებთან მიმართებაში და გააჩნიათ ერთჯერადი მნიშვნელობა. ამდენად, სამართლის ნორმების გამოყენების აქტები არ განეკუთვნებიან სამართლის წყაროებს.

**მესამეც**, სამართალგამოყენებითი აქტები უნდა იყოს კანონიერი, გამოტანილი კანონთან მკაცრ შესაბამისობაში. ასე მაგალითად, სასამართლოს განაჩენი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის დანიშვნის შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნეს, მხოლოდ სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე. თუ გამოყენების აქტი არ შეესაბამება კანონს, ის უნდა გაუქმდეს.

**მეოთხეც**, სამართლის ნორმების გამოყენების აქტები გამოიცემა კანონით დადგენილი ფორმით და მათ გააჩნია ზუსტი დასახელება. კანონი ითვალისწინებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემისა და გაფორმების მკაცრად განსაზღვრულ წესს. მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოების (სასამართლოების, პროკურატურის ორგანოების და ა.შ.) მიერ მიღებულ აქტებს უნდა ჰქონდეს შემდეგი სავალდებულო ელემენტები:

1. შესავალი ნაწილი, რომელშიც მითითებულია აქტის დასახელება, მისი გამოცემა ორგანოს დასახელება, გამოცემის დრო, კონკრეტული ადრესატი;

2. აღწერითი ნაწილი, სადაც გადმოცემულია საქმის ფაქტური გარემოებები;

3. მოტივაციური ნაწილი, სადაც დასაბუთებულია მიღებული გადაწყვეტილება;

4. სარეზოლუციო ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია გადაწყვეტილების შინაარსი.

ითიოეულ სამართალგამოყენებით აქტს გააჩნია მკაცრად განსაზღვრული სახელწოდება: განაჩენი, ბრძანება, დადგენილება, განკარგულება.

სამართლის ნორმების გამოყენებელი სუბიექტების მიხედვით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები იყოფა შემდეგ სახეებად:

– სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების აქტები;

– სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების აქტები;

– სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოების (სასამართლოს, პროკურატურის, არბიტრაჟის და სხვ.) აქტები;

– სახელმწიფო კონტროლის (საგადასახადო ინსპექციის, საბაჟო ორგანოს და სხვ.) აქტები.

სახოვადობრივი ურთიერთობების შინაარსისა და მათ მიმართ გამოყენებული სამართლის ნორმების მიხედვით, სამართალგამოყენებითი აქტები იყოფა:

– რეგულატიურად, რომლებიც აღგენენ კონკრეტულ იურიდიულ უფლებებსა და ვალდებულებებს ადამიანთა მართლზომიერ ქცევასთან დაკავშირებით (მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ);

– დაცვითად, რომელთა გამოცემაც ხდება ცალკეული ადამიანების მიერ სამართალდარღვევების ჩადენასთან დაკავშირებით (სასამართლოს განაჩენი და ა.შ.).

ამგვარად, სამართლის ნორმების გამოყენების აქტები წარმოადგენენ სამართლებრივი ნორმების მითითების რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

#### §4. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა წრეში

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების საზღვრების დადგენა აუცილებელია სამართლის ნორმების სწორი რეალიზაციისთვის. ნებისმიერი ნორმატიული აქტი გამოიცემა იმისთვის, რომ დროის დადგენილ შუალედში, გარკვეულ ტერიტორიაზე დაარეგულიროს ადამიანთა გარკვეული წრის ქცევა.

**მოქმედება დროში.** ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები მოქმედებს იწყებენ მათი ძალაში შესვლის მომენტიდან. მრავალ ქვეყანაში მოქმედებს ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის გარკვეული წესები.

1. აქტი ძალაში შედის მისი მიღების მომენტიდან.

2. აქტი მოქმედებს იწყებს მისი გამოქვეყნებიდან გარკვეული ვადის ამოწურვის შემდეგ.

3. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის თავად აქტში და მისი ამოქმედების შესახებ სპეციალურ აქტში მითითებული დროის ძალით.

ახალი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი თავის მოქმედებას ავრცელებს მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომელსაც ადგილი აქვს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. მას არ გააჩნია უკუძალა. მოცემული პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ის არ ვრცელდება მის გამოცემამდე წარმოქმნილ ურთიერთობებზე. გამონაკლისი ხდება მხოლოდ ორ შემთხვევაში:

— თუ თვითონ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით დგინდება მისი უკუძალა;

— თუ სისხლის სამართლის კანონები ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის აქტები ამსუბუქებენ სასჯელს ან საერთოდ ხსნიან ქმედების დასჯადობას.

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები ძალას კარგავენ შემდეგ საფუძველებზე:

— აქტის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, როცა ასეთი ვადა სპეციალურად იქნა დადგენილი;

— ადრე მოქმედი ნორმატიული აქტის შემცვლელი ახალი ნორმატიული აქტის გამოცემასთან დაკავშირებით;

— მოცემული ნორმატიული აქტის გაუქმების შესახებ კონკრეტული ორგანოს პირდაპირი მითითების საფუძველზე.

**მოქმედება სივრცეში.** სივრცეში ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების საზღვრები განისაზღვრება ტერიტორიით, რომელზეც ვრცელდება მისი მითითებები. ტერიტორიის ქვეშ იგულისხმება მიწის ზედაპირი, წიაღი, წყლისა და საჰაერო სივრცე სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, საელჩოების ტერიტორია საზღვარგარეთ, სამხედრო ხომალდები ღია ზღვაში და უცხო ტერიტორიულ წყლებში, არასამხედრო ხომალდები ღია ზღვაში, საფრენი და კოსმოსური აპარატების კაბინები ატმოსფეროში.

ნორმატიული აქტების მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება მათი გამომცემი ორგანოს ქვესაუწყებო ტერიტორიაზე. ასე მაგალითად, ფედერაციული სახელმწიფოს წევრების ნორმატიული აქტები მოქმედებენ მხოლოდ მათ ტერიტორიაზე; სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანოების აქტები — რაიონის, პრეფექტურის, ქალაქის, მიწის ტერიტორიაზე და ა.შ. სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობისას ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია ერთი სახ-

ელმწიფოს ზოგიერთი სამართლებრივი ნორმის მოქმედების შესაძლებლობა სხვა სახელმწიფოზე (მაგალითად, ქონებრივი დავების გადაწყვეტისას).

**მოქმედება პირთა წრეში.** არსებობს წესი, რომლის თანახმადაც, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოქმედება ვრცელდება მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირზე. კანონები და სხვა ნორმატიული აქტები სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებს ყველა მოქალაქის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ. მათი მოქმედება ვრცელდება ასევე უცხოელ მოქალაქეებზე და პირებზე მოქალაქეობის გარეშე. ამ პირებზე გარანტირებულია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, სახელმწიფოს სხვა ორგანოებს მათი პირადი, ქონებრივი, ოჯახური და სხვა უფლებების დასაცავად. უცხოელმა მოქალაქეებმა, მოქალაქეობის არმქონე პირებმა, რომლებიც იმყოფებიან გარკვეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა სცენ პატივი კონსტიტუციას და დაიცვან კანონები.

თუმცა არსებობს წესიდან გამონაკლისებიც. მაგალითად, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე უცხო მოქალაქეები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, გამოძახებულ იქნეს სასამართლოში ჩვენებების მისაცემად, თუ ასეთი პირები ახდენენ სამართალდარღვევას, მათი პასუხისმგებლობის საკითხი წყდება დიპლომატიური გზით, ზოგიერთი ნაციონალური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი საერთოდ არ ვრცელდება უცხოელ მოქალაქეებზე და პირებზე მოქალაქეობის გარეშე (მაგალითად, აქტები სახელმწიფო ორგანოებში არჩევის შესახებ, სამხედრო სამსახურის შესახებ).

ნორმატიული აქტები შეიძლება ვრცელდებოდეს არა ყველა მოქალაქეზე და თანამდებობის პირზე, არამედ მხოლოდ გარკვეულ კატეგორიებზე (მასწავლებლებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე და ა.შ.). ასეთ შემთხვევებში სამართლებრივ აქტებში ზუსტად განისაზღვრება მათი მოქმედების ქვეშ მყოფი პირთა წრე.

§5. ხარვეზები სამართალში. სამართლის გამოყენება  
ანალოგიის მიხედვით

რას ნიშნავს ხარვეზი სამართალში? ხარვეზი სამართალში ესაა სამართლებრივი ნორმის არარსებობა კონკრეტული ცხოვრებისეული შემთხვევების გადაწყვეტისას, რომელთაც მოიცავს სამართლებრივი რეგულირება და უნდა გადაწყდეს სამართლის საფუძველზე.

**სამართალში ხარვეზის შევსების ძირითად ხერხს წარმოადგენს ცხოვრების აუცილებლობით გამოწვეული სამართლებრივი ნორმის გამოცემა.** თუ სამართალ შემოქმედებითმა ორგანომ ვერ შეძლო ხარვეზის აღმოფხვრა, გამოიყენება ანალოგიის მიხედვით სამართლის გამოყენების წესი. ანალოგიის ქვეშ იგულისხმება გარკვეული მსგავსება სხვადასხვა მოვლენას ან საგანს შორის. იურისპრუდენციაში გამოიყოფა ანალოგიის ორი ძირითადი სახე: კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია.

**კანონის ანალოგია** წარმოადგენს კონკრეტული იურიდიული საქმის გადაწყვეტას იმ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, რომელიც გათვლილია არა მოცემულ, არამედ მსგავს შემთხვევებზე. თუ კომპეტენტური ორგანო წყვეტს საქმეს იმ ნორმის მითითების შესაბამისად, რომელიც არეგულირებს მსგავს (ანალოგიურ) საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონის ანალოგიას, ამასთან, გამოყენებული სამართლის ნორმა უშუალოდ არ არეგულირებს მოცემულ დამოუკიდებლობას. ის არეგულირებს სხვა, მაგრამ მსგავს ურთიერთობებს.

**სამართლის ანალოგია** ესაა კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება სამართლის ზოგადი პრინციპებისა და არსის საფუძველზე. სამართლის ანალოგია გამოიყენება მაშინ, როცა ხარვეზის არსებობისას შეუძლებელია სამართლის მსგავსი, ანალოგიური ნორმის შერჩევა.

უმეტეს თანამედროვე სახელმწიფოებში სამართლის ანალოგიის მიხედვით გამოყენება შეზღუდულია. ის სრულად გამოირიცხება სისხლის სამართლის საქმეების გადაწყვეტისას. კანონმდებლობის მუდმივ სრულყოფასთან და განვითარებასთან დაკავშირებით

სამართლის გამოყენება ანალოგიის მიხედვით, ხდება იშვიათი გამონაკლისი სამართლის იმ დარგებისთვისაც, სადაც ის დაშვებულია.

## სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის ფორმები

სამართლის ნორმების რეალიზაცია – მათი მითითებების ასახვა ადამიანთა რეალურ ქცევაში

### რეალიზაციის ფორმები

უფლებების განხორციელება

სამართლებრივი ნორმების მიერ მოცემული შესაძლებლობების გამოყენება

ვალდებულებების შესრულება

სამართლის ნორმებით მითითებული აქტიური მოქმედებების სავალდებულო განხორციელება

ვალდებულებების (აკრძალვების) შესრულება

იურიდიული ნორმების მიერ აკრძალული მოქმედებებისგან თავის შეკავება

სამართლის ნორმების გამოყენება ხელისუფლების ორგანოების, თანამდებობის პირების მიერ

სამართლის ნორმების გამოყენება სახელისუფლო ორგანოების მიერ. კანონის გამოყენების სტადიები

**სამართლის ნორმების გამოყენება** ხელისუფლების ორგანოების მოქმედება, რომელიც მდგომარეობს სამართლებრივი მითითებების რეალიზაციაში კონკრეტულ ცხოვრებისეულ გარემოებებთან და ინდივიდუალურად გარკვეულ სუბიექტებთან მიმართებაში

სამართლის ნორმების გამოყენების პროცესის სტადიები

ფაქტიური გარემოებების დადგენა, რომელზეცაა გათვლილი სამართლებრივი ნორმა

→ მოცემული ფაქტიური გარემოებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმის არჩევა (მოძიება)

ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლის ტექსტის ნამდვილობის შემოწმება და მისი ანალიზი კანონიერების თვალსაზრისით

← სამართლის ნორმის დროში, სივრცეში და პირთა წრეში მოქმედების შემოწმება

შესაძლო კოლიზიების გადაწყვეტა სამართლის ნორმებს შორის და სამართალში ხარვეზების აღმოფხვრა

→ სამართლის ნორმის გამოყენების აქტის გამოცემა (გადაწყვეტილების გამოტანა) და მისი შემსრულებლობამდე მიტანა

## სამართლის ნორმების გამოყენების აქტები

სამართლის ნორმის  
გამოყენების აქტი

ოფიციალური მითითება, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილებას იურიდიულ საქმეზე სამართლის ნორმების საფუძველზე, კონკრეტულ გარემოებებთან და პერსონალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ

სამართალგამოყენებითი აქტების სახეები

პარლამენტის აქტები

სახელმწიფოს მეთაურის აქტები

აღმასრულებელი ორგანოების აქტები

სასამართლო გადაწყვეტილებები

საპროკურორო ზედამხედველობის აქტები

ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების აქტები

საწარმოების, სამხედრო ნაწილების და ა.შ. ხელმძღვანელთა აქტები

კანონების მოქმედება დროში

მოქმედებას იწყებენ მათ კანონიერ ძალაში შესვლისთანავე

	სამართალშემოქმედებითი ორგანოს მიერ მიღების დღიდან
	ან
	მისი გამოქვეყნების შემდეგ დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე
	ან
	თავად აქტში ან მისი ამოქმედების შესახებ სპეციალურ აქტში მითითებული დროიდან

ძალას კარგავენ:

აქტის მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე;  
ადრე მოქმედი აქტის შემცვლელი ახალი  
აქტის გამოცემასთან დაკავშირებით;  
მისი გაუქმების შესახებ კომპეტენტური  
ორგანოს პირდაპირი მითითების საფუძველზე.

კანონის უკუშალა (დროში)

კანონი, რომელიც აღგენს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას  
არაა უკუშალის მქონე

გამონაკლისი

კანონი მოქმედებას ავრცელებს მის კანონიერ ძალაში შესვ-  
ლამდე წარმოქმნილ ფაქტებზე, თუ ამას აღგენს თავად კანონი.

თუ კანონი ამსუბუქებს ან ხსნის პასუხისმგებლობას

**ს ი ვ რ ც ე შ ი**

მოქმედების საზღვრები განისაზღვრება იმ ტერიტორიით, რომელზეც ვრცელდება კონკრეტული სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლება ან თავად საკანონმდებლო აქტში მითითებული ტერიტორიით

**პ ი რ თ ა წ რ ე შ ი**

თავის მოქმედებას ავრცელებს კანონში მითითებულ სუბიექტების კატეგორიაზე მასში მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით, სხვა სახელმწიფოების ოფიციალურ წარმომადგენლებთან, დიპლომატებთან და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე სხვა პირებთან მიმართებაში

სამართალში სარგებების აღმოფხვრა მისი გამოყენების  
პროცესში. ანალოგიის პრინციპის გამოყენება

– ცხოვრებაში წარმოქმნილი ურთიერთობე-  
ის, გარემოებების სამართლებრივი გადაწყვე-  
ტისთვის საჭირო ნორმის არარსებობა,  
რომელთაც მოიცავს მოქმედი  
კანონმდებლობის  
ზოგადი  
საწყისები

ხარვეზი  
სამართალში

სამართალში სარგებების აღმოფხვრის ხერხები  
მისი გამოყენების პროცესში

– კონკრეტულ გარემოებებთან მსგავს (ანალოგიურ)  
ურთიერთობებზე გათვლილი სამართლის ნორმის  
გამოყენება თუ არ არსებობს ნორმა,  
რომელიც პირდაპირ ითვალისწი-  
ნებს მოცემულ  
გარემოებებს

კონკრეტული  
კანონის ანალოგია

– კონკრეტულ იურიდიულ საქმეზე კანონმდებლობის  
ზოგადი საწყისების ხელმძღვანელობით გადა-  
წყვეტილების მიღება პირდაპირი და  
ანალოგიური სამართლის ნორმის  
არარსებობისას

სამართლის  
ანალოგია

სამართლის გამოყენება ანალოგიის მიხედვით არაა  
გათვალისწინებული იურიდიულ პასუხისგებაში (სისხლის  
სამართლის და სხვ.) მიცემის შემთხვევებში.

## პითხვები ცოლის განმტკიცებისთვის

1. რაში მდგომარეობს სამართლებრივი მითითებების რეალიზაციის არსი?
  2. დაახასიათეთ სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის ფორმები კონკრეტული მაგალითების გამოყენებით.
  3. რაში გამოიხატება სამართლის ნორმების სახელისუფლებო ორგანოების მიერ გამოყენების თავისებურებები.
  4. რა შემთხვევებში ჩნდება სამართლის ნორმების სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოების მიერ გამოყენების აუცილებლობა.
  5. როგორია სამართლის ნორმების გამოყენების პროცესის ძირითადი სტადიები?
  6. განმარტეთ სამართალგამოყენებითი, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის თავისებურებები და ნიშნები.
  7. დაახასიათეთ სამართლის ნორმების გამოყენების აქტების სახეები კონკრეტული, თქვენთვის ცნობილი მაგალითებით.
  8. რ. ში გამოიხატება სამართლის ნორმის გამოყენების აქტის განსხვავება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისგან?
  9. როგორია კანონის (სამართლის ნორმის) დროში მოქმედების ძირითადი წესები? როდის კარგავს კანონი თავის იურიდიულ ძალას?
  10. რა შემთხვევებში გააჩნია კანონს უკუძალა და რა დროს – არა?
  11. დაახასიათეთ კანონის ტერიტორიაზე (სივრცეში) მოქმედების საზღვრები.
- კაზუსი. პოლანდიის კომპანიის ავიალაინერში, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე მიფრინავდა, აშშ-ს მოქალაქემ ძვირფასეულობა მოპარა დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს.
- რომელი სახელმწიფოს კანონით მოხდება აშშ-ს მოქალაქისთვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრება ჩადენილ სამართალდარღვევაზე? ამასთან, საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ქურობამდე ორი საათით ადრე „სასარჩელო“ სახელმწიფოში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ამკაცრებს პასუხ-

ისმგებლობას მოცემული სახის სამართალდარღვევაზე?

12. რა შემთხვევებში შეიძლება მოქმედებდეს კონკრეტული სახელმწიფოს კანონები მის ფარგლებს გარეთ?
13. როგორ გესმით ხარვეზი სამართალში? რატომ ჩნდება ის?
14. როგორია სამართალში ხარვეზების აღმოფხვრის ხერხები სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში?

## თავი XV. სამართლისა და კანონმდებლობის სისტემა

§1. სამართლის სისტემის ცნება. სამართლის სისტემის ძირითადი ნიშნები. §2. სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები. §3. სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი. §4. სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობა.

### §1. სამართლის სისტემის ცნება. სამართლის სისტემის ძირითადი ნიშნები

სისტემა, როგორც ფილოსოფიური ცნება ესაა გარკვეული მთლიანი მოვლენა, რომელიც შედგება ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ნაწილებისგან (ელემენტებისგან). სამართლის სისტემა ყალიბდება და ფუნქციონირებს ზოგადი ობიექტური კანონზომიერებების საფუძველზე. ესაა რთული და განვითარებადი სოციალური მოვლენა, რომელიც ასახავს და ნორმატიულ ფორმაში ამტკიცებს საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებებს.

სამართალი, როგორც სისტემა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: **ჯერ ერთი**, სამართალი ესაა ორგანულად მთლიანი სამართლებრივი მოვლენა და არა სამართლებრივი ნორმების შემთხვევითი ნაკრები. სამართლის სისტემა ხასიათდება ობიექტურობით. მისი შექმნა განპირობებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალურად არსებული სისტემით. **ერთის მხრივ**, სამართალი ასახავს ამ ურთიერთობათა სისტემას სპეციფიკური ფორმით, **მეორეს მხრივ**, მასზე ახდენს რეგულირებად ზეგავლენას. თუ სამართალი ნორმებში არაადეკვატურად ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებს, ის აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს. ე.წ. „მკვდარი“ კანონები ან ნორმები წარმოადგენენ თვითნებური სამართალშემოქმედების შედეგს, რომელიც არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ მოთხოვნილებებს.

სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელია მისი შემადგენელი ნორმების ერთიანობა და ურთიერთკავშირი. მათ არ შეუძლიათ ფუნქციონირება იზოლირებულად. მათი მარეგულირებელი

ძალა მდგომარეობს ურთიერთშეთანხმებასა და ზოგად მიზანმიმართულებაში. სამართლის სისტემიდან ამოღებული ნებისმიერი სტრუქტურული ელემენტი კარგავს სისტემურ ფუნქციებს და მამასადამე, სოციალურ მნიშვნელობას.

**მეორეც**, სამართლის სისტემა — მრავალფეროვანი სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც მოიცავს შინაარსითა და მოცულობით არაერთგვაროვან სტრუქტურულ ელემენტებს. სამართლის სისტემა იყოფა სამართლის ნორმებად, სამართლის ინსტიტუტებად, სამართლის დარგებად და ქვედარგებად.

სამართლის ნორმა არეგულირებს ტიპურ საზოგადოებრივ ურთიერთობას წარმოქმნის რა სამართლის სისტემის პირველად ელემენტს, სამართლებრივი ნორმების სხვადასხვა სახის ერთიანობისგან ყალიბდება მისი სხვა ელემენტები: სამართლის ინსტიტუტები, სამართლის დარგები და ქვედარგები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურულად უფრო რთულ ჯგუფებს.

**ამგვარად**, სამართლის სისტემა ესაა შიდა წყობა, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ერთიანობაში და ამასთან, სამართლის შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებად დაყოფაში.

**ისტორიულად** სამართლის ყველა სისტემა პირობითად მოიცავს კერძო და საჯარო სამართალს. ასეთი დაყოფა შესაძლებელია მხოლოდ სამართლის რეალიზაციის სფეროში ანუ სამართალდამოკიდებულებების სფეროში. როგორც ნორმების სისტემა სამართალი მოწოდებულია დაიცვას მთელი საზოგადოების ინტერესები, ყოველმხრივ გაითვალისწინოს მისი შემადგენელი ინდივიდების ინტერესები. იცავს რა საკუთარ ინტერესებს სახელმწიფო სამართლის საფუძვლების მეშვეობით პირველ რიგში იცავს საკუთარი მოქალაქეების ინტერესებს. **იდეალურ შემთხვევაში** სამართალში ასახული კერძო და საჯარო ინტერესები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

ამის მიუხედავად, ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრებაში არსებობს გარკვეული გრადაცია საზოგადოებრივ და კერძო ინტერესს შორის, რომელიც ობიექტურ ასახვას პოულობს სამართლის

სისტემაში, სამართალი განიხილება, როგორც კერძო ან საჯარო სამართლის და იმის მიხედვით, ვისთვისაა ის განკუთვნილი — კერძო პირისთვის, დამოუკიდებელი ინდივიდისთვის თუ სახელმწიფო ორგანიზაციის წევრისთვის. პირველ შემთხვევაში ის ეხება კერძო უფლებას (საკუთრების უფლებას); მეორე შემთხვევაში — საჯარო უფლებას (არჩევნებში მონაწილეობის უფლებას). ორივე შემთხვევაში პირს უფლება გააჩნია, როგორც საზოგადოებრივი მთელის წევრს. თუმცა, კერძო სამართლის სფეროში პირი მოქმედებს საკუთარი უფლებით და არა რაიმე საზოგადოებრივი მთელის უფლებით. ცნობილია, რომ არ არსებობს საერთოდ უფლებები, რომლებიც მიმართულია პირზე, როგორც იზოლირებულ ინდივიდზე. ყველა უფლება, მათ შორის, კერძო უფლებებიც ეხება პირს სხვა პირებთან, სახელმწიფოსთან მიმართებაში.

მსოფლიო იურიდიულ მეცნიერებას, სამართლის დაყოფა კერძოდ და საჯაროდ მიაჩნია პირობითად, მაგრამ აუცილებლად. სამართლის კერძოდ და საჯაროდ დაყოფის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულებების სახე ინდივიდუუმსა და საზოგადოების სახელმწიფო-ორგანიზებულ სტრუქტურებს შორის. კერძო და საჯარო სამართალიც მოიცავს კონკრეტული პირის დამოკიდებულებებს არა მხოლოდ სხვა პირებთან, არამედ სახელმწიფოსთან და მთლიანად საზოგადოებასთან მიმართებაში. ის უფლებები, სადაც ინდივიდუალური პირი წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტს, იქნება კერძო უფლებები. თუ სუბიექტი გამოდის, როგორც სოციალური მთელის ნაწილი — ესაა საჯარო უფლებები. სამართლებრივ სახელმწიფოში კერძო და საჯარო უფლებები ჰარმონიულად ეთავსება ერთმანეთს.

ამ მხრივ საინტერესოა გ.ფ. შერშენევიჩის შეხედულებები. ის თვლიდა, რომ ცალკეული პირების ინტერესთა უზრუნველყოფა მიიღწეოდა ორი გზით სამართლის მეშვეობით. ერთის მხრივ, სახელმწიფო მონიშნავს პიროვნების თავისუფალი გამოვლენისა და მისი ინტერესების განხორციელების წრეს. მეორეს მხრივ, სახელმწიფო განსაზღვრავს თავისი ორგანოების მოწყობასა და საქმიანობის წესს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ცალკეული პირების ინტერესთა იძულებითი გამოხატვა. პირველ შემთხვევაში, სამართლის ნორმები აკმაყოფილებენ კერძო ინტერესებს უშუალოდ, მეორე შემთხვევაში —

ირიბად. შერშენევიჩის აზრით, სწორი საზოგადოებრივი ორგანიზების ინტერესს უნდა დაუპირისპიროთ არა საკუთრების უფლების, არამედ მესაკუთრეთა უფლებების ინსტიტუტი.

ტრადიციულად, კერძო სამართალს განეკუთვნება ის დარგები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კერძო პირთა ინტერესები (სამოქალაქო, საბანკო, სადაზღვევო, საპატენტო უფლება და სხვ.). საჯარო სამართალს განეკუთვნება სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დარგები.

## §2. სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები

როგორც აღინიშნა, სამართლის სისტემა ატარებს ობიექტურ ხასიათს. სამართალი იყოფა გარკვეულ ნაწილებად სამართლის ნორმების მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტული შინაარსის მიხედვით, საზოგადოებრივი ურთიერთობები შინაარსის მიხედვით არის ქონებრივი, ფინანსური, მიწის, შრომის, ოჯახური და ა.შ. თითოეული სახის ურთიერთობა რეგულირდება სამართლებრივი ნორმების მკაცრად განსაზღვრული ჯგუფით, რომლებიც განსაზღვრავენ მათ თავისებურებებს და კონკრეტულ სოციალურ მიმართულებას.

სამართლის სისტემის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სამართლის დარგი. სამართლებრივი ნორმების ეს ფართო გაერთიანება არეგულირებს გარკვეული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებას. სამართლის სისტემის სხვა სტრუქტურული ელემენტებისგან განსხვავებით დარგს გააჩნია გარკვეული ავტონომია: შეუძლია დამოუკიდებლად ფუნქციონირება სამართლის საერთო სისტემაში.

**სამართლის დარგი** — ესაა სამართლის სისტემის შედარებით დამოუკიდებელი ქვედანაყოფი, რომელიც შედგება საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისობრივად სპეციფიკური სახის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებისგან. ასე მაგალითად, მიწის ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები წარმოქმნიან მიწის სამართლის დარგს; სახელმწიფოში ფინანსური ურთიერ-

თობების განმსაზღვრელი ნორმების ერთობლიობა შეადგენს ფინანსური სამართლის დარგს. თავის მხრივ, სამართლის დარგები იყოფა ცალკეულ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებად, რომელთაც ეწოდებათ სამართლის ინსტიტუტები.

**სამართლებრივი ინსტიტუტი** — სამართლის დარგის სპეციფიკური ნაწილის შემადგენელი სამართლებრივი ნორმების განცალკევებული კომპლექსი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული სახის მრავალფეროვნებას. სამართლებრივი ინსტიტუტი სამართლის დარგებისგან განსხვავებით აერთიანებს ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ გარკვეული სახის ურთიერთობების ნაწილს.

**სამართლებრივი ინსტიტუტი** — დარგის პირველადი დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი. სამართლებრივი ნორმები დარგს წარმოქმნის არა უშუალოდ, არამედ ინსტიტუტების მეშვეობით. თუ სამართლის სისტემა ყალიბდება დარგებისგან, დარგები შედგება სამართლებრივი ინსტიტუტებისგან. კონსტიტუციური სამართლის დარგი მოიცავს „მოქალაქეობის ინსტიტუტს“, „საარჩევნო უფლების ინსტიტუტს“. სამოქალაქო სამართლის შემადგენლობაში არის „ყიდვა-გაყიდვის“, „ჩუქების“ სამართლებრივი ინსტიტუტები და ა.შ.

სამართლის ერთი და იგივე დარგის მომიჯნავე ინსტიტუტები ერთობლიობაში წარმოქმნიან სამართლის ქვედარგს. სამართლის ქვედარგის ნორმები არეგულირებენ გარკვეული სახის ურთიერთობების ჯგუფს. მაგალითად, სისხლის სამართლის ქვედარგს წარმოადგენს სამხედრო-სისხლის სამართალი, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო დანაშაულებზე პასუხისმგებლობის შემცველი ნორმების გაერთიანებას.

თანამედროვე საზოგადოების სამართლის სისტემა აერთიანებს შემდეგ ძირითად დარგებს:

1. **სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი** — სამართლის დარგი, რომელიც ამტკიცებს ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოწყობის, მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის საფუძვლებს, სახელმწიფოს ორგანოთა სისტემას და მათ ძირითად უფლებამოსილებებს.

2. **ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს** სახელმწიფოს ორგანოთა აღმასრულებელ-განკარგულებითი საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

3. **ფინანსური სამართალი წარმოადგენს** ფინანსური საქმიანობის სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობას.

4. **მიწის სამართალი არეგულირებს** საზოგადოებრივ ურთიერთობებს მიწის, მისი წიაღის, წყლების, ტყეების გამოყენებისა და დაცვის სფეროში, რაც წარმოადგენს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მატერიალურ საფუძველს.

5. **სამოქალაქო სამართალი** – სამართლის სისტემის ყველაზე მოცულობითი დარგი, რომელიც არეგულირებს მრავალფეროვან ქონებრივ და მათთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. სამოქალაქო სამართლის ნორმები ამტკიცებენ და იცავენ საკუთრების ფორმებს, განსაზღვრავენ მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებებს ქონებრივ ურთიერთობებში და ა.შ. სამოქალაქო სამართლით დაცულია ისეთი პირადი არაქონებრივი უფლებებიც, როგორცაა მოქალაქის ან ორგანიზაციების ღირსება და პატიოსნება.

6. **შრომის სამართალი** – ადამიანის შრომითი საქმიანობის პროცესში საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლის დარგი. მაგალითად, შრომის სამართლის ნორმები განსაზღვრავენ სამუშაოზე მიღების პირობებს, ადგენენ სამუშაო დროს და დასვენების დროს, შრომის უსაფრთხოების წესებს.

7. **ოჯახის სამართალი** – სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებს. მისი ნორმები ადგენენ დაქორწინების წესსა და პირობებს, მეუღლეების, მშობლების და ბავშვების უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთთან მიმართებაში.

8. **სამოქალაქო-საპროცესო სამართალი** არეგულირებს სასამართლოების მიერ სამოქალაქო, შრომითი და ოჯახური დავების განხილვის პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობებს. სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ სასამართლოს მიზნებს,

ამოცანებს, უფლებებსა და ვალდებულებებს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის; ამტკიცებენ სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას; ახდენენ სასამართლო განხილვის მიმდინარეობის რეგლამენტირებას; სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრების წესის დადგენას.

**9. სისხლის სამართალი წარმოადგენს** იმ ნორმების კომპლექსს, რომლებიც ადგენენ, თუ რა საზოგადოებრივი საშიში ქმედება წარმოადგენს დანაშაულებრივს და რა სასჯელი გამოიყენება ჩადენილ ქმედებაზე. სისხლის სამართლის ნორმები განსაზღვრავენ დანაშაულის ცნებას; ადგენენ დანაშაულების წრეს, სასჯელის სახეებსა და ზომას დანაშაულებრივ ქცევაზე და ა.შ.

**10. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი** აერთიანებს სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების წესის განმსაზღვრელ ნორმებს. მოცემული დარგის ნორმები არეგულირებენ წინასწარი გამოძიების, პროკურატურის, სასამართლოს მოკვლევის ორგანოების მოქმედებას და მათ ურთიერთდამოკიდებულებებს მოქალაქეებთან სისხლის სამართლის გამოძიების, სასამართლო განხილვის და გადაწყვეტის დროს.

**11. შრომა-გასწორებითი სამართალი** არეგულირებს სასჯელის დადებით მომენტში წარმოშობილ შრომა-გასწორებით ურთიერთობებს. ეს ნორმები დგინდება სასჯელ-აღსრულების შედეგად წარმოშობილ ურთიერთობებს, სისხლის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

სამართლის სისტემა ისევე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრება მუდმივ ცვლილებასა და განვითარებას განიცდის. ახალი, უფრო პროგრესული დამოკიდებულებების წარმოქმნასთან ერთად ის ივსება ახალი ნორმებით, ინსტიტუტებით, დარგებით და ხდება უფრო სრული და ეფექტური.

### §3. სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი

სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი — ყველაზე არსებითი საფუძველი სისტემის დარგებად დაყოფისთვის. სამართლებრივი რეგულირების საგანი — ესაა ის, რაზეც ზემოქმედებს სამართალი. სამართალი კი, როგორც ცნობილია, ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოადგენენ იმ ობიექტურ საფუძველს, რომელიც აცოცხლებს სამართალს და მასში შეაქვს სისტემისმაგვარი ნიშნები.

თითოეული დარგი აერთიანებს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაკუთრებულ, თვისობრივად განსაზღვრულ სახეს. სამართლის დარგში სამართლებრივი ნორმების გაერთიანება ხდება ობიექტური მიზეზების ძალით, რომლებიც არა დამოკიდებული სამართალშემოქმედებითი ორგანოების მიხედულობაზე. ერთი დარგის მეორისგან განმასხვავებელ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სამართლის ამ დარგებით რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისებურება. ეს ურთიერთობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსით, კონკრეტული მიზნებით და ამოცანებით. ასე მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის ნორმები არეგულირებენ სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელ ფუნქციებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოში ქონებრივი კავშირების წესს.

**სამართლებრივი რეგულირების საგანი** — საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისობრივად ერთგვაროვანი სახე, რომელზეც ზემოქმედებს სამართლის გარკვეული დარგის ნორმები. რეგულირების საგანი წარმოადგენს მთავარ, ობიექტურ საფუძველს სამართლებრივი ნორმების დარგების მიხედვით განაწილებისთვის.

სამართლის ნორმები არეგულირებენ შინაარსით განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სხვადასხვა მეთოდებით (ხერხებით). მაგალითად, ადმინისტრაციული სამართლის ნორმები ზემოქმედებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ამ ურთიერთობა-

თა მონაწილეებისთვის ბრძანებულებითი მითითებების დადგენის გზით: კატეგორიული მოთხოვნის უფლება გააჩნია სახელისუფლებო ორგანოს – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მეორე მხარე კი ვალდებულია შეასრულოს ის. სამოქალაქო სამართალი ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სხვა ხერხით: აძლევს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს მოქმედებების სრულ თავისუფლებას კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში. აქ, მხარეები გამოდიან, როგორც თანასწორუფლებიანი სუბიექტები: შესაძლებელია მათ მიერ აღებული ვალდებულებების ცვლილება ან შეწყვეტა მხოლოდ ორმხრივი შეთანხმებით. სისხლის სამართლის ზემოქმედების ძირითად ხერხს წარმოადგენს აკრძალვა: მოცემული დარგის ნორმების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დასჯის მუქარით იკრძალება საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის, ასევე ცალკეული პიროვნებისთვის საშიში ქმედებების ჩადენა.

თითოეულ დარგს გააჩნია სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკური მეთოდი. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების ხერხებში განსხვავების განმსაზღვრელ მთავარ შტრიხს წარმოადგენს სამართლებრივი დამოკიდებულებების მონაწილეთა ორმხრივი მდგომარეობის ხასიათი. ზოგიერთ დარგში სჭარბობს ბრძანებითი დავალდებულების მეთოდი, ზოგიერთში – მხარეთა თანასწორობა (ნებადართულობა), ზოგან – ნებადაურთველი მოქმედებების (კანონების) აკრძალვები.

**სამართლებრივი რეგულირების მეთოდი** – სამართლის დარგის ზეგავლენის ხერხები საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ სახეზე, რომელიც წარმოადგენს მისი რეგულირების საგანს. მეთოდი უშუალოდ განისაზღვრება სამართლებრივი რეგულირების საგნით: საზოგადოებრივი ურთიერთობების სახის კონკრეტული შინაარსი განსაზღვრავს კიდევ იურიდიული ზემოქმედების ხერხების თავისებურებას.

#### §4. სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის თანაზარღობა

**სამართლის სისტემა** – ესაა ობიექტურად სამართლებრივი მოვლენა, რომელიც ყალიბდება საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი კანონზომიერებების საფუძველზე. წარმოადგენს რა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალურად არსებული სისტემის ასახვას, სამართლის სისტემა იგება ობიექტური სინამდვილის საფუძველზე.

**ერთის მხრივ, სამართლის ნორმა** – სამართალშემოქმედებითი ორგანოების სუბიექტური, ცნობიერ-ნებელობითი მოქმედების პროდუქტი. **მეორეს მხრივ, სამართლის ნორმები** ხდება სამართლის სისტემის ბუნებრივი ელემენტები. ამიტომ, სამართლის ნორმები ობიექტურად, სამართალშემოქმედებითი ორგანოს ნებისგან დამოუკიდებლად ერთიანდებიან მოცემული ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შედარებით დამოუკიდებელ ჯგუფებად. სამართალშემოქმედებით ორგანოს არ შეიძლება სურვილისამებრ ესა თუ ის ნორმა განაკუთვნოს სამართლის გარკვეულ დარგს. თუ ნორმა გამოცემულია საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის, ის ობიექტურად შედის სამართლის იმ დარგში, რომელიც არეგულირებს ამ ურთიერთობებს.

კანონმდებლობის სისტემა სხვაგვარი პრინციპით იგება. მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლებრივი პრაქტიკის მოთხოვნილებით განპირობებული სუბიექტურ ფაქტორს.

ადამიანის ცხოვრებაში ფუნქციურ საფუძველს შეადგენს შინაარსით განსხვავებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. გარკვეულ სფეროებში ერთიანდება სოციალური კავშირების მრავალი სახე და ნაირსახეობა. ყოველთვის როდი ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების იზოლირებული სფეროს აღმოჩენა, სადაც დომინირებს მხოლოდ ერთი სახის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც წარმოადგენს სამართლის ერთი დარგის რეგულირების წაგანს. აქედან მომდინარეობს ზოგადი სამართლებრივი რეგულირებით საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნების გარემოცვის აუცილებლობა ადამიანის ცხოველქმედების სხვადასხვა სფეროში (წარ-

მოებაში, ყოფით ცხოვრებაში, ჯანდაცვაში, მომსახურების სფეროში და ა.შ.).

კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური მოთხოვნები სუბიექტურ სამართალშემოქმედებით საქმიანობაში, თუმცა, მას არ შეუძლია შეცვალოს სამართლებრივი ნორმების შინაარსი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების დარგობრივ სახეს.

როგორია სამართლის სისტემისა და კანონმდებლობის სისტემის თანაფარდობის ზოგადი წინაპირობები? რაში გამოიხატება მათი ერთიანობა და განსხვავება?

**კანონმდებლობის სისტემა** — სამართლის წყაროების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების გამოხატვის ფორმას. ამიტომ სამართალი არ არსებობს კანონმდებლობის გარეშე. სწორედ კანონმდებლობაში (სამართლის წყაროებში) პოულობენ გამოხატვას სამართლის ნორმები და მათი სტრუქტურული წარმონაქმნები. ამ გაგებით სამართლისა და კანონმდებლობის სისტემები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს.

ამასთან ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ელემენტებისა და შინაარსის მიხედვით. კანონმდებლობის სისტემის პირველად ელემენტს წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მუხლი, რომელიც ყოველთვის არ შეიცავს სამართლებრივი ნორმის სამივე სტრუქტურულ ელემენტს. მასში ზოგჯერ გადმოცემულია ორი ელემენტი: ჰიპოთეზა და სანქცია — დისპოზიცია შეიძლება იყოს მოცემული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის სხვა მუხლში ან სრულიად სხვა აქტში. უფრო მეტიც, ერთსა და იმავე ნორმატიულ აქტში შეიძლება შედიოდეს სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმები, რომელთა უზრუნველყოფაც ხდება სხვა ნორმატიულ აქტებში შესული სანქციებით (მაგალითად, კანონები საკუთრების, სამეწარმეო საქმიანობის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ა.შ.).

როგორც ჩანს, ერთი და იმავე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელია შინაარსით განსხვავებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სახეების რეგულირება. ამიტომაც მას არ შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი რეგულირების ერთიანი სა-

განი და მეთოდი. ეს აიხსნება იმით, რომ რეალურ ცხოვრებაში ჩნდება ერთი ან რამდენიმე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მეშვეობით გარკვეულ სფეროში – სოფლის მეურნეობის წარმოებაში, სატრანსპორტო მომსახურებაში, სახელმწიფოს თავდაცვით საქმიანობაში მოქმედი ურთიერთობების მთელი ჯგუფის რეგულირების მოთხოვნილება.

კანონმდებლობის სისტემა მოიცავს კანონმდებლობის დარგების შემდეგ ძირითად სახეებს:

**1. დარგობრივი კანონმდებლობა შეიცავს ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სამართლის ერთი დარგის საგნის შემადგენელ საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისობრივად განსაზღვრულ სახეს. აქ, კანონმდებლობის დარგი ემთხვევა სამართლის დარგს (მაგალითად, მიწის, ოჯახის, სისხლის სამართლის კანონმდებლობა).**

**2. შიდადარგობრივი კანონმდებლობა გამოხატავს სამართლის ქვედარგის ან ინსტიტუტის ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებას (საავტორო კანონმდებლობა სამოქალაქო კანონმდებლობის დარგის შემადგენლობაში; საბანკო კანონმდებლობა ფინანსური კანონმდებლობის შემადგენლობაში და ა.შ.).**

**3. კომპლექსური კანონმდებლობა მოიცავს სამართლის რამდენიმე დარგის ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი შინაარსით განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც შეადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებით დამოუკიდებელ სფეროს (სამეურნეო, სატრანსპორტო, სამხედრო კანონმდებლობა). კანონმდებლობის კომპლექსური დარგების რეგულირების საგანს სამართლის დარგისგან განსხვავებით წარმოადგენს არა საზოგადოებრივი ურთიერთობების სახე, არამედ სფერო, რომელიც აერთიანებს მათ სახეებს. საზოგადოებრივი ურთიერთობების დარგობრივი ჯგუფების ერთიანობა და ურთიერთშედწევა განსაზღვრავს სამართლის ნორმების ზოგადობასა და ურთიერთკავშირს.**

**სამხედრო კანონმდებლობა, როგორც კანონმდებლობის კომპლექსური დარგი მოიცავს სამართლის სახელმწიფო, ადმინისტრაციული**

ტრაციული, ფინანსური, მიწის, სისხლის სამართლის და სხვა დარგების ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სამხედრო მშენებლობის სფეროს, შეიარაღებული ძალების სპეციფიკურ ცხოველქმედებას. მან უნდა უზრუნველყოს და დაიცვას ჯარების მაღალსაბრძოლო მზადყოფნა, სამხედრო სამსახურის გავლის წესი, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების კანონიერი უფლებები და ინტერესები და ა.შ.

სამხედრო კანონმდებლობის იურიდიულ ბაზას შეადგენს სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელიც ამტკიცებს მისი თავდაცვითი პოლიტიკის სამართლებრივ ნორმებს, სახელმწიფოს ორგანოთა კომპეტენციას შეიარაღებული ძალების მშენებლობის სფეროში.

სამხედრო კანონმდებლობის აქტები კონსტიტუციის საფუძველზე არეგულირებენ შეიარაღებული ძალების სპეციფიკურ პირობებში ჩამოყალიბებულ მრავალფეროვან ურთიერთობებს. სამხედრო კანონმდებლობის ნორმები კი, განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების მოწყობას, სამხედრო მმართველობის ორგანობის ორგანიზებასა და უფლებამოსილებებს, შეიარაღებული ძალების კადრების დაკომპლექტების წესს, სამსახური სამსახურის გავლის წესს, სამხედრო მოსამართლეთა სამართლებრივ მდგომარეობას, სამხედრო მოსამსახურეთა მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის წესებს, შეიარაღებული ძალების მობილიზაციის საფუძვლებს და ა.შ.

# სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები

## სამართლის სისტემა

მისი შიდა წყობა, რომელიც გამოიხატება ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმების ერთიანობისა და შეთავსებადობაში და ამასთან, სამართლის დაყოფაში შედარებით დამოუკიდებელ სტრუქტურულ ელემენტებად.

## სტრუქტურული ელემენტები

### სამართლის დარგი

სამართლებრივი ნორმების სისტემატიზირებული ერთობლიობა, რომლებიც წარმოქმნიან სამართლის სისტემის ნაწილს და არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისებურ სახეს სპეციფიკური მეთოდით

### სამართლის ინსტიტუტი

სამართლის დარგის დამოუკიდებელი ნაწილის წარმომქმნელი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ გარკვეული სახის საზოგადოებრივი ურთიერთობების ნაირსახეობას


### სამართლის ქვედარგი

სამართლის „მონათესავე“ ინსტიტუტების ჯგუფი სამართლის გარკვეული დარგის შემადგენლობაში

### სამართლებრივი ნორმა

სამართლის სისტემის პირველადი უჯრედი, რომელიც არეგულირებს გარკვეული ნაირსახეობის ტიპურ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას

თანამედროვე საქართველოს დარგების სხეულები



სამართლის დარგებად დაყოფის კრიტერიუმები

სამართლის დარგებად დაყოფის კრიტერიუმები და საფუძვლები – სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი

სამართლებრივი რეგულირების საგანი

საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისობრივად განსაზღვრული სახე, რომელზეც მიმართულია სამართლის მოცემული დარგის ზემოქმედება

სამართლებრივი რეგულირების მეთოდი

იურიდიული საშუალებებისა და ხერხების შეთავსება, რომელთა მეშვეობითაც ხდება სამართლის ზემოქმედება ადამიანთა ქცევაზე, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე



შრომითი ურთიერთობების სფერო

შრომის სამართლის დარგი



მხარეთა შეთანხმებების ნებაყოფლობითობა, შეთანხმება

სამოქალაქო სამართლის მეთოდი



ოჯახურ-ქორწინების ურთიერთობები


ოჯახის სამართალი



ბრძანება, ბრძანებითი ნება

ადმინისტრაციული სამართლის მეთოდი

**კანონმდებლობის სისტემის ცნება და მისი ძირითადი  
სტრუქტურული ელემენტები**



სამართლის სისტემის ღარბების თანაფარდობა  
კანონმდებლობის ღარბებთან

სამართლის სისტემის  
ღარბი

ჯგუფდება საზოგადოე-  
ბრივი ურთიერთობების  
სამართლებრივი რეგუ-  
ლირების საგნისა და  
მეთოდის ერთიანობის  
ნიშნის მიხედვით



კანონმდებლობის ღარბი

კანონებისა და კანონ-  
ქვემდებარე ნორმატიული  
აქტების კომპლექსი,  
რომელშიც არის სა-  
მართლის ერთი ან  
რამოდენიმე დარგის  
ნორმები

კანონმდებლის  
ღარბი

შეიცავს ნორმებს, რომლებიც არ-  
ეგულირებენ საზოგადოებრივი  
ურთიერთობების გარკვეულ სახეს,  
რომელიც წარმოადგენს სამართლის  
ერთი დარგის რეგულირების საგანს.

მიწის, ოჯახის,  
სისხლის  
სამართლის,  
შრომის  
კანონმდებლობა.

კანონმდებლობის კო-  
მპლექსური ღარბი

მოიცავს სამართლის რამოდენიმე  
დარგის ნორმებს, რომლებიც არეგუ-  
ლირებენ სახეობრივად განსხვავებულ  
ურთიერთობებს და შეადგენენ საზოგა-  
დოებრივი ცხოვრების შედარებით  
დამოუკიდებელ სფეროს.

სამეურნეო,  
სატრანსპორტო,  
ეკოლოგიური  
კანონმდებლობა

## პითხვები ცოდნის განმტკიცებისთვის

1. სამართლის სისტემის, როგორც ობიექტური წესის ცნები და ნიშნები.
2. საჯარო და კერძო სამართალი: როგორია მათი სისტემური თანაფარდობა?
3. მოკლედ დაახასიათეთ სამართლის სისტემის სტრუქტურული ელემენტები.
4. რატომ წარმოადგენს სამართლის დარგი სამართლის სისტემის ძირითად სტრუქტურულ ელემენტს?
5. რომელი დარგები წარმოქმნიან თანამედროვე საზოგადოების სამართლის სისტემას? მათი დახასიათება.
6. განსაზღვრეთ სამართლებრივი რეგულირების საგანი და მეთოდი სამართლის კონკრეტული დარგების მაგალითზე.
7. რატომაა ორგანულად დაკავშირებული სამართლის სისტემა კანონმდებლობის სისტემასთან?
8. როგორ შეესაბამება ერთმანეთს სამართლის და კანონმდებლობის დარგები?
9. რა პრინციპით ყალიბდება კანონმდებლობის დარგები სამართლის დარგებისგან განსხვავებით?
10. რაში გამოიხატება კანონმდებლობის კომპლექსური დარგის თავისებურებები?
11. როგორია სამხედრო კანონმდებლობის, როგორც კანონმდებლობის კომპლექსური დარგისთვის დამახასიათებელი თვისებები? მისი ადგილი ზოგადი კანონმდებლობის სისტემაში.

## თავი XVI. სამართალდამოკიდებულება

1. სამართალდამოკიდებულების ცნება და მისი ძირითადი ნიშნები. §2. სამართალდამოკიდებულების სტრუქტურა:

სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტები და ობიექტები, სუბიექტური იურიდიული უფლებები და ვალდებულებები.

§3. იურიდიული ფაქტები.

§4. სამართალდამოკიდებულებათა წინაპირობები

1. სამართალდამოკიდებულების ცნება და მისი ძირითადი ნიშნები

ადამიანებსა და მათ ორგანიზაციებს შორის რეალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობებს გააჩნიათ გარე გამოხატვის სხვადასხვა ფორმა და მხარე. ის შეიძლება იყოს მორალური, პოლიტიკური, ციონალური, რელიგიური და სამართლებრივიც. თითოეული საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ ევლენას, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინტერესების სხვადასხვა ელემენტს. ზოგიერთ მათგანს მოიცავს სამართლებრივი რეგულირება, ზოგიერთს — არა.

ამდენად, საზოგადოებრივი დამოკიდებულების ყველა სახე და რეალური მოცულობით არ შეიძლება იყოს იურიდიული ფორმის მქონე. სამართალდამოკიდებულებები ასახავენ ადამიანებს შორის ინკრეტული ცხოვრებისეული დამოკიდებულების იმ ასპექტს, რომელიც განისაზღვრება სამართლის ნორმებით. უფრო მეტიც, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობა როდია იურიდიული ობიექტურად. საერთოდ, დამოკიდებულება სამართლებრივ ხასიათს იძენს მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება სოციალური მნიშვნელობის მქონე ქცევის აქტებს.

**სამართალდამოკიდებულება** — რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთი მხარე, რომელიც განისაზღვრება სამართლის ნორმით, მისი გამოხატვის სპეციფიკური ფორმა. მეცნიერული კვლევისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი დამოკიდებულებების ზოგადი იურიდიული ფორმის გამოიყვანა ფაქტი-

ური მრავალფეროვანი შინაარსისგან. ამ მიზნით, იურისტები აზრობრივად ქმნიან წარმოდგენას ისეთი იურიდიული დამოკიდებულებების შესახებ, რომლებიც მთლიანად და განსაკუთრებულად იყო განსაზღვრული მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით.

სამართალდამოკიდებულება წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ზოგადი საფუძვლების (ობიექტური სამართლის) საზოგადოებრივი დამოკიდებულებების მონაწილეთა კონკრეტულ (სუბიექტურ) უფლებებსა და ვალდებულებებში გამოხატვის საშუალებას. სამართალი ობიექტური გაგებით წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ სუბიექტების არა პერსონალურად განსაზღვრული წრის უფლებებისა და ვალდებულებების შინაარსს. მათში მოცემულია მითითებები, რომლებიც ეხება სამართლებრივი ნორმის მოქმედების სფეროში მყოფი პირების უმრავლესობას.

**სამართალი სუბიექტური გაგებით არის ინდივიდუალიზებული სამართალი.** მასში ზოგადი იურიდიული უფლებები და ვალდებულებები ხდება კონკრეტული პირების კუთვნილება და ამგვარად, გადააქვს ის სამართალდამოკიდებულებათა სიბრტყეში.

**სამართალდამოკიდებულება** – საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელშიც მხარეები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სახელმწიფოს მიერ დაცული ორმხრივი უფლებებითა და ვალდებულებებით.

**როგორია სამართალდამოკიდებულებებისთვის დამახასიათებელი ნიშნები?**

**ჯერ ერთი,** სამართალდამოკიდებულება წარმოადგენს ფაქტიური საზოგადოებრივი დამოკიდებულების ისეთ ფორმას, რომელიც ყალიბდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. ასეთია შრომის, ოჯახური, ქონებრივი, მეგობრობის, სიყვარულის დამოკიდებულებები და ა.შ. თუმცა ყველა ცხოვრებისეული დამოკიდებულება როდი რეგულირდება სამართლის ნორმების მეშვეობით. მრავალი მათგანის რეგლამენტაცია ხდება მორალის ნორმებით, წეს-ჩვეულებებით. სამართალდამოკიდებულების ფორმას იღებენ მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით რეგულირებული დამოკიდებულებები.

კონკრეტულად რაში ვლინდება სამართლის ნორმებისა და სამართალდამოკიდებულებების ურთიერთკავშირი? სამართლის ნორმებში შედის ადამიანთა ზოგადი იურიდიული უფლებები და ვალდებულებები — იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების ტიპური ნიმუშები, რომელთა დაცვაც ხდება სამართლებრივი მითითებებით. სამართალდამოკიდებულებათა მხარეები იღებენ კონკრეტულ იურიდიულ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მტკიცდება სამართლის ნორმებში: მათი ქცევა ხორციელდება მოცემული უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად. მაშასადამე, სამართალდამოკიდებულებების მეშვეობით ხდება სამართლებრივი ნორმების ცხოვრებაში ასახვა.

**მეორეც**, სამართალდამოკიდებულებების მონაწილეებს გააჩნიათ ორმხრივი იურიდიული უფლებები და ვალდებულებები. თუ სამართალდამოკიდებულების ერთ სუბიექტს ეკისრება უფლება, მეორეს ეკისრება ვალდებულება. ასე მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით მყიდველს აქვს უფლება გამყიდველისგან მოითხოვოს სათანადო ხარისხის ნივთი, გამყიდველი კი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა კანონის შესაბამისად.

**მესამეც**, სამართალდამოკიდებულებებს გააჩნიათ ცნობიერ-ნებელობითი ხასიათი. ეკონომიკური ურთიერთობებისგან განსხვავებით, რომელთა ჩამოყალიბებაც ხდება ობიექტურად, ცალკეული ინდივიდის ნების მიუხედავად, სამართალდამოკიდებულებები ატარებენ ინდივიდუალურ-ნებელობით ხასიათს, ერთის მხრივ, ისინი წარმოიქმნიებიან სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, მეორეს მხრივ, სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეები ახორციელებენ ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და ვალდებულებებს ნებელობითი, გაცნობიერებული მოქმედებების მეშვეობით.

**მეოთხეც**, სამართალდამოკიდებულებები არის სახელმწიფოს მიერ გარანტირებული და დაცული, საჭიროების შემთხვევაში კი იძულების ძალითაც. სახელმწიფო ქმნის აუცილებელ ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა პირობებს სამართლებრივი ნორმების სრული რეალიზაციისთვის. თუ ირდევია სამართალდამოკიდებულებაში შესული უფლებამოსილი ან ვალდებული პირების თავისუ-

ფლების საზომი, სახელმწიფო იღებს იძულების ზომებს მათ უზრუნველსაყოფად.

სამართალდამოკიდებულებების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით. ხშირად მათ განასხვავებენ სამართლის დარგების მიხედვით. ამ საფუძვლის მიხედვით გამოიყოფა სახელმწიფო-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი, საოჯახო-სამართლებრივი სისხლის სამართლის და ა.შ. დარგობრივი სამართალდამოკიდებულებები.

**§2. სამართალდამოკიდებულების სტრუქტურა:  
სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტები და ობიექტები  
სუბიექტური იურიდიული უფლებები  
და ვალდებულებები**

თანამედროვე იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა აღიარებს რომ სამართალდამოკიდებულების განხილვა არ შეიძლება იმ ფაქტიური საზოგადოებრივი დამოკიდებულებისგან მოწყვეტით განვიხილოთ, რომლებიც ფლობენ სამართლებრივ ფორმას. საზოგადოებრივი დამოკიდებულების იურიდიული ფორმა და ფაქტიური შინაარსი არის მთლიანი სოციალური მოვლენა.

ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია განსაზღვროს სამართალდამოკიდებულების სტრუქტურა, სამართლებრივი ფორმის რა ძირითადი ელემენტები ანიჭებს ფაქტიურ დამოკიდებულებას სახელმწიფოებრივ სტატუსს, უზრუნველყოფს მის დაცვას და გარანტირებულობას.

სამართლებრივი დამოკიდებულების სტრუქტურას გააჩნია ოთხი აუცილებელი ელემენტი: **სუბიექტები, ობიექტები, უფლება და ვალდებულება.**

1) **სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტები** — ესაა ცალკეული ინდივიდები და ორგანიზაციები, რომლებიც სამართლის ნორმების შესაბამისად წარმოადგენს სუბიექტური იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელს. ასეთია, ზოგადი მდგომარეობა. რეალურ ცხოვრებაში ყველა ინდივიდი და

ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს სამართალდამოკიდებულების სუბიექტი, რაც აიხსნება სხვადასხვა ობიექტური ფაქტორებით: ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური. მცირეწლოვან ბავშვებს, სულით ავადმყოფებს, ორგანიზაციებს, რომლებმაც შეწყვიტეს არსებობა, ფაქტიურად არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სამართალდამოკიდებულებებში, რადგანაც თუ არა სამართლის სუბიექტი, არ არსებობს ვალდებულების სუბიექტიც და თავად ვალდებულებაც – არ შეიძლება იყო ვალდებული ვინმესთან მიმართებაში.

სამართალდამოკიდებულებების მონაწილეებს წარმოადგენენ ის სუბიექტები, რომლებიც იმყოფებიან ობიექტური სამართლის სფეროში. მათი უდიდესი უმრავლესობა სამართლებრივ სახელმწიფოშია. სხვა პირები, გარკვეული მიზეზების გამო არ შედიან სამართლებრივი რეგულირების სფეროში, იმყოფებიან რა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ.

სამართლებრივ დამოკიდებულებებში სუბიექტების მონაწილეობა განისაზღვრება მათი უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით.

**უფლებაუნარიანობა** – კანონმდებლობაში სუბიექტის უნარი ჰქონდეს იურიდიული უფლებები და ვალდებულებები, ის იწყება ბავშვის დაბადების მომენტიდან და წყდება სიკვდილთან ერთად. უფლებაუნარიანობა არ წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივ თვისებას, არამედ წარმოიქმნება ობიექტურ უფლებასთან ერთად. მასში თავმოყრილია ის იურიდიული უფლებები და ვალდებულებები, რომელთაც შეიძლება ფლობდეს სუბიექტი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას გააჩნია ისინი, რათა გახდეს სამართალდამოკიდებულების რეალური მონაწილე, უფლებაუნარიანი სუბიექტი უნდა იყოს ქმედუნარიანიც.

**ქმედუნარიანობა ეწოდება ობიექტური** სამართლის ნორმებით აღიარებულ სუბიექტის უნარს დამოუკიდებლად, გაცნობიერებული ქმედებებით განახორციელოს იურიდიული ფაქტები და ვალდებულებები.

**ქმედუნარიანობა იყოფა ზოგადად და სპეციალურად.**

ზოგადი ქმედუნარიანობა ეხება ყველა იურიდიულ გარიგებას, სპეციალური ქმედუნარიანობა კი ვრცელდება მხოლოდ მოცემულ გარიგებების მკაცრად განსაზღვრულ სახეზე.

ბუნებრივი მიზეზების ძალით, ქმედუნარიანობა და უფლებუნარიანობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ყველა ადამიანი უფლებუნარიანია, თუმცა ყველა მათგანი არაა ქმედუნარიანი და პირიქით, ყველა ქმედუნარიანი ადამიანი უფლებუნარიანია. ამდენად, უფლებუნარიანობა უფრო ფართო გაგებაა, რადგანაც ვრცელდება პირთა დიდ წრეზე.

**ქმედუნარიანობის შინაარსი და მოცულობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე:**

1. უფლებუნარიანი სუბიექტის ასაკზე. ყველა ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს სამოქალაქო სრულწლოვანების ასაკს, რომლის დადგომის შემდეგაც პირი ხდება ქმედუნარიანი. კანონმდებლობით განისაზღვრება პოლიტიკურ სრულწლოვანების ასაკიც, რომლის დადგომის შემდეგაც მოქალაქე იძენს პოლიტიკურ უფლებებს და იღებს შესაბამის ვალდებულებებს (მაგალითად, აქვს არჩევნების უფლება და ასევე უფლებიყოს არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში). ამასთან, ყველა ქვეყანაში დგინდება ქორწინების სრულწლოვანების ასაკი, რომლის დადგომის შემდეგ ადამიანს შეუძლია დაქორწინება და სრული მოცულობით ოჯახური უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება.

სუბიექტის ასაკის მიხედვით მისი ქმედუნარიანობა წარმოადგენს სრულს ან შეზღუდულს. ასე მაგალითად, არასრულწლოვანები ახორციელებენ გარიგებებს მხოლოდ მშობლების, მშვილებლების ან მზრუნველების თანხმობით.

2. სუბიექტების ქმედუნარიანობაზე გავლენას ახდენს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუ სულიერი ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის შედეგად მოქალაქე კარგავს უნარს გაიგოს საკუთარი ქმედებების მნიშვნელობა და მართოს ისინი სასამართლოს მიერ ის შეიძლება ცნობილ იქნეს ქმედუნარიანად ასეთი პირების სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს ახორციელებენ მათი მეურვეები.

3. **ქმედუნარიანობაზე ასევე გავლენას ახდენს სუბიექტების მსგავსების გავლენა.** ეს პირველ რიგში, ეხება ქორწინება-ოჯახურ ურთიერთობებს. ცივილიზებულ ქვეყნებში კანონი კრძალავს ქორწინებას აღმავალი და დაღმავალი ხაზების პირდაპირ ნათესავეებსა, მშვილებლებსა და შვილად აყვანილებს, ღვიძლ და ნახევარდა-ძმებს შორის.

4. **ქმედუნარიანობის შინაარსზე გავლენის მქონე შემდეგ ფაქტორს წარმოადგენს სუბიექტების კანონმორჩილება.** დანაშაულის ჩამდენი პირი, როცა ის იხდის სასჯელს, ვერ ახორციელებს მისი უფლებაუნარიანობის შემადგენელი რიგი სამოქალაქო, პოლიტიკური და სხვა უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზებას.

5. **ქმედუნარიანობის შინაარსი დამოკიდებულია სუბიექტების რელიგიურ შეხედულებებზე.** სამართლებრივ სახელმწიფოში მორწმუნეებს რელიგიური შეხედულებების მიზეზით შეუძლიათ უარი თქვან რიგი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებაზე. მაგალითად, იმსახურონ ჯარში, გამოიყენონ ძალადობა სხვა ადამიანებთან მიმართებაში.

**ინდივიდებს, როგორც სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტებს განეკუთვნება სახელმწიფოს მოქალაქეები, უცხოელი მოქალაქეები და პირები მოქალაქეობის გარეშე, რომლებიც იმყოფებიან მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.** სამართალდამოკიდებულების ინდივიდუალური სუბიექტი არა ფიზიკური, არამედ წმინდა იურიდიული ცნებაა.

მოქალაქეთა ყველა უფლებების, თავისუფლებების და ვალდებულებების ერთობლიობას ეწოდება სამართლებრივი სტატუსი. ტერმინი „სამართლებრივი სტატუსი“ გამოიყენება პირის სამართლებრივი მდგომარეობის დახასიათებისთვის, ხოლო ტერმინები „უფლებაუნარიანობა“ და „ქმედუნარიანობა“ გამოიყენება ამა თუ იმ პირების სამართალდამოკიდებულებებში მონაწილეობის მიმართ.

სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქეებს გააჩნიათ სამართლებრივი კანონებით დადგენილი უფლებების, თავისუფლებებისა და ვალდებულებების მთელი სისრულე. უცხოელები და პირები მოქალაქეობის გარეშე, როგორც სამართალდამოკიდებულე-

ბების მონაწილეები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე უტოლდება მის საკუთარ მოქალაქეებს. ისინი წარმოადგენენ ქონებრივი ფინანსური და მრავალი სხვა დამოკიდებულებების სრულუფლებიან მონაწილეებს. მათთვის გარანტირებულია კანონებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები. უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებაუნარიანობის შეზღუდვა ეხება, მხოლოდ სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთ, ყველაზე სპეციფიკურ მხარეებს (მაგალითად, მათ არ შეუძლიათ უცხო ქვეყნის ჯარში სამსახური და ა.შ.).

**ორგანიზაციებს** — სამართალდამოკიდებულებების კოლექტიურ სუბიექტებს განეკუთვნება სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კერძო ორგანიზაციები და მთლიანად სახელმწიფო. ინდივიდუალური სუბიექტებისგან განსხვავებით ორგანიზაციების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა იზღუდება იმ მიზნებითა და ამოცანებით, რომელთათვის იქმნებიან და ფუნქციონირებენ ისინი. სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობა განისაზღვრება კანონებით ან მათი საკუთარი წესდებებით (დებულებებით). ამ საქმიანობის მრავალფეროვნების მიუხედავად, ის მთლიანად მიმართულია ადამიანების, როგორც სამართალდამოკიდებულებების სუბიექტების ზოგადი და ინდივიდუალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე.

ორგანიზაციების უფლებები და ვალდებულებები მკაცრად და ზუსტადაა განსაზღვრული მათი კომპეტენციით, რომლის ჩარჩოებშიც ხორციელდება ამ ორგანიზაციების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. ორგანიზაციების ქმედუნარიანობა უშუალოდ გამოიხატება ორგანიზაციის სახელით გამოსული თანამდებობის პირების, წარმომადგენლების მოქმედებებში. სახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი, მინისტრი, პრეფექტი, პროკურორი, მოსამართლე, სახელმწიფო საწარმოს ან დაწესებულების დირექტორი. საზოგადოებრივი ან კერძო ორგანიზაციებს წარმოადგენს კოოპერატივის თავმჯდომარე, ფირმის დირექტორი, კერძო საწარმოს მფლობელი და ა.შ. ასეთი წარმომადგენლების მოქმედებები ითვლება თვითონ ორგანიზაციების მოქმედებად.

ორგანიზაციების სუბიექტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ე.წ. იურიდიულ პირებს. იურიდიულ პირს წარმოადგენს ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია განცალკევებული ქონება, საკუთარი სახელით შეუძლია შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და აიღოს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟში ან სამედიატორო სასამართლოში. იურიდიული პირები, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ ქონებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი დამოკიდებულებების სუბიექტებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზაციების სუბიექტების უდიდესი უმრავლესობა წარმოადგენს იურიდიულ პირს. იურიდიული პირები გამოირჩევიან იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციებს ასრულებენ — საჯაროს ან კერძოს.

სახელმწიფო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო, პოლიცია, სახელმწიფო საწარმოები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და ა.შ.) გააჩნიათ ზოგადი, საჯარო მიზნები. ეს განაპირობებს მათ დიდ სტაბილურობას, ასევე მეტ დამოუკიდებლობას იმ ინდივიდუალური პირებისგან, რომლებიც შედიან იურიდიული პირის შემადგენლობაში. იურიდიული პირის არსებობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ხასიათი, არაა დამოკიდებული მისი წევრების ნებაზე. მთავრობას არ შეუძლია შეწყვიტოს არსებობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანომ, თუნდაც მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრი გადადგეს.

სულ სხვა საქმეა, როცა იურიდიული პირი თავის საქმიანობას აგებს კერძო-სამართლებრივ საწყისებზე (კომერციული ბანკი, კერძო ფირმა ან საწარმო, სააქციო საზოგადოება). ის მიჰყვება წევრების: მეანაბრების, აქციონერების, მეპაიეების კერძო მიზნებსა და ინტერესებს. ასეთი კერძო-სამართლებრივი იურიდიული პირების წევრები წარმოადგენენ მათ სრულ წარმომადგენლებს: მათი ნება წარმოადგენს იურიდიული პირის ნებას.

სამართალდამოკიდებულებების სპეციფიკურ სუბიექტს წარ-

მოადგენს თავად სახელმწიფო. ის წარმოადგენს სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დამოკიდებულებების უმნიშვნელოვანეს მონაწილეს. ახორციელებს რა ბრძოლას დამნაშავეობასთან სახელმწიფო გამოდის სისხლისსამართლებრივი დამოკიდებულებების სუბიექტად; არის რა ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი საერთაშორისო არენაზე, სახელმწიფო წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივი დამოკიდებულებების ძირითად სუბიექტს.

2) **სამართალდამოკიდებულებათა ობიექტები.** სამართალდამოკიდებულების ობიექტი არის ის, რაზეც ზემოქმედებს სამართალდამოკიდებულება. იმისათვის, რათა გაირკვეს, თუ რაზე ზემოქმედებს სამართალდამოკიდებულება, საჭიროა თავიდან განისაზღვროს სამართლის ნორმების ობიექტი. როგორც წესი, სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მათი ზემოქმედების ობიექტს წარმოადგენს ადამიანთა ნებელობითი ქცევა. სამართალდამოკიდებულება კი აკონკრეტებს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ ზოგად უფლებებსა და ვალდებულებებს. ამდენად, სამართალდამოკიდებულების ობიექტს წარმოადგენს მისი მონაწილეების ფაქტიური ქცევა. სუბიექტური უფლებისა და იურიდიული ვალდებულების შინაარსის შესაბამისად სამართალდამოკიდებულებების მონაწილეები აკებენ თავიანთ ქცევას.

სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების ქცევას ყოველთვის გააჩნია საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ის ხორციელდება საზოგადოების, სახელმწიფოს, პიროვნების კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. სამართალდამოკიდებულებების დროს სუბიექტები აკმაყოფილებენ გარკვეულ მატერიალურ, სულიერ ან სხვა მოთხოვნილებებს (მაგალითად, იქნენ ნივთს, სარგებლობენ საავტორო უფლებებით).

სამართალდამოკიდებულებების ობიექტად გამოდის ადამიანთა ქცევა. ქონებრივ სამართალდამოკიდებულებებში ობიექტს წარმოადგენს ადამიანთა ისეთი ქცევა, რომელიც მიმართულია გარკვეული ცხოვრებისეული კეთილდღეობის დაკმაყოფილებაზე, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის სამართალდამოკიდებულების ობიექტი იქნება

მისი მონაწილეების ქცევა, რაც უკავშირდება ნივთის ყიდვას და გაყიდვას.

არაქონებრივ სამართალდამოკიდებულებებში ობიექტს წარმოადგენს მისი მონაწილეების ფაქტიური ქცევა. სამართლის ნორმებით გათვალისწინებული ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისას, სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეები ამით აკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს ანუ იურიდიული უფლებები და ვალდებულებები ზეგავლენას ახდენენ რა არაქონებრივი სამართალდამოკიდებულებების მონაწილეთა ქცევაზე აღწევენ სამართლებრივი რეგულირების მიზნებს. ასე მაგალითად, შრომითი სამართალდამოკიდებულებების ობიექტს წარმოადგენს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მოქმედებები მუშებისა და მოსამსახურეების სამსახურში აყვანის, მათი შრომის ანაზღაურების თაობაზე. სისხლის სამართლის საპროცესო დამოკიდებულებების ობიექტად გამოდის პროცესის მონაწილეთა მოქმედებები სისხლის სამართლის საქმეების წინასწარი და სასამართლო განხილვის თაობაზე, რომელთა მიზანიცაა სამართლიანი და კანონიერი განაჩენის გამოტანა. მრავალგვარი ფაქტიური მოქმედებების მეშვეობით კმაყოფილდება სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დამოკიდებულებების მონაწილეთა ინტერესები.

იურიდიული მეცნიერება სამართალდამოკიდებულებების ობიექტის საკითხს განიხილავს არაერთმნიშვნელოვნად. საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ობიექტის, როგორც მრავალგვარი მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობების ერთობლიობის განმარტება, რაც შედის სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების ინტერესთა სფეროში.

ასეთი მიდგომის დროს სამართალდამოკიდებულებების ობიექტი გადის სამართალდამოკიდებულების იურიდიული შინაარსი ფარგლებს გარეთ. ესაა გარე სამყაროს ის მოვლენები (საგნები), რომლებზეც მიმართულია სუბიექტური იურიდიული უფლებები და ვალდებულებები.

ივარაუდება, რომ მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობები წარმოადგენენ მიზანს, რომლის გამოც პირები შედიან სამართალდამოკიდებულებებში. არ შეიძლება სამართალდამოკ-

იდებულებას ობიექტური ვუწოდოთ თეატრში ოპერის მოსმენას რაც შესაძლებელი გახდა მოცემულ წარმოდგენაზე ბილეთი ყიდვა-გაყიდვის გარიგების დადების წყალობით. სამართალდამოკიდებულების მოქმედება აქ სრულდება ბილეთის შეძენის შემდეგ რაც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილებულ იქნეს ადამიანის გარკვეული სულიერი მოთხოვნილებები. თავად ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სცდება სამართალდამოკიდებულების ფარგლებს.

იურისპრუდენციის ამოცანა მდგომარეობს სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების მოქმედებების და არა ნივთებისა და კეთილდღეობის შესწავლაში, რომელთა გამოც ისინი შედიან სამართალდამოკიდებულებებში. იურისტიისთვის მნიშვნელოვანი დაადგინოს ამ მოქმედებების ხასიათი, მათი შესაბამისობა სუბიექტების იურიდიულ უფლებებთან და ვალდებულებებთან. თუ ასეთი შესაბამისობა სახეზეა, ამავდროულად მიიღწევა სამართალდამოკიდებულებების მონაწილეთა წინაშე მდგარი ამოცანებიც მატერიალური სამართლის საგნებს, ნივთებს სწავლობს ფილოსოფია, სოციოლოგია, ეკონომიკური მეცნიერება, საწარმოო პრაქტიკა სამართლის თეორია მხოლოდ ავლენს სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტების ინტერესების სფეროში მყოფი ნივთების იურიდიულ თვისებას.

**3) სუბიექტური უფლება.** სამართალდამოკიდებულებაა, როგორც ფაქტიური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმა შედგება სუბიექტების ურთიერთდაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებებისგან. სუბიექტური უფლება და იურიდიული ვალდებულებაა სამართალდამოკიდებულების სისტემური ელემენტები. რომლებიც კონკრეტულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ანიჭებენ განსაკუთრებულ თვისებას. სამართლებრივი რეგულირება მოიცავს სუბიექტებს საზოგადოებრივი საქმიანობის სპეციალურ სფეროს, რომლის უზრუნველყოფაც ხდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. სამართალდამოკიდებულების თითოეულ მონაწილეს თავისუფლების საზომი, მისი ინტერესების დაკმაყოფილების ხარისხი განისაზღვრება სამართლებრივი ნორმის მითითებებით. იურიდიული უფლებები და ვალდებულებები სამართალდამოკიდებულების

თანაბარი მნიშვნელობის მქონე ელემენტებია, მაგრამ მათი შინაარსი განსხვავებულია. მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების გარეშე წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი ასახვა ცივილიზებულ სამართლებრივ ფორმაში. ამ კონტექსტში კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ არაა უფლება ვალდებულებების გარეშე ისევე, როგორც ვალდებულებები უფლებების გარეშე.

სამოქალაქო სამართლებრივი საზოგადოება გულისხმობს, რომ საზოგადოების ზოგიერთი წევრის უფლებების დაკმაყოფილება ხდება სხვათა ვალდებულებების მეშვეობით, ამასთან უფლებები და ვალდებულებები გამოდიან თავისუფლების იმ საზომად, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სამართლიანობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთ შემთხვევაში პირს ან ორგანიზაციას ეკისრება უფლებები, მეორე შემთხვევაში კი - ვალდებულებები. ამით მიიღწევა საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონია, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ინდივიდების ინტერესთა ორმხრივ დაკმაყოფილებას.

სუბიექტური უფლებებისა და ვალდებულებების მოცულობა და საზღვრები ზოგადად განისაზღვრება სამართლის ნორმებით. სამართალდამოკიდებულებაში მათი კონკრეტიზაცია ხდება პერსონალურ სუბიექტებთან მიმართებაში. უფლებამოსილი და ვალდებული სუბიექტები თავიანთ ქცევას ახორციელებენ სამართლის მიერ მოხაზულ ფარგლებში. თითოეულ მათგანს გააჩნია ქცევის თავისუფლება აღნიშნულ ფარგლებში.

**რას წარმოადგენს სუბიექტური უფლება, როგორც სამართალდამოკიდებულებათა ელემენტი?**

სუბიექტური უფლება - სახელმწიფოს მიერ სუბიექტისთვის მიცემული და დაცული შესაძლებლობა (თავისუფლება) სურვილისამებრ დააკმაყოფილოს ის ინტერესები, რომლებიც გათვალისწინებულია ობიექტური უფლებით. სუბიექტის კუთვნილ უფლებას სუბიექტური უფლება ეწოდება იმიტომ, რომ მხოლოდ სუბიექტის ნებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განკარგავს ის მას. ესაა არა თვითნებური, არამედ სამართლებრივი შესაძლებლობა, რაც ადგენს ნებადართული ქცევის ზომას.

**სუბიექტური უფლება ვლინდება სამ ნაირსახეობაში:**  
**ჯერ ერთი,** სუბიექტური უფლების მფლობელის დადებით ქცევის შესაძლებლობაში საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, მაგალითად, მესაკუთრეს უფლება აქვს განკარგოს ისარგებლოს მისი კუთვნილი ნივთით. ამასთან, უფლებამოსილი პირის ქცევა არ უნდა სცდებოდეს სამართლის ჩარჩოებს. მესაკუთრეს არ შეუძლია გამოიყენოს ნივთი სხვა ინტერესების საზიანოდ. თუ პირი ბოროტად იყენებს თავის უფლებებს, მამართ გამოიყენება იურიდიული პასუხისმგებლობის ზომები.

**მეორეც,** სუბიექტური უფლება გამოიხატება უფლებამოსილი პირის შესაძლებლობაში მოითხოვოს გარკვეული ქცევა ვალდებული პირებისგან კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. მოთხოვნის უფლება ობიექტურად გამომდინარეობს სამართალდამოკიდებულების არსიდან, რამდენადაც რიგ შემთხვევებში შეუძლებელია დაკმაყოფილდეს უფლებამოსილი პირის ინტერესები უშუალოდ ანუ მათი სუბიექტური მოქმედებების მეშვეობით. დამკვეთის უფლება შეიძლება დაკმაყოფილდეს მენარდის ვალდებულების მეშვეობით შეასრულოს ხელშეკრულებაში შეთანხმებული საუშუალო ხარისხიანად და განსაზღვრულ დროში და ა.შ. მოთხოვნის უფლებაში ჩადებულია უფლებამოსილი პირის სუბიექტური უფლების ფაქტიური რეალიზაციის შესაძლებლობა;

**მესამეც,** სუბიექტური უფლება მოიცავს უფლებამოსილი პირის შესაძლებლობას მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს მისი დარღვეული უფლებების დაცვისთვის. საქმე ეხება სამართალდამოკიდებულების მონაწილის უფლების იძულებით რეალიზაციას. თუ ვალდებული პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, უფლებამოსილი პირი აქვს შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი ინტერესები და დახმარებისთვის მიმართოს სახელმწიფოს. ასე მაგალითად, თუ მოვალე არ უბრუნებს ნივთს მესაკუთრეს, ამ უკანასკნელს აქვს შესაძლებლობა მისგან ნივთის დაბრუნება მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით.

**4) იურიდიული ვალდებულება.** სუბიექტურ უფლებას ლოგიკურად შეესაბამება ვალდებულება, სადაც არის სუბიექტური

უფლება, იქ აუცილებლად არსებობს იურიდიული ვალდებულება ც. სუბიექტური უფლებისგან განსხვავებით სუბიექტის ვალდებულება მდგომარეობს — აუცილებლობაში, პირის ქცევა იყოს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესატყვისი. იურიდიულად ვალდებული პირი შეიძლება მოქმედებს არა ისე, როგორც მას საკუთარი ინტერესები კარნახობს, თუმცა ის უნდა შეესაბამებოდეს სამართლის ნორმების მითითებებს, რომლებიც ითვალისწინებენ და იცავენ სხვა პირთა ინტერესებს. **სამართალდამოკიდებულებაში უფლება და ვალდებულება** — ნორმალური ადამიანური ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი პირობაა. მათ ადექვატურ თანაფარდობაში, სხვადასხვა ინტერესების ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში გამოიხატება სამართლებრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეალური სახე.

**იურიდიული ვალდებულება** — კანონმდებლობით გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ დაცული აუცილებლობა სათანადოდ მოიქცეს სამართლებრივი დამოკიდებულების მონაწილე უფლებამოსილი სუბიექტის (ინდივიდის, ორგანიზაციის, მთლიანად სახელმწიფოს) ინტერესებში.

თუ სუბიექტური სამართლის შინაარსი განისაზღვრება ნებადართული ქცევის საზომით, **ვალდებულების შინაარსი** — აუცილებელი ქცევის საზომით სამართალდამოკიდებულებაში.

**იურიდიული ვალდებულების შინაარსი გამოიხატება ორ ნაირსახეობაში:**

**ჯერ ერთი**, აქტიური დადებითი მოქმედებების განხორციელების აუცილებლობაში სამართალდამოკიდებულებათა სხვა მონაწილეების სასარგებლოდ. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიხედვით გამყიდველმა მყიდველს საკუთრებაში უნდა გადასცეს ქონება, რომელზეც ამ უკანასკნელმა გადაიხადა გარკვეული თანხა. ამ შემთხვევაში იურიდიული ვალდებულება მიუთითებს აქტიურ ქმედებაზე, რომელიც მიმართულია სამართალდამოკიდებულების სხვა მონაწილის უფლების რეალიზაციაზე.

**მეორეც**, იურიდიული ვალდებულება გამოიხატება სამართლის ნორმებით აკრძალული მოქმედებებისგან თავის შეკავების აუცილებლობაში. ასე მაგალითად, ქონების გაქირავება, რომელიც

გამქირავებელს გადაცემული აქვს საყოფაცხოვრებო გაქირავების მიხედვით, დაუშვებელია. ასეთი იურიდიული ვალდებულებები ატარებს პასიურ ხასიათს, რამდენადაც სამართალდამოკიდებულების მონაწილისგან მოითხოვს კანონით აკრძალული მოქმედებებისგან თავის შეკავებას.

**ამდენად**, იურიდიული უფლებები და ვალდებულებები ესაა არა თავად სუბიექტების ქცევა, არამედ სამართლის ნორმით გათვალისწინებული გარკვეული ქცევის შესაძლებლობის ან აუცილებლობის შეთავაზება. სუბიექტური იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაცია ნიშნავს მათ ზეგავლენას სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების ფაქტიურ ქცევაზე, ნებადართული და სათანადო ქცევის ასახვას რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

### §3. იურიდიული ფაქტები

**იურიდიული ფაქტები** — ესაა კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებები, რომელთაც სამართლის ნორმები უკავშირებენ სამართალდამოკიდებულებების წარმოქმნას, შეცვლასა და შეწყვეტას. იურიდიული ფაქტები ყალიბდება სამართლებრივი ნორმების ჰიპოთეზებში. როგორც ვიცით, ჰიპოთეზა ადგენს იმ ცხოვრებისეულ გარემოებებისა და პირობებს, რომელთა არსებობის დროსაც სუბიექტებს გააჩნიათ კონკრეტული უფლებები და ვალდებულებები. იურიდიული ფაქტები წარმოქმნიან დამოკიდებულებებს სუბიექტებს შორის სამართლებრივი ჩორმის მითითებების საფუძველზე.

იურიდიულ ფაქტებს დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკისთვის. შესაბამისი იურიდიული ფაქტის არსებობასა და არარსებობაზე დამოკიდებული გარკვეული სუბიექტის უფლებებისა და ვალდებულებების აღიარება ან აუღიარებლობა. ამიტომაც, იურისტის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული ფაქტების ყოველმხრივ გამოკვლევასა და სწორ დადგენას. მაგალითად, დანაშაულის ჩადენა ესაა იურიდიული ფაქტი, რომელიც

წარმოქმნის სისხლის სამართლის დამოკიდებულებებს დანაშაულის ჩამდენ პირსა და კომპეტენტურ თანამდებობის პირს (გამომძიებელს, მოსამართლეს) შორის. გამომძიებელმა, მოსამართლემ უნდა დააზუსტოს დანაშაულის კონკრეტული პირის მიერ ჩადენის ფაქტი, რაც იქნება კიდევ საფუძველი სისხლისსამართლებრივი დამოკიდებულების წარმოქმნისთვის.

**იურიდიული ფაქტები იყოფა ორ ჯგუფად** — მოვლენებად და ქმედებებად — სუბიექტის ინდივიდუალურ ნებასთან მათი კავშირის მიხედვით.

**მოვლენები** — ადამიანთა ნების მიუხედავად მიმდინარე იურიდიული ფაქტები (ადამიანის დაბადება ან სიკვდილი, სტიქიური უბედურებები, სრულწლოვანების მიღწევა).

**ქმედებები** — ისეთი იურიდიული ფაქტები, რომელთა დადგომაც დამოკიდებულია ადამიანთა ნებასა და ცნობიერებაზე. კანონიერების თვალსაზრისით ყველა ქმედება იყოფა მართლზომიერად და არამართლზომიერად (სამართალდარღვევებად).

**მართლზომიერი ქმედებები** — ისეთი იურიდიული ფაქტები, რომელთაც მოსდევს იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოქმნა პირებში სამართლის ნორმების შესაბამისად. თავის მხრივ, სამართალზომიერი ქმედებები იყოფა იურიდიულ აქტებად და იურიდიულ ქცევებად.

**იურიდიული აქტები** — ისეთი მართლზომიერი ქმედებებია, რომელთა განხორციელებაც ხდება ადამიანებს შორის მათი გარკვეულ სამართალდამოკიდებულებებში შესვლის მიზნით; მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება; გამომძიებლის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ; სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის შესახებ. პირველ შემთხვევაში წარმოიქმნება ქონებრივი სამართალდამოკიდებულებები, მეორეში — სისხლის სამართლის, მესამეში — საპენსიო.

**იურიდიული ქცევები** — მართლზომიერი ქცევები, რომლებიც სპეციალურადაა მიმართული სამართალდამოკიდებულებების წარმოქმნაზე, შეცვლასა თუ შეწყვეტაზე, და ასევე მოსდევს შედეგები. მაგალითად, მოქალაქემ დაწერა წერილი გაზეთში რაიონ-

ნის ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის მიზნით. წერილი გამოქვეყნების შემდეგ მოქალაქეს ამ პუბლიკაციაზე გააჩნია საავტორო უფლება, თუმცა ის მიზნად არ ისახავდა ასეთ შედეგს წერილის დაწერისას.

**არამართლზომიერი ქმედებები** (სამართალდარღვევები) — ისეთი იურიდიული ფაქტებია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან (არ შეესაბამებიან) სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს. ყველ სამართალდარღვევა იყოფა დანაშაულებად და გადაცდომებად დანაშაული არის სისხლის სამართლის დარღვევა. გადაცდომა არის დისციპლინარული, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი.

ასეთია იურიდიული ფაქტების მოკლე დახასიათება, რაც წარმოადგენს სამართალდამოკიდებულებათა აუცილებელ წინაპირობას.

#### §4. სამართალდამოკიდებულებათა წინაპირობები

სამართალდამოკიდებულებათა თეორიის გადმოცემის დასრულებითვის საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სამართალდამოკიდებულებების წარმოქმნელი პირობები (ფაქტორები). ამისათვის უნდა განვაზოგადოთ ადრე განხილული დებულებები და გავაანალიზოთ ისინი სამართალდამოკიდებულების მოძრაობისა და რეალიზაციის თვალსაზრისით, უფრო ღრმად და ზუსტად ავხსნათ სამართალდამოკიდებულების შინაარსი, მისი სოციალურ-სამართლებრივი მიმართულება.

სამართალდამოკიდებულების წინაპირობებს წარმოადგენს სამართლის ნორმები, იურიდიული ფაქტები და უფლებასუბიექტურობა (უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა). მხოლოდ სამივე წინაპირობის არსებობის დროს შეიძლება წარმოიქმნას და იფუნქციონიროს სამართალდამოკიდებულებამ.

ენახოთ სამართალდამოკიდებულების წარმოქმნისა და მოძრაობის დინამიკა პირობით მაგალითზე. დავუშვათ, კონკრეტულმა პირმა გადაწყვიტა სახლის შექმნა სოფელში. შეუძლია მას საკუთარი სურვილის რეალიზება სამართლებრივი რეგულირების სფეროს გარეთ, სამოქალაქო სამართლის შესაბამისი ნორმის იგ-

ნორირებისას. იმისათვის, რომ ის გახდეს სახლის კანონიერი მფლობელი, საჭიროა სამი პირობა:

1) მყიდველი და გამყიდველი უნდა იყვნენ უფლება- და ქმედუნარიანები;

2) სამართლის ნორმა უშვებდეს მოცემული პირის მიერ სახლის შეძენის შესაძლებლობას;

3) მყიდველმა გამყიდველს უნდა გადაუხადოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, ხოლო ხელშეკრულება იყოს შესაბამისად გაფორმებული. აღნიშნული პირობების არსებობისას რეალურად წარმოიქმნება სამართალდამოკიდებულება და ის აღწევს მიზანს: მყიდველი საკუთრებაში იღებს სახლს, ხოლო გამყიდველი – გარკვეულ თანხას გაყიდული სახლის სანაცვლოდ. თუ ზემოთაღნიშნული პირობიდან ერთ-ერთი მაინც თუ არ არსებობს, მაშინ არ შეიძლება შედგეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამოკიდებულება.

**მოყვანილ მაგალითში სამართალდამოკიდებულების სუბიექტებს წარმოადგენენ მყიდველი და გამყიდველი.**

მოცემული სამართალდამოკიდებულების ობიექტია მისი მონაწილეების ქმედებები სახლის ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. თავად სახლი არ შეიძლება იყოს იურიდიული ზემოქმედების ობიექტი, რამდენადაც ესაა მატერიალური ობიექტი, რომელზეც ზემოქმედება შეიძლება მხოლოდ ფიზიკური სახით (მაგალითად, გადაკეთება). მოცემულ შემთხვევაში იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია მხარეთა მოქმედებებს მათი იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების მიხედვით. ამ მოქმედებების შედეგად ხდება სახლის ყიდვა-გაყიდვა. დავუშვათ, რომ აღნიშნული დამოკიდებულების ობიექტია სახლი. თუმცა ეს ობიექტია მხოლოდ მყიდველის – სამართალდამოკიდებულების ერთი მხრიდან. რა არის ობიექტი მეორე მხარისთვის? ფული, როგორც გაყიდული ნივთის ეკვივალენტი. აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ ერთ სამართალდამოკიდებულებას გააჩნია რამდენიმე ობიექტი, თუმცა ურთიერთდაკავშირებული მატერიალური ნიშნებით – ეს კი არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს.

გასაგებია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი

ფორმა და ფაქტიური შინაარსი უწყვეტ ერთიანობაშია. სამართლის ნორმები იქმნება კიდევ იმისთვის, რომ დაარეგულირონ, იურიდიული ფორმა მიაწოდონ ამ დამოკიდებულებებს. თუმცა, სამართალდამოკიდებულებას, როგორც სამართლებრივი ნორმების გამოვლენას ზემოქმედების ობიექტად გააჩნია კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული ადამიანების ქცევა, რისთვისაც ადამიანები სამართლებრივ კავშირს ახორციელებენ.

**სუბიექტურ უფლებას სახლის ყიდვა-გაყიდვის** დამოკიდებულებაში წარმოადგენს მყიდველისთვის სამართლის ნორმით მოცემული შესაძლებლობა შეინახოს სახლი, თუ ის ამ ნორმის მოქმედების სფეროშია.

**იურიდიული ვალდებულება** — გამყიდველის მიერ მყიდველისთვის სახლის გადაცემის აუცილებლობა, რაზეც მყიდველმა გადაიხადა გარკვეული თანხა კანონით დადგენილი წესით.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი და დაცული სამართალდამოკიდებულებების მონაწილეთა ფაქტიური ქცევის იურიდიული ფორმა რეალურ ცხოვრებაში წარმოადგენს მათი მრავალფეროვანი ინტერესებისა და კეთილდღეობის მიღწევის საშუალებას.

**სამხედრო კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე წარმოქმნილი სამართალდამოკიდებულებების თავისებურებები.** შეიარაღებული ძალების პირობებში ჩამოყალიბებული სამართალდამოკიდებულებებს გააჩნია იგივე ძირითადი ნიშნები, რაც კონკრეტულ სახელმწიფოს ყველა სამართალდამოკიდებულებას. სამართალდამოკიდებულებები შეიარაღებულ ძალებში ასევე გარანტირებული და დაცულია სახელმწიფოს მიერ დარღვევებისგან. თუმცა, შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარი ამოცანების განსაკუთრებული ხასიათი განაპირობებს მათი სამართალდამოკიდებულებების გარკვეულ თავისებურებებს.

როგორც ცნობილია, შეიარაღებული ძალების ცხოვრება და მოქმედება რეგულირებულია არა მხოლოდ ზოგადი, არამედ სამხედრო კანონმდებლობის ნორმებითაც. ეს გამოწვეულია იმით, რომ შეიარაღებულ ძალებში ადგილი აქვს სპეციფიკურ დამოკიდებულებებს, რომელთა რეგულირებაც ხდება სპეციალური სამართლებრივი

ნორმების მეშვეობით. როგორია სამართალდამოკიდებულებების თავისებურებები სამხედრო კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე.

**ჯერ ერთი,** ამ სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტებს წარმოადგენენ სამხედრო მოსამსახურეები, სამხედრო თანამდებობის პირები, სამხედრო ორგანიზაციები (ნაწილები, შენაერთები და ა.შ.).

**მეორეც,** მოცემული სამართალდამოკიდებულებების ობიექტს წარმოადგენს უშუალოდ შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან და მოქმედებასთან დაკავშირებული ქცევა, ქმედებები (მაგალითად, სამხედრო ვალდებულებების შესრულება თანამდებობის პირის მიერ).

**მესამეც,** სამხედრო კანონმდებლობის საფუძველზე წარმოქმნილ სამართალდამოკიდებულებებში ასახვას პოულობს სამხედრო ორგანიზაციის, სამხედრო სამსახურის სპეციფიკა, ომისა და შეიარაღებული ძალების კანონზომიერებები.

**სამხედრო კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბებული სამართალდამოკიდებულებები სხვადასხვა შინაარსის მქონეა.** რამდენადაც სამხედრო კანონმდებლობის ნორმები მოიცავს სამართლის სხვადასხვა დარგის: სახელმწიფო, ადმინისტრაციული, ფინანსური, სისხლის სამართლის ნორმებს. შესაბამისად მათ საფუძველზე წარმოქმნილი სამართალდამოკიდებულებები იქნება სახელმწიფო-სამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ფინანსურ-სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი.

სამართალდამოკიდებულებების მკაფიო ფუნქციონირება უზრუნველყოფს სამხედრო მართლწესრიგის სიმტკიცეს და დისციპლინის განმტკიცებას.

**საპარტაღამოკიდეზულეზე**

სამართალდამოკიდეზულეზე სამართლის ნორმების საფუძველზე წარმოქმნილი საზოგადოებრივი დამოკიდებულეზე, სადაც მხარეები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სახელმწიფოს მიერ გარანტირებულნი ორმხრივი უფლებებითა და ვალდებულეზებით

**საპარტაღამოკიდეზულეზეზის ჟინაპირი**

პირობები და გარემოებები, რომელთა არსებობის დროსაც ხდება მათი წარმოქმნა, ცვლილეზე, შეწყვეტა

სამართლის ნორმები

შეიცავს ტიპურ, ნორმატიულ სამართალდამოკიდეზულეზეთა მოდელებს

უფლებაუნარიანობა

კანონმდებლობაში დამტკიცებული სუბიექტის უნარი ჰქონდეს იურიდიული უფლებები და ვალდებულეზები

ქმედუნარიანობა

კანონმდებლობაში დამტკიცებული სუბიექტის უნარი პირადი ქმედებებით განახორციელოს იურიდიული უფლებები და ვალდებულეზები, უფლებაუნარიანობა.

იურიდიული ფაქტები

კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებები, რომლებიც წარმოადგენენ სამართალდამოკიდეზულეზების წარმოქმნის, ცვლილებისა და შეწყვეტის იურიდიულ საფუძველს.

# სამართალდამოკიდებულებაში სუბიექტები

ცალკეული ადამიანები ან ორგანიზაციები, რომელთაც სამართლის ნორმების შესაბამისად გააჩნიათ უნარი იყენონ სამართალდამოკიდებულების მონაწილეები

სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტების კლასიფიკაცია

## ინდივიდუალი

მოქალაქეები; პირები მოქალაქეობის გარეშე; უცხო სახელმწიფოების მოქალაქეები (უცხოელები)

## ორგანიზაციები

სახელმწიფო ორგანოები ან სახელმწიფო, როგორც მთელი; საზოგადოებრივი ორგანიზაციები; კერძო საწარმოები და ორგანიზაციები; სხვა ორგანიზაციები, რომელთაც კანონის მიხედვით გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი, უფლებაუნარიანობა.

**სამართლებრივი სტატუსი** — გარკვეული კატეგორიის ადამიანებისა და ორგანიზაციების (მოქალაქეების, უცხოელების, მოქალაქეობის არმქონე პირების, თანამდებობის პირების, იურიდიული პირების და ა.შ.) უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობა.

## იურიდიული პირი

## ორგანიზაცია


გააჩნია ცალკე ქონება;

აქვს უფლებაუნარიანობა საკუთარი სახელით შეიძინოს ქონებრივი უფლებები და აიღოს ვალდებულებები;

იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟში და სამედიატორო სასამართლოში; აქვს ანგარიში ბანკში, ბუჯედი; გამოდის ქონებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი დამოკიდებულებების სუბიექტების სახით;

გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი კანონის მიხედვით.

სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტების იურიდიული უფლებები და ვალდებულებები



# სამართალდამოკიდებულებათა ობიექტები

სამართალდამოკიდებულების ობიექტი

ის, რაზეც ზემოქმედებს სუბიექტთა იურიდიული უფლებებით და ვალდებულებები ანუ სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეს ნებელობითი ფაქტიური ქცევა მათი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების თაობაზე

**ქონებრივ სამართალდამოკიდებულებაში**

მხარეთა ქცევა, მოქმედებები მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების შესასრულებლად

**არაქონებრივ სამართალდამოკიდებულებაში**


მხარეთა ქცევა, ქმედებები უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე მმართველობითი, სასამართლო საქმიანობის სფეროში და ა.შ.

**სამართალდამოკიდებულების მიზანი**

მატერიალური, სულიერი, პოლიტიკური, სოციალური და სხვა კეთილდღეობები, რომელთაც ძალუძთ ადამიანებისა და ორგანიზაციების კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება.

თუმცა, უფლებებსა და ვალდებულებებს შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მხოლოდ ადამიანთა ნებელობით ქცევაზე, რომლის მეშვეობითაც ხდება აღნიშნული ინტერესების რეალიზება.

იურიდიული ფაქტები



## კითხვები ცოდნის განმტკიცებისთვის

1. რას წარმოადგენს სამართალდამოკიდებულება, როგორც საზოგადოებრივი დამოკიდებულების ფორმა? როგორია მისი სპეციფიკური ნიშნები?
2. რა წინაპირობების დროს წარმოიქმნება, იცვლება და წყდება სამართალდამოკიდებულებები?
3. სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტების სახეები. როგორია იურიდიული პირის, როგორც სამართალდამოკიდებულებების სუბიექტის თავისებურებები?
4. კერძო პირები და საწარმოები, როგორც სამართალდამოკიდებულებების სუბიექტები.
5. სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.
6. რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ქმედუნარიანობის შინაარსი და მოცულობა?
7. არის შეზღუდვები უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობაში უცხოელებისათვის პირებისთვის მოქალაქეობის გარეშე?
8. რაში გამოიხატება საჯარო და კერძო იურიდიული პირების განმასხვავებელი თავისებურებები?
9. გადმოეცით სუბიექტური უფლების, როგორც სამართალდამოკიდებულების ელემენტის შინაარსი.
10. დაახასიათეთ სამართალდამოკიდებულების სუბიექტის იურიდიული ვალდებულების ცნება.
11. როგორია იურიდიული უფლებების, თავისუფლებების და ვალდებულებათა ურთიერთკავშირი?
12. სამართალდამოკიდებულების ობიექტის ცნება. რაში გამოიხატება ქონებრივი და სხვა სამართალდამოკიდებულებების ობიექტის განსხვავება?
13. იურიდიული ფაქტების ცნება და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაში.
14. იურიდიული ფაქტების კლასიფიკაცია. რაშია იურიდიული აქტისა და იურიდიული ქცევის განსხვავება?
15. რაში გამოიხატება სამხედრო სამართალდამოკიდებულებების თავისებურებები. რა ობიექტური ფაქტორები განსაზღვრავენ მათ სპეციფიკას?

**თავი XVII. მართლზომიერი ქცევა,  
სამართალდარღვევები და იურიდიული  
პასუხისმგებლობა**

- §1. მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევები.  
§2. სამართალდარღვევების ცნება და სახეები.  
§3. იურიდიული პასუხისმგებლობა: ცნება, საფუძველი,  
ნაირსახეობები

§1. მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევები

მართლზომიერი ქცევა შეადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქეთა მოქმედებისა და ქცევების ძირითად, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს.

**მართლზომიერი ქცევა** – ადამიანთა ისეთი ქცევაა, რომელიც შესაბამეა სამართლებრივი ნორმების მითითებებს. მასში რეალიზებულია ადამიანთა ურთიერთობების თავისუფლება, პიროვნების მრავალგვარი ინტერესების დაკმაყოფილება. მოქალაქეების, თანამდებობის პირების, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო ორგანიზაციების მოქმედებები მართლზომიერი იქნება მაშინ, როცა ისინი შესაბამისობაში იქნებიან ნორმებში დადგენილ სუბიექტურ უფლებებთან და ვალდებულებებთან.

**მართლზომიერი ქცევა წარმოადგენს საზოგადოებისთვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას.** ითვლება სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების ობიექტურ წინაპირობად, ხელს უწყობს მის კეთილდღეობასა და განვითარებას. ქცევა სამართლებრივი მითითებების შესაბამისად უზრუნველყოფს რა მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისუფლებას, არამედ მის ორგანიზებულობასაც.

სამართლებრივი ქცევის საფუძველში დევს ადამიანების მიერ სამართლებრივი საფუძველების სარგებლიანობისა და სამართლიანობის გაგება, მათი პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარ ქცევებზე, რაც ეფუძნება პიროვნების სოციალურ სიმწიფესა და იურიდიულ ცოდნას.

სამართლებრივი სახელმწიფო მიისწრაფვის იმისკენ, რომ გაა-

ფართოვოს და დაარეგულიროს მართლზომიერი საზოგადოებრივი დამოკიდებულებების წრე სამართლებრივი რეგულირების ხარისხის ამაღლების მეშვეობით.

მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევები ანტიპოღობია, პირველი ხორციელდება სამართლებრივი ნორმების მითითებების ჩარჩოებში, ხოლო მეორე ყოველთვის წარმოადგენს იურიდიული ნორმების მოთხოვნათა დამრღვევ ქცევას.

სამართალდარღვევების მიზეზები ჩადებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ანომალიასა და თავად ადამიანის არასრულყოფაში. სამართალდარღვევების წარმომქმნელ მიზეზებს შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ზნეობრივი მიზეზები (მათ სწავლობს სპეციალური იურიდიული მეცნიერება, კრიმინოლოგია). საზოგადოებაში არამართლზომიერი ქცევის დონეზე და დამნაშავეობის მდგომარეობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს სამართალდარღვევის ფსიქოფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებები.

ადამიანის სრულყოფის, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების, ადამიანთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესების, მათი სოციალური დაცულობის გაძლიერების, პოლიტიკური სიმწიფის გაღრმავების ძალით ვიწროვდება არამართლზომიერი ქცევის მოცულობა, იქმნება აუცილებელი პირობები საზოგადოებაში სამართალდარღვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი დონის შესამცირებლად.

## §2. სამართალდარღვევათა ცნება და სახეები

განვითარების ობიექტური კანონები განსაზღვრავენ საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ყველაზე მიზანშეწონილ წყობას. ისინი მიუთითებენ, როგორ მოქმედებენ ადამიანები გარკვეულ ობიექტურ პირობებში.

**იურიდიული კანონები** — ნორმები, რომელთაც გამოსცემს საკანონმდებლო ხელისუფლება და რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ადამიანებმა შემეცნებული ობიექტური კანონების შესაბამისად, თუმცა ადამიანებს შეუძლიათ სხ-

ვაგვარად მოქცევაც. ობიექტური კანონებისთვის უცნობია გამოჩაქ-  
ლისები. სუბიექტური საქმიანობის შედეგად მიღებული კანონები  
უშვებენ მათი დადგენილებების დარღვევასაც. კანონმდებელი გამოდის  
რა პრაქტიკული გამოცდილებიდან შეგნებულად უშვებს ასეთი  
დარღვევის შესაძლებლობას. ამ გაგებით, ობიექტური უფლება ასახ-  
ავს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ კანონზომიერებებს.  
რაც შეეხება პირებს, რომლებიც არ აღიარებენ საყოველთაოდ  
აღიარებულ და სახელმწიფოს მიერ დაცულ ქცევის წესებს, ობიექ-  
ტური უფლება არ ითვალისწინებს, ამგვარი, პირების მოთხოვ-  
ნილებებს.

სამართლის ნორმების დარღვევათა შესაძლებლობა ჩადებუ-  
ლია თავად ადამიანის ცხოვრების არსში, ამიტომ სახელმწიფო  
იძულების ძალით უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმების  
დაცვას და რეალიზაციას. სახელმწიფოს არსენალში არის ნორმები,  
რომლებიც ითვალისწინებენ იურიდიულ პასუხისმგებლობას იმ  
პირთა მიმართ, რომელთა ქცევაც არ შეესატყვისება მის სავალდე-  
ბულო მითითებებს.

რა არის სამართალდარღვევა?

**სამართალდარღვევა** — უფლება-ქმედუნარიანი ინდივიდის  
დანაშაულებრივი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლის  
ნორმების მითითებებს, ზიანს აყენებს სხვა პირებს და იწვევს  
იურიდიულ პასუხისმგებლობას.

სამართალდარღვევას ახასიათებს მკაცრად განსაზღვრული  
ნიშნები, რაც განასხვავებს მას ქცევის არასამართლებრივი წესე-  
ბის დარღვევებისგან.

**1. სამართალდარღვევა** — ადამიანის ისეთი ქცევაა, რომელ-  
იც გამოიხატება მოქმედებაში ან უმოქმედობაში. სამართალდარ-  
ღვევა არ შეიძლება იყოს აზრები, გრძნობები, რამდენადაც მათ არ  
არეგულირებს სამართალი, სანამ არ მოხდება მათი გამოჩატვა  
ადამიანის ქცევის გარკვეულ აქტში. უმოქმედობა სამართალდარ-  
ღვევას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს უნდა განეხ-  
ორციელებინა სამართლის ნორმით გათვალისწინებული გარკვეული  
ქმედებები და მან ეს არ გააკეთა.

**2. სამართალდარღვევა** — ადამიანის ისეთი ქცევაა, რომელ-  
იც ეწინააღმდეგება სამართლის ნორმების მითითებებს. სამართ-

ლის შესატყვისი ქმედება არ შეიძლება იყოს სამართალდარღვევა. რას ხელყოფს სამართალდარღვევა? უპირველეს ყოვლისა, კანონის დაცვის ქვეშ მყოფი სხვა პირების ინტერესებს (საკუთრების, სიტყვის თავისუფლების ინტერესებს). თუმცა, ადამიანის ყველა ინტერესი როდია დაცული კანონით, ამიტომ მათი დარღვევა ყოველთვის როდია მართლსაწინააღმდეგო და მაშასადამე, სამართალდარღვევა. სამართალდარღვევის არსი მდგომარეობს სწორედ სახელმწიფოსგან მომავალი სამართლის ნორმების საწინააღმდეგო ქცევაში. თუნდაც, მისი ყველა მითითება არ იყოს გარკვეული საზოგადოებრივი ან კერძო ინტერესების შესაბამისი. წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობა იქნებოდა ორგანიზებული, ცივილიზებული საზოგადოების არსებობა. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი სახელმწიფოს კანონები უშვებენ და უზრუნველყოფენ აუცილებელი თავდაცვის, უკიდურესი აუცილებლობის ინსტიტუტებს და ა.შ.

**3. სამართალდარღვევა არის მხოლოდ სამართლის სუბიექტების დანაშაულებრივი ქცევა.** მართლსაწინააღმდეგო ქცევა წარმოადგენს სამართალდარღვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ქმედებასა თუ უმოქმედობაში არის დანაშაული (ბრალი). დანაშაული ესაა სამართალდარღვევის ფსიქიკური დამოკიდებულება თავის მართლსაწინააღმდეგო ქცევასთან. გამოირჩევა დანაშაულის ორი ფორმა: განზრახვა და გაუფრთხილებლობა.

**განზრახვას** (განზრახ დანაშაული) ადგილი აქვს მაშინ, როცა სამართალდამრღვევს სურს და ჭვრეტს საკუთარი ქცევის მავნე შედეგებს (მაგალითად, არღვევს მოვალეს ვალდებულებებს, იპარავს პირად ქონებას).

**გაუფრთხილებლობა**, როგორც დანაშაულის ფორმა ორი სახისაა:

– **თავდაჯერებულობა**, როცა პირი განჭვრეტს საკუთარი ქცევის საზოგადოებისთვის მავნე შედეგებს, მაგრამ დაუფიქრებლად იმედოვნებს მათი თავიდან აცილების შესაძლებლობას;

– **გულგრილობა**, როცა პირი არ ჭვრეტს საკუთარი ქცევის საზოგადოებისთვის საშიშ შედეგებს, მაგრამ მას შეუძლია და უნდა აიცილოს ისინი თავიდან.

**მაგალითად**, თუ მძლოლი შეგნებულად გადის რეისზე ტექნიკურად გაუმართავი მანქანით, **იმელოვნებს** რა, რომ არ მოხდება ავტოსაგზაო შემთხვევა, მაგრამ ის მაინც ხდება, სახეზეა დანაშაული თავდაჯერებულობის ფორმით.

მძლოლის ქცევაში **გულგრილობის** სახის დანაშაული იქნება მაშინ, როცა ის რეისის წინ არ შეამოწმებდა მანქანის ტექნიკურ მდგომარეობას, მანქანა კი აღმოჩნდა გაუმართავი და ამის შედეგად მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა.

**ამდენად**, მართლსაწინააღმდეგო ქცევა წარმოადგენს სამართალდარღვევას იმ შემთხვევაში, თუ ის განხორციელდა პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს საკუთარ ქმედებებს და მის მიერ ამ ქცევაში გამოვლენილია ნება. ამასთან დაკავშირებით, სამართალდარღვევათა სუბიექტებს არ წარმოადგენენ მცირეწლოვანები და სულით ავადმყოფი ადამიანები, თუმცა მათ შეიძლება ჩაიდინონ სამართლს ნორმების საწინააღმდეგო ქმედებები.

4. სამართალდარღვევა წარმოადგენს ქცევას, რომელიც ზიანს აყენებს ქონებას, სახელმწიფოს, მოქალაქეებს. სამართალდარღვევები ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ისინი ზიანს აყენებენ მოქალაქეების პოლიტიკურ, შრომის, ქონებრივ, პირად უფლებებსა და თავისუფლებებს, ორგანიზაციების ეკონომიკურ ინტერესებს, სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობას. რამდენადაც, სამართალდარღვევები მავნებელია საზოგადოებისთვის, ის აკრძალულია სახელმწიფოს მიერ.

5. სამართალდარღვევას მოსდევს სახელმწიფო ზემოქმედების ზომების გამოყენება სამართალდარღვევის მიმართ.

**სამართალდარღვევათა სახეები**. ყველა სამართალდარღვევა საშიშროების მიხედვით იყოფა გადაცდომებად და დანაშაულებად

**გადაცდომა** — ისეთი სამართალდარღვევა, რომელიც ხასიათდება საზოგადოებრივი საშიშროების ნაკლები ხარისხით დანაშაულთან შედარებით და ხელყოფს საზოგადოებაში არსებული სამართლებრივი წესის ცალკეულ მხარეებს. მას განეკუთვნება დისციპლინარული, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალდარღვევები.

**დისციპლინარული გადაცდომები** — სამართალდარღვევები სამსახურებრივი ურთიერთობების სფეროში, რომელიც ხელყოფს

ადამიანებს — მუშების, მოსამსახურეების, მოსწავლეების, სამხედრო მოსამსახურეების და ა.შ. გარკვეული კოლექტივების საქმიანობის სვალდებულო წესს — ასუსტებს შრომის, სამსახურებრივ, სამხედრო ან სასწავლო დისციპლინას.

**ადმინისტრაციული გადაცდომები** — სამართალდარღვევები, რომელიც ხელყოფს კანონით დადგენილ საზოგადოებრივ წესრიგს. სახელმწიფო ორგანოების აღმასრულებელ და განკარგულებითი საქმიანობის სფეროში არსებულ ურთიერთობებს და არ უკავშირდება სამსახურებრივი ვალდებულებების განხორციელებას. მაგალითად, ადმინისტრაციული გადაცდომაა სანიტარული ჰიგიენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დარღვევა და ა.შ.

**სამოქალაქო გადაცდომები** — სამართალდარღვევები ქონებრივი და ისეთი არაქონებრივი დამოკიდებულებების სფეროში, რაც ადამიანისთვის წარმოადგენს სულიერ ფასეულობას. სამოქალაქო სამართალდარღვევა გამოიხატება მოქალაქის ღირსებისა და პატიოსნების შემლახავი ცნობების გავრცელებაში და ა.შ.

**სამართალდარღვევათა ყველაზე საშიშ სახეს წარმოადგენს დანაშაულები.** ის გადაცდომისგან განსხვავდება საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხით, რაც მძიმე ზიანს აყენებს პიროვნებას, სახელმწიფოს, საზოგადოებას. დანაშაული ხელყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს, მოქალაქეთა საკუთრებას, პიროვნებასა და უფლებებს, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობას, ყოველივეს კი მოსდევს სისხლისსამართლებრივი დასჯა.

**სამართლის ზოგადი თეორიის შესაბამისად სამართალდარღვევის სტრუქტურა შედგება ობიექტისგან, სუბიექტისგან, ობიექტური და სუბიექტური მხარეებისგან.**

1. **სამართალდარღვევის ობიექტს** წარმოადგენენ საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც არეგულირებს და იცავს სამართლის ნორმები.

2. **სამართალდარღვევის სუბიექტი** შეიძლება იყვნენ ინდივიდუალური პირები და ორგანიზაციები, რომელთაც გააჩნიათ უფლება-ქმედუნარიანობა (დელიქტუნარიანობა).

4. **სამართალდარღვევის შემადგენლობის ობიექტური მხარე**

მოიცავს სუბიექტის ქცევის საზოგადოებრივ საშიშროებასა და მართლსაწინააღმდეგობას.

4. **სამართალდარღვევის შემადგენლობის სუბიექტური მხარე გულისხმობს** პასუხისმგებლობას მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე სამართალდარღვევის დანაშაულის არსებობისას. დანაშაული (ბრალი), როგორც სამართალდარღვევის აუცილებელი სუბიექტური ნიშანი უნდა იყოს ყველა სამართალდარღვევაში, იმის მიუხედავად, ჩადენილია ის ფიზიკური, იურიდიული პირის ან სამართლის სხვა სუბიექტის მიერ.

### §3. იურიდიული პასუხისმგებლობა: ცნება, საფუძველი, ნაირსახეობები

**იურიდიული პასუხისმგებლობა** – პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მნიშვნელობა საზომი. ის დგება სამართლებრივი ნორმების მითითებების დარღვევის შედეგად და ვლინდება სახელმწიფო იძულების ზომების სამართალდარღვევის მიმართ გამოყენების ფორმით. იურიდიული პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია ის, რომ მას განსაზღვრავს სახელმწიფო და კომპეტენტური ორგანოები კი იყენებენ.

**სამართალდარღვევისათვის იურიდიული პასუხისმგებლობა ნიშნავს მის მიმართ სამართლებრივი ნორმების სანქციების გამოყენებას.** იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს სამართალდარღვევა. თუ სუბიექტის ქცევა არ ექცევა სამართალდარღვევის ნიშნის ქვეშ, მოცემულ პირი არ ექვემდებარება იურიდიულ პასუხისმგებლობას.

**იურიდიული პასუხისმგებლობა თავისთავად რთული სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა.** მასში ჩართულია მინიმუმ ორი მხარე: სახელმწიფო და სამართალდამრღვევი. მათ შორის ყალიბდება სამართალდარღვევითი დამოკიდებულება, რომელშიც სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების სახით გამოდის, როგორც უფლებამოსილი მხარე, ხოლო სამართალდამრღვევი – როგორც ვალდებული მხარე. ამასთან, ორივე მხარე მოქმედებს კანონის

ჩარჩოებში და იურიდიული პასუხისმგებლობის რეალიზაცია ხორციელდება სამართლის, კონკრეტული სამართლებრივი ნორმების სანქციების საფუძველზე.

**იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები.** ჩადენილი სამართალდარღვევის სახის მიხედვით გამოიყოფა დისციპლინარული, ადმინისტრაციული, მატერიალური, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. თითოეული სახის იურიდიულ პასუხისმგებლობას ახასიათებს სასჯელის სპეციფიური ზომები და მათი გამოყენების განსაკუთრებული წესი.

**დისციპლინარული პასუხისმგებლობა მდგომარეობს დამნაშავე პირზე** ხელმძღვანელის მიერ დისციპლინარული სასჯელის დაწესებაში. ძირითადი დისციპლინარული ზომებია საყვედური, შენიშვნა, სამსახურიდან განთავისუფლება; შეიარაღებული ძალების პირობებში – სამხედრო წოდებაში ჩამოქვეითება და ა.შ.

**ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** გამოიხატება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ დამნაშავე პირების მიმართ ადმინისტრაციული ზემოქმედების გამოყენებაში (მაგალითად, გაფრთხილება, ჯარიმა, ადმინისტრაციული დაპატიმრება).

**არამართლზომიერი ქცევის შედეგად** მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეადგენს მატერიალური პასუხისმგებლობის შინაარსს.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევიდან. მისი დადგომის შედეგია ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლის სანქციებით გათვალისწინებული ფორმებით.

სახელმწიფო ზემოქმედების ყველაზე მკაცრ ზომებს წარმოადგენს **სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები**, რომელიც გამოიყენება სასამართლო წესით დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირის მიმართ.

თანამედროვე საზოგადოებაში იურიდიული პასუხისმგებლობა გათვლილია მართლწესრიგის დაცვაზე, მოქალაქეების აღზრდაზე კანონების კეთილსინდისიერი დაცვის სულისკვეთებით. არსებით მეთოდს ამ მხრივ წარმოადგენს დარწმუნება, რომელიც ეფუძნება


მოქალაქეების სოციალურ დაცულობას, მათი ძირითადი უფლებებისა და ვალდებულებების უზრუნველყოფას.

სამხედრო მოსამსახურეების მიმართ გამოყენებული იურიდიული პასუხისმგებლობა ხორციელდება ზოგად საფუძვლებსა და პრინციპებზე. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მას ახასიათებს ძლიერი სიმკაცრე და სანქციების მეტი მრავალფეროვნება. ეს განპირობებულია შეიარაღებული ძალების საქმიანობის სპეციფიკით, მათ მიერ გადასაწყვეტი ამოცანების სირთულითა და პასუხისმგებლობით.

**იურიდიული პასუხისმგებლობა** არის სამხედრო მართლწესრიგის დაცვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი საშუალება, მისი სტაბილურობისა და ეფექტურობის ერთ-ერთი გარანტია.



## მართლზომიერი ქცევა

მართლზომიერი ქცევა – საზოგადოებისთვის სასარგებლო ქცევა, რომელიც შეესაბამება სამართლებრივ მითითებებს, გარანტირებული და დაცულია სახელმწიფოს მიერ.





## სამართალდარღვევების ცნება და სახეები


სამართალდარღვევა –  
შერაცხადი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც  
ზიანს აყენებს სხვა პირებს და საზოგადოებას და რომელსაც  
მოსდევს იურიდიული პასუხისმგებლობა



იურიდიული პასუხისმგებლობა, სამართალდარღვევათა  
 სახეებისა და იურიდიული პასუხისმგებლობის  
 სახეების თანაფარდობა



იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები



## პითხვები ცოლნის განმტკიცებისთვის

1. როგორია მართლზომიერი ქცევის მნიშვნელობა საზოგადოების სახელმწიფოს, პიროვნების ჰარმონიული განვითარებისთვის?
2. რატომ წარმოადგენს მართლზომიერი ქცევა საზოგადოებისთვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას?
3. სამართალდარღვევა, როგორც მართლზომიერი ქცევის ანტიპოდი.
4. რატომ არ ცნობენ ობიექტური კანონები გამონაკლისებს, იურიდიული კანონები კი უშვებენ მათი მითითებების დარღვევას?
5. განსაზღვრეთ სამართალდარღვევა და დაასახელეთ მისი სპეციფიკური ნიშნები.
6. რატომ არ შეიძლება იყოს სამართალდარღვევა ადამიანის გრძნობები, აზრები?
7. ყოველთვის არის სამართლის ნორმების საწინააღმდეგო ქცევა სამართალდარღვევა?
8. რატომ აღიარებენ სამართალდარღვევად მხოლოდ დანაშაულებრივ მართლსაწინააღმდეგო ქცევას?
9. დაახასიათეთ დანაშაულებრივი ქცევის ძირითადი ფორმები.
10. რა ფაქტორები ღვეს სამართალდარღვევათა კლასიფიკაციის საფუძველში.
11. მოკლედ დაახასიათეთ გადაცდომები, რით განსხვავდება ის დანაშაულისგან?
12. იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება და მისი ძირითადი ნიშნები. იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველი.
13. იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები სამართალდარღვევების სახეებთან თანაფარდობაში.
14. სამხედრო მოსამსახურეთა იურიდიული პასუხისმგებლობის თავისებურებები.

**თავი XVIII. საზოგადოებრივი ურთიერთობების  
სამართლებრივი რეგულირების მმქანიში.  
კანონიერება და მართლწმსრივი თანაჟედროვი  
საზოგადოებაში**

§1. სამართლებრივი რეგულირების მმქანიშიის ცნება  
და მისი ელემენტები. §2. კანონიერება, როგორც  
საზოგადოებრივი ცხოვრების ეღგომარეოვა  
სამართლებრივ სახელმწიფოში. §3. მართლწმსრივი,  
როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მიჯანი და  
შედები. §4. კანონიერება და თავისუფლება,  
მართლწმსრივი და დემოკრატია.

§1. სამართლებრივი რეგულირების მმქანიშიის  
ცნება და მისი ელემენტები

სამართლებრივი რეგულირება წარმოდგენს რთულ და მრავალ-  
ფეროვან პროცესს, რომელიც ზორციელდება საზოგადოებრივ  
ურთიერთობებზე იურიდიული ზემოქმედების გარკვეული საშუ-  
ალებების მეშვეობით.

იურიდიული მეცნიერება განასხვავებს სამართლებრივი  
ზემოქმედების და სამართლებრივი რეგულირების ცნებას.  
ამაში გარკვეული აზრია, რამდენადაც სამართალი უკვე თავისი  
არსებობით ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ადამიანთა ქცევაზე.  
სამართალი, როგორც კულტურული და ინფორმაციული ფასეუ-  
ლობა განსაზღვრავს ადამიანის საქმიანობის მიმართულებას, მო-  
კყავს ის ცივილიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩარ-  
ჩობებში. სწორედ, ამიტომ, სამართლებრივი ზემოქმედება უფრო  
ერცელია, ვიდრე საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი  
რეგულირება.

ამასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლებრივი  
ზემოქმედების მკაცრად განსაზღვრული საშუალებები წარმოქმ-  
ნიან მთლიან, სისტემურ, იურიდიულ მექანიზმს, რომელიც უზრუნ-  
ველყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობის რეგ-  
ულირებას.

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი — სამართლებრივი საშუალებების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.

სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები.

1. სამართლის ნორმები ადგენენ საზოგადოებრივი ურთიერთობების იმ მონაწილეთა ქცევის ზოგად და იურიდიულად სავალდებულო წესებს, რომლებიც იმყოფებიან სამართლებრივი რეგულირების სფეროში. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ნორმის ფუძემდებლური მარეგულირებელი ზემოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ ის განსაზღვრავს სუბიექტების წრეს, რომელზეც ვრცელდება მისი მოქმედება; აყალიბებს გარემოებებს, რომელთა დროს მოცემული სუბიექტები ხელმძღვანელობენ მისი მითითებებით; ხსნის თავად ქცევის წესის შინაარსს; ადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის ზომებს აღნიშნული წესების დარღვევაზე. სამართლის ნორმა სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის თავდაპირველი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს მის საფუძველს, რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში დაპროგრამებული სამართლებრივი ქცევის მიმართულებებს.

იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში სამართლებრივ ნორმებს სამართლიანად უწოდებენ სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ნორმატიულ საფუძველს, რამდენადაც მათში კონსტრუირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქეების მოთხოვნილებებისა და ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობის მოდელი.

2. სამართალდამოკიდებულება — სამართლის რეალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ელემენტი. მასში ზოგადი, გაუპიროვნებელი უფლებები და ვალდებულებები იქცევიან ინდივიდუალური სუბიექტების (პირების ან ორგანიზაციების) კონკრეტულ და ურთიერთდაკავშირებულ უფლებებად და ვალდებულებებად, რომელთა შესაბამისადაც მათ უნდა ააგონ თავიანთი ქცევა.

სამართალდამოკიდებულება ადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შესაძლო და სათანადო ქცევის პერ-

სონალურ ზომას. კონკრეტულ სამართლებრივი გავლენის სფეროში მოხვედრისას შესაძლებელია მოქმედებათა თავისუფლების რეალიზაცია გათვალისწინებულ საზღვრებში. სამართლებრივ ნორმაში არსებული ზოგადი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლა სამართალდამოკიდებულებაში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს აძლევს საშუალებას დაასრულოს თავისი რეგულატიური ფუნქცია ანუ რეალურად ასახოს სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტების უფლებები და ვალდებულებები ფაქტიურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

**3. იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციის აქტები** – სამართალდამოკიდებულებათა სუბიექტების ფაქტიური ქცევა მათი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელების თაობაზე. ამ აქტების მეშვეობით მიიღწევა სამართლებრივი რეგულირების მიზნები, ხდება უფლებამოსილი და ვალდებული პირების კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება.

როგორც აღინიშნა, უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ძირითად ფორმებს წარმოადგენს სამართლის ნორმებით დაშვებული შესაძლებლობების გამოყენება. თუ სამართლის სუბიექტები ვერ ახორციელებენ დამოუკიდებლად მათი უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციას, სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების სახით ეწევა სამართალგამოყენებით საქმიანობას, რამაც უნდა უზრუნველყოს მათი სრული რეალიზაცია (კრებს გადასახადებს, ნიშნავს პენსიას, ახორციელებს მართლმსაჯულებას).

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის სიცხადე და ეფექტურობა დამოკიდებულია სამართლის ნორმების სწორ განმარტებასა და სამართლებრივი რეგულირების სუბიექტების სამართალცნობიერების დონეზეც. რაც უფრო ღრმად ხდება სამართლებრივი ნორმის ნამდვილი აზრის გაგება, რაც უფრო მაღალია საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა სამართალცნობიერების დონე, მით უფრო საიმედოდ მოქმედებს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი.

სამართლებრივი რეგულირების მთავარ მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთი წესრიგის დამყარება, რომელიც იქნება სამართლებრივი ნორმების მითითებების, მათში ჩადებული სოციალური სამართლიანობის პრინციპების შესაბამისი.

§2. კანონიერება, როგორც სამართლებრივ  
სახელმწიფოში საზოგადოებრივი ცხოვრების  
მდგომარეობა

კანონიერება — ცივილიზებული საზოგადოების ნორმალური ცხოველქმედების, მისი პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის საფუძველი. კანონიერებას ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებში (კერძო და საჯარო) შეაქვს შესაბამისი ჰარმონია, უზრუნველყოფს ადამიანთა ინტერესების სამართლიან დიფერენციაციას.

როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მყარი მოვლენა ჩნდება და ყალიბდება ცივილიზებული საზოგადოების პირობებში, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კანონის წინაშე მოქალაქეების რეალური თანასწორობა. ასეთი პირობები უმუტესად იქმნება საბაზრო ეკონომიკური დამოკიდებულებებით, რომელთა დროსაც კერძო საკუთრების უფლება თანაბარია ყველასთვის. მატერიალური კეთილდღეობის წარმოების სფეროში თანასწორობის უზრუნველყოფა სამართლებრივი სახელმწიფოს კანონის ძირითადი ამოცანაა. ქონებრივი უთანასწორობა იქმნება არა იურიდიული კანონებით, არამედ თითოეული ადამიანის ბუნებრივი შესაძლებლობებით. ამიტომ, მანამ, სანამ საზოგადოებაში არსებობს ადამიანთა უთანასწორობა მატერიალური და სულიერი ფასეულობების წარმოების სფეროში, არ შეიძლება ვისაუბროთ მათ თანასწორობაზე კანონის წინაშე და მაშასადამე, კანონიერებაზე.

სახელმწიფოს მიერ გამოცემული კანონების დაცვის მოთხოვნა უძველეს დროში ჩამოყალიბდა. ჯერ კიდევ რომაელი იურისტები საუბრობდნენ კანონების დაცვის უპირობო აუცილებლობაზე (კანონი მკაცრია, მაგრამ ეს კანონია — *dura lex, sed lex*). რომის სამართლის სისტემა წარმოადგენდა კანონიერების იურიდიულ ბაზას ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების სფეროში, რომელიც შემდგომ რეცეპტირებულ იქნა უფრო ცივილიზებულ ფორმებში, თანდათან ივსებოდა კანონის წინაშე საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მონაწილეს თანასწორობით. ფორმალურად, შეიძლება ვისაუბროთ კანონიერების შესახებ ფეოდალურ საზოგადოებაში. ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოების წარ-

მოქმნის პერიოდში ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების სწრაფვა, უზრუნველყო მის მიერ გამოცემული კანონების მკაცრი შესრულება იყო ბუნებრივი.

კანონიერება, როგორც საზოგადოების ჰარმონიული ფუნქციონირების აუცილებელი პირობა რეალური ძალა ხდება უფრო მოგვიანებით, როცა საზოგადოებრივი ურთიერთობები იძენენ ახალ თვისებას ანუ როცა დამოკიდებულების, დათრგუნვისა და ჩაგვრის ურთიერთობებიდან, ისინი იქცევიან მატერიალური კეთილდღეობების შედარებით დამოუკიდებელი და თავისუფალი მწარმოებლების ურთიერთობად. ამით იქმნება აუცილებელი ბაზა სამართლიანი, სამართლებრივი კანონების მოქმედებისთვის, რითაც ერთნაირადაა დაცული საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები.

მტკიცე კანონიერების რეჟიმში, ფუნქციონირებად საზოგადოებაში რეალურად არსებობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მკაფიო გამიჯვნა და ჰარმონიული ურთიერთქმედება. მაგალითად, რუსო კანონიერების მთავარ ამოცანას ხელდავდა იმაში, რომ უზრუნველყო ყველა მოქალაქის ბედნიერება და კეთილდღეობა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა და თავისუფლება. რუსოსა და მრავალი მოაზროვნეს მიერ გამოთქმული ეს სოგადი იდეები აისახა თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში.

**რა არის კანონიერება?**

კანონიერება არის სამართლებრივი კანონების მითითებების და მათზე დაფუძნებული იურიდიული აქტების მკაცრი და სრული განხორციელება სამართლის ყველა სუბიექტის მიერ.

კანონიერებას ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

ჯერ ერთი, კანონიერების უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს მისი საყოველთაობა. იურიდიული ნორმების დაცვის მოთხოვნა ეხება ყველას, ვინც იმყოფება სამართლის მოქმედებების ჩარჩოებში. არავის არ შეუძლია თავი აარიდოს სახელმწიფოსგან მომდინარე დადგენილებების შესრულებას ზუსტად ისევე, როგორც სახელმწიფოს არ შეუძლია თავი აარიდოს პიროვნების კანონიერი უფლებების უზრუნველყოფასა და დაცვას. სამართლებრივი რეგულირების პრიორიტეტულ სუბიექტს წარმოადგენს მოქალაქე. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ყველაზე ხელ-

საყრელი რეჟიმი საკუთარი მოქალაქეების მრავალფეროვანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

**საყოველთაობა, როგორც კანონიერების აუცილებელი შტრიხი ერთნაირად ეხება სახელმწიფოსაც და მოქალაქეებსაც.** სახელმწიფო პასუხისმგებელია მოქალაქის წინაშე ისევე როგორც მოქალაქე — სახელმწიფოს წინაშე. თუ სახელმწიფოს კანონებში გამოიხატება მისი მოქალაქეების ნამდვილი ინტერესები, სამართლებრივი მითითებების რეალიზება ხდება სახელმწიფო ზემოქმედების იძულებითი ზომების გარეშე. გასაგებია, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მთლიანად გაითვალისწინოს ინდივიდუალური ინტერესების მთელი გამა. თუმცა, საკანონმდებლო საქმიანობის მეშვეობით მას შეუძლია და უნდა მისცეს თავის მოქალაქეებს შესაძლებლობა დამოუკიდებლად განკარგონ საკუთარი კეთილდღეობა და თავისუფლად განახორციელონ საქმიანობა.

სამართლებრივი მითითებების საყოველთაო დაცვის უზრუნველყოფა სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ამოცანაა. გააჩნია აუცილებელი საორგანიზაციო, მატერიალური და იძულების საშუალებები, მან საიმედოდ უნდა დაიცვას მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები. თავად მოქალაქეებს სახელმწიფო-სამართლებრივი სტრუქტურების გარეთ არ შეუძლიათ დაადგინონ კანონიერების რეჟიმი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

იმისათვის, რომ იყოს კანონიერების შემოქმედი და „დამცველი“ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს თავისი სახელისუფლებო ფუნქციები უშუალოდ მოქმედი კანონების საფუძველზე და ჩარჩოებში. ამავდროულად, მან უნდა აღკვეთოს ნებისმიერი სამართალდარღვევა, როგორც თავისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების, ასევე მოქალაქეების მხრიდან.

**მეორე, კანონიერება უწვევტად უკავშირდება სამართალს, იურიდიულ ნორმებს.** თუმცა, ქვეყანაში კანონიერების რეჟიმის მდგომარეობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმის საფუძველზე, თუ რა ზომით ასახავენ სახელმწიფოს კანონები საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებს. თუ სახელმწიფოს მიერ გამოცემული სამართლებრივი ნორმები ამტკიცებენ და იცავენ მხოლოდ ცალკეული პირების ან გარკვეული სოციალური ჯგუფების ინტერესებს, ქვეყნის მთელი მოსახლეობის

ზოგადი და ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინების გარეშე – კანონიერება არ არსებობს. თუ სამართლებრივი ნორმები მხოლოდ ფორმალურად ასახავენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესებს, მაგრამ არ ახდენენ მათ გარანტიას, მაშინ საუბარი არ შეიძლება იყოს კანონიერების შესახებ. ისტორიისთვის ცნობილია ბევრი მაგალითი, როცა სახელმწიფო ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის რეგლამენტირებას, მაგრამ ასეთი რეგლამენტაცია ხდებოდა არასამართლებრივი კანონებით, რომელთაც საერთო არ ჰქონდათ საკუთარი მოქალაქეების ნამდვილ ინტერესებთან. კანონიერების ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს სამართლებრივი კანონები, რომლებიც ადეკვატურად ასახავენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მონაწილის საერთო და ინდივიდუალურ ინტერესებს.

**ამდენად, სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერების რეჟიმი გულისხმობს ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის არსებობას:**

– სრულყოფილი, მკაფიოდ დამუშავებული კანონმდებლობის, რომელიც პასუხობს საზოგადოებრივი პროგრესის მოთხოვნილებებს;

– კანონებისა და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების სრულ და უპირობო რეალიზაციას სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, მოქალაქეებისა და სხვადასხვა გაერთიანების მიერ.

**კანონიერების ძირითადი მოთხოვნები.** ტერმინი „კანონიერების მოთხოვნები“ საფუძველიანად დამკვიდრდა სამეცნიერო და სასწავლო იურიდიულ ლიტერატურაში. მასში ყალიბდება ის პრინციპული დებულებები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია რეალური კანონიერება. კანონიერების მოთხოვნები საფუძველში ემთხვევა სამართლის პრინციპებს, რამდენადაც მათი რეალიზაცია ქმნის საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების ოპტიმალურ რეჟიმს.

და მაინც, სამართლის პრინციპები და კანონიერების მოთხოვნები არაერთგვაროვანია. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სამართლის პრინციპების რეალიზაციის საშუალებას ემთხვევა რა მათ ფორმულირებებში. **კანონიერების მოთხოვნები – სამართ-**

ლის ზოგადი პრინციპების (სამართლიანობის, ჰუმანიზმის, სოციალური თანასწორობის) ცხოვრებაში ასახვის იურიდიული ინსტრუმენტი. უფრო მეტიც, თავად კანონიერება წარმოადგენს სამართლის ერთ-ერთ წამყვან პრინციპს.

**როგორია კანონიერების ძირითადი მოთხოვნები?**

1. **კანონის უზენაესობა ყველა სხვა სამართლებრივ აქტთან მიმართებაში.** სამართლებრივ სახელმწიფოში კანონს გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა. ის გამოდის საზოგადოებრივი ურთიერთობების მთავარ, ფუნდამენტურ რეგულატორად. სამართლებრივი ზემოქმედების სფეროში არსებული ურთიერთობები ობიექტური პირობების ძალით რეგულირდება კანონის მიერ. კანონქვემდებარე აქტები მოქმედებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რაიმე სახის ურთიერთობები კანონმდებლობით არაა რეგულირებული. ამასთან, მათი გამოცემა უნდა მოხდეს კანონთან მკაცრ შესაბამისობაში და კანონის საფუძველზე.

2. **კანონების გაგებისა და გამოყენების ერთიანობა მათი მოქმედების მთელ ტერიტორიაზე.** კანონები აბსოლუტურად ერთნაირ მოთხოვნებს უყენებენ ყველა სუბიექტს, რომელიც იმყოფება მათი დროითი და სივრცითი მოქმედების სფეროში. კანონების არსისა და კონკრეტული შინაარსის ერთიანი გაგება უზრუნველყოფს კომპეტენტური ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართალგამოყენებითი საქმიანობის კანონიერებას. ის შეესაბამება კანონის ნამდვილ აზრს და ცხოვრებაში ახორციელებს მასში ჩადებულ რეგულატიურ ფუნქციებს.

3. **ყველა მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს კანონის დაცვით და მათი თანაბარი ვალდებულება შეასრულოს მისი მითითებები (ყველას თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე).** საზოგადოებაში კანონიერების მყარი და ეფექტური რეჟიმი შესაძლებელია მხოლოდ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პირობებში. ერთის მხრივ, სამართლის სუბიექტებმა სრულად უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები. მეორეს მხრივ, სახელმწიფომ უნდა შექმნას ყველა აუცილებელი პირობა მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების განხორციელებისთვის.

4. **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხ-**

ორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს. სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ამ მოთხოვნას გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა, რამდენადაც ერთი ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება იქნეს რეალიზებული მეორე ადამიანის თავისუფლების საზიანოდ. კანონი არ უშვებს ზოგიერთი პირის უფლებების შელახვას სხვა პირთა უფლებების ხარჯზე.

5. კანონიერებისა და მიზანშეწონილობის დაპირისპირების დაუშვებლობა. რატომ არ შეიძლება კანონიერების დაპირისპირება მიზანშეწონილობასთან? პირველ რიგში, იმიტომ, რომ სამართლებრივ კანონებს გააჩნიათ უმაღლესი საზოგადოებრივი მიზანშეწონილობა. მათში მაქსიმალურადაა ასახული, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი, ასევე ინდივიდუალური ინტერესები. არღვევს რა კანონის მოთხოვნებს, ზოგიერთი თანამდებობის პირი და მოქალაქე ამართლებს მის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ადგილობრივი ან ინდივიდუალური მიზანშეწონილობით. ისინი ამტკიცებენ, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის დაცვა მიზანშეუწონელია და ისინი მას, ანაცვლებენ სუბიექტური კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებით, რაც უფრო სასარგებლო და საჭიროა, მათი აზრით, კონკრეტული სიტუაციის დროს.

კანონიერება გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი ინტერესები სრული მოცულობით შეიძლება და უნდა იყოს დაკმაყოფილებული კანონის ჩარჩოებში. კანონი, თავის მხრივ, ასეთ შესაძლებლობებს იძლევა. მაგალითად, სისხლის სამართლის სასჯელის განსაზღვრისას მოსამართლეები ხელმძღვანელობენ რა კანონით ნიშნავენ სასჯელის იმ ზომას, რომელიც უფრო მიზანშეწონილია მოცემული შემთხვევისთვის დანაშაულის სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით.

შესაბამისად, სამართლებრივ სახელმწიფოში მიზანშეწონილობა რეალიზებულია კანონის საფუძველზე და კანონის სახელით. თითოეულ, ცალკე აღებულ შემთხვევაში კანონის ჩარჩოებში უნდა იქნეს მიღებული ის ზომა, რომელიც წარმოადგენს მიზანშეწონილს მოცემული შემთხვევისთვის. კანონს გააჩნია უმაღლესი მიზანშეწონილობა, ამიტომ ის ითვალისწინებს ადამიანთა ინდივიდუალური და ადგილობრივი ინტერესების მრავალფეროვნებას.

თუ კანონი მოძველდა, ჩამორჩება საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებს, ის უნდა შეიცვალოს ან მასში იქნეს შეტანილი ცვლილებები დადგენილი წესით. სანამ კანონი მოქმედებს დროში, სივრცეში და პირთა წრეში, მისი მითითებები თანაბრად სავალდებულოა ყველასთვის. მოძველებული კანონი უქმდება მხოლოდ კანონიერი წესით და არანაირ ადგილობრივ ორგანოს ან ინდივიდ უაღურ პირს არ შეუძლია კანონის დარღვევა მის მიზანშეუწონლობაზე მითითებით. მათ შეუძლიათ მიმართონ საკანონმდებლო ორგანოს კანონის გაუქმების თხოვნით და არაუქმეტეს. გონიერი კანონმდებელი კი ყოველთვის გააუქმებს ან შეცვლის მოძველებულ კანონს.

**6. სამართალდარღვევასთან თავიდან აცილება და მასთან ეფექტური ბრძოლა** – კანონიერების მნიშვნელოვანი მოთხოვნა. სამართლებრივი სახელმწიფო ქმნის აუცილებელ მატერიალურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა წინაპირობებს სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით. ცხოვრების ხელსაყრელი მატერიალური პირობები, მოსახლეობის სოციალური დაცულობა, პოლიტიკურობა სტაბილურობა ქვეყანაში, სამართლიანი სამართალდამცავი კანონების არსებობა შეადგენს კანონიერების რეჟიმის რეალურ საფუძველს.

ნებისმიერ მოქალაქეს, სამართლის სუბიექტების ინტერესების უშუალო დაცვა ხდება სპეციალური სამართალდამცავი ორგანოების: სასამართლოს, პროკურატურის, არბიტრაჟის, პოლიციის მიერ. ცენტრალური ადგილი სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში უჭირავს სასამართლოებს, რომლებიც თავიანთ ხელისუფლებას ახორციელებენ კონსტიტუციური, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფორმებით. კანონიერებაზე უმაღლეს ზედამხედველობას ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო. კონსტიტუციური წყობილების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, კონსტიტუციის უზენაესობისა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უშუალო მოქმედების მხარდაჭერის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლო განიზილავს საქმეებს სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების, ადმინისტრაციული ხელისუფლების

უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შესახებ. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტები კარგავენ ძალას შესაბამისი გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები წარმოადგენს საბოლოოს, გაპროტესტებასა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამგვარად, კანონიერების მოთხოვნები ერთიანობასა და ურთიერთქმედებაში უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობას და ჰარმონიულობას, ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ისტორიული პროგრესის ობიექტური კანონების შესაბამისად.

### §3. მართლწესრიგი, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მიზანი და შედეგი

კანონიერება, როგორც ავლნიშნეთ წარმოადგენს კანონების განხორციელების პროცესს. კანონიერების რეჟიმი ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც სამართალდამოკიდებულებების მონაწილეები თავისუფლად ახდენენ მათი იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზებას. კანონიერება არის ისეთი წესრიგის წინაპირობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც შეესაბამება სამართლებრივი ნორმების მითითებებს.

**რა არის მართლწესრიგი?**

მართლწესრიგი — საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემა, რომელიც ყალიბდება სამართლის ყველა სუბიექტების მიერ სამართლებრივი ნორმების მითითებების ზუსტი და სრული განხორციელების შედეგად. მართლწესრიგი შეადგენს საზოგადოების თანამედროვე ცივილიზებული ცხოვრების რეალურ საფუძველს. სტაბილური მართლწესრიგის პირობებში ეფექტურად ფუნქციონირებს ეკონომიკა, მიიღწევა ჰარმონია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მოქმედებებში, მაქსიმალურად კმაყოფილდება ადამიანის მატე-

რიალური და სულიერი მოთხოვნილებები, გარანტირებულია ადამიანის თავისუფალი განვითარება.

სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ყველა ელემენტი.

1. **სამართლის ნორმები** — მართლწესრიგის ნორმატიული წინაპირობა, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის პირველადი რგოლი.

2. **სამართალდამოკიდებულებები** — სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის ელემენტი, რომელიც გულისხმობს კანონმდებლის მიერ ნავარაუდები იდეალური მართლწესრიგიდან საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა კონკრეტული შესაძლო ან სათანადო ქცევის დადგენას, რასაც ითვალისწინებს სამართლის ნორმები.

3. **იურიდიული უფლებებისა და ვალდებულებების აქტები წარმოადგენენ მართლწესრიგის დასკვნით წინაპირობას** კანონიერების რეჟიმის პირობებში სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების უფლებები და ვალდებულებები რეალურად აისახება მათ ქცევაში, აღწევს მიზანს და ამგვარად, გადადის საზოგადოებრივი ურთიერთობების ისეთ სისტემაზე, რომელიც წარმოქმნის სამართლებრივ წესრიგს.

**მართლწესრიგის შინაარსს შეადგენს სუბიექტების მართლზომიერი ქცევა ანუ ისეთი ქცევა, რომელიც რეგულირებულია სამართლის ნორმებით და რომელმაც მიაღწია სამართლებრივი რეგულირების მიზნებს.**

**მართლწესრიგის სტრუქტურა** — სამართლის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემის ერთიანობა და ამავდროულად გამიჯვნა მათი დარგობრივი შინაარსის თავისებურებების შესაბამისად.

**მართლწესრიგი არის სამართლის რეალიზებული სისტემა.** ის მოიცავს კონსტიტუციურ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ, მიწის, საოჯახო და სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. სტრუქტურული თვალსაზრისით მართლწესრიგი ასახავს სამართლის სისტემის რეალიზებულ ელემენტებს. ამასთან დაკავშირებით, მართლწესრიგის სტრუქტურაში გამოიყოფა არა მხოლოდ დარგო-

ბრივი, არამედ დამოკიდებულებათა დანაწილებული ჯგუფები, რომლებიც რეგულირებულია სამართლის ინსტიტუტებით და ქვედარგებით.

**მართლწესრიგის თავისებურება გამოიხატება** იმაში, რომ ის ყალიბდება მხოლოდ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და ამის ძალით დაცულია სახელმწიფოს მიერ. საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ნაწილი არ საჭიროებს სამართლებრივ რეგლამენტაციას. ის იმყოფება მორალის ნორმების და სხვა არასამართლებრივი ნორმატიული რეგულატორების მოქმედების სფეროში.

**საზოგადოებრივი წესრიგი წარმოადგენს** საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობას, რომელიც ყალიბდება სოციალური ნორმების: სამართლის, მორალის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არასამართლიანი წეს-ჩვეულებების ნორმების, ტრადიციებისა და რიტუალების რეალიზაციის შედეგად. სამართლებრივ სახელმწიფოში საზოგადოებრივი და წესრიგის შემადგენელი ელემენტები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და მისი დაცვის ქვეშ იმყოფებიან.

**საზოგადოებრივი წესრიგის წარმომქმნელ დამოკიდებულებათა სუბსისტემაში** ძირითად დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს მართლწესრიგი, რამდენადაც ის ამა თუ იმ სახით ასახავს მთლიანად ნორმატიული რეგულირების ყველაზე არსებით თავისებებს.

**სამხედრო მართლწესრიგი** — ზოგადი მართლწესრიგის შემადგენელი ნაწილი. ის ყალიბდება სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, ასახავს საზოგადოების ცხოვრების გარკვეულ მოთხოვნილებებს, რომელთა გარეშეც მას არ შეუძლია ნორმალურად ფუნქციონირება.

**სამხედრო მართლწესრიგი** — დამოკიდებულებების ისეთი სისტემაა, რომელიც ყალიბდება სამხედრო სამართლის სუბიექტებს შორის მათ მიერ სამხედრო-სამართლებრივი ნორმების მითითებების მკაცრი და ზუსტი განხორციელების შედეგად.

**სამხედრო მართლწესრიგის თავისებურებები გამოიხატება შემდეგში:**

**ჯერ ერთი**, სამხედრო მართლწესრიგი ყალიბდება ისეთი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რომლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების მშენებლობის, ცხოვრებისა და საქმიანობის სფეროში წარმოქმნილი სპეციფიკური საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის.

**მეორეც**, სამხედრო მართლწესრიგს გააჩნია სპეციფიკური შინაარსი. ის მოიცავს მხოლოდ სამხედრო ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და არ ვრცელდებათან სამოქალაქო ცხოვრების პირობებში.

სამხედრო მართლწესრიგის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საწესდებო წესრიგი, რომელიც არის სამხედრო მოსამსახურეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების სისტემა, სამხედრო წესდებების მითითებასთან მკაცრ შესაბამისობაში.

**კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტიები**. სამართლებრივ სახელმწიფოში არსებობს კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტიის მთელი სისტემა. კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტიის მთელი სისტემა. კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტიის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს მიერ მიღებული სპეციალური ზომები და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში მართლწესრიგის სტაბილურობასა და კანონიერების მტკიცე რეჟიმს. გამოიყოფა კანონიერებისა და მართლწესრიგის მატერიალური, პოლიტიკური, იურიდიული და ზნეობრივი გარანტიები.

**მატერიალურ გარანტიებს განეკუთვნება საზოგადოების ისეთი ეკონომიკური სტრუქტურა**, რომლის ჩარჩოებშიც დგინდება ეკვივალენტური დამოკიდებულებები მატერიალური კეთილდღეობების მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ეკვივალენტური საბაზრო საქონელდამოკიდებულებების დროს იქმნება რეალური მატერიალური საფუძველი სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ამ პირობებში სამართლის ნებისმიერი სუბიექტი ხდება ეკონომიკურად თავისუფალი და დამოუკიდებელი. მატერიალურად უზრუნველყოფილი და სოციალურად დაცული ინდივიდი თავის ქცევას უსაბამებს

სამართალს, რამდენადაც მისი ინტერესები გარანტირებულია კანონიერების რეჟიმით და ობიექტურ ასახვას პოულობს მართლწესრიგში.

**კანონიერებისა და მართლწესრიგის პოლიტიკურ გარანტიებს წარმოადგენს** საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტი, რომელიც იცავს და ადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებას იურიდიული კანონების საფუძველზე. სახელმწიფო, მისი ორგანოები, მრავალფეროვანი საზოგადოებრივი გაერთიანებები და კერძო ორგანიზაციები, შრომის კოლექტივები ანუ საზოგადოების თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლი მთლიანად იცავს კანონიერების აუცილებელ რეჟიმს და მართლწესრიგის სტაბილურობას.

**იურიდიულ გარანტიებს** განეკუთვნება სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობა, სპეციალურად მიმართული კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევების თავიდან აცილებასა და აღკვეთაზე. მას ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

**კანონიერებისა და მართლწესრიგის ზნეობრივ გარანტიებს წარმოადგენს** ხელსაყრელი მორალურ-ფსიქოლოგიური გარემო, რომელშიც ხდება სამართალდამოკიდებულებათა მონაწილეების უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზება, მათი სულიერებისა და კულტურის დონე, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების ყურადღება ადამიანის, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების მიმართ. ჯანსაღი ზნეობრივი გარემოს შექმნაში, სამართლებრივი რეგულირების სფეროში მონაწილეობს საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლი, მათ შორის, საქველმოქმედო ორგანიზაციები, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები, სკოლა, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, ეკლესია. ზნეობრივად ჯანსაღი საზოგადოება – საზოგადოება, რომელიც, ფუნქციონირებს კანონების საფუძველზე, სტაბილური მართლწესრიგის პირობებში.

#### §4. კანონიერება და თავისუფლება, მართლწესრიგი და დემოკრატია

კანონიერება არის სამართლის ნორმებში ჩამოყალიბებული ადამიანის თავისუფლების რეალიზაცია. კანონიერება ესაა სუბიექტების თავისუფალი ნების გამოხატვის სფერო, რომელშიც ისინი ახორციელებენ სამართლებრივი ნორმებით დაშვებულ ნებისმიერ მოქმედებას. ესაა თავისუფლება, რომელიც განისაზღვრება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური პირობებით, რომლის ზომაც გამოიხატება კანონში.

მართლწესრიგი არის სამართალდამოკიდებულებების მონაწილეთა რეალიზებული თავისუფლების, კანონიერების მოქმედების შედეგი. ცხოვრებაში ადამიანების უფლებების, თავისუფლებების და ვალდებულებების თავისუფალი და არა იძულებითი ხორცშესხმა უზრუნველყოფს ცხოვრების დემოკრატიულ სახეს, რეალურ დემოკრატიას, როგორც მართლწესრიგის საზოგადოებას:

– სახელმწიფოს საქმიანობაში ხორციელდება ხელისუფლების დაყოფის პრინციპი;

– საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალურად აისახება სამართლიანობა, ჰუმანიზმი, ყველას თანასწორობა კანონის წინაშე და სამართლის სხვა პრინციპები;

– სამართლის სუბიექტების ინტერესები საიმედოდაა დაცული სახელმწიფოს მიერ;

– სახელმწიფო პასუხს აგებს საკუთარი მოქალაქეების წინაშე მათი კანონიერი ინტერესების დარღვევაზე;

– მოქალაქეები პასუხს აგებენ სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ სამართალდარღვევებზე.

ერთობლიობაში ეს ფაქტორები წარმოქმნიან რეალური დემოკრატიის სამართლებრივ საფუძველს, რომელშიც თავმოყრილია საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ყველა დადებითი თვისება.

## სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი

სამართლებრივი  
რეგულირების  
მექანიზმი

– იურიდიული საშუალებების სისტემა, რომელთა მეშვეობითაც ხდება ზემოქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, ადამიანთა ქცევაზე

მოიცავს  
ელემენტებს

### სამართლის ნორმები

იურიდიული რეგულირების ნორმატიული საფუძველი, საზოგადოებრივი ურთიერთობების ტიპური მოდელები

### სამართალდამოკიდებულება

იურიდიული ნორმების ზოგადი მითითებების კონკრეტიზაციის საშუალებები ანუ მათი ასახვა ინდივიდუალურად განსაზღვრული პირების უფლებებსა და ვალდებულებებში

### ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები

კომპეტენტური სახელისუფლებო ორგანოების იურიდიული ნორმების გამოყენების აქტები კონკრეტული ცხოვრებისეული გარემოებების მიმართ

### მართლწოდება

ადამიანების მხრიდან მათი უფლებების განხორციელებისა და ვალდებულებების შესრულების მხრივ

### სამართალცნობიერება

ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმის (სისტემის) ეფექტურ ფუნქციონირებას

კანონიერებისა და მართლწესრიგის, როგორც ცივილიზებული საზოგადოების ნორმალური ცხოვრების საფუძვლისა და აუცილებელი პირობის შენარჩუნება.

სახელმწიფო სტრუქტურების ოპტიმალური აგება, მათი შედეგიანი ფუნქციონირება.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია, მის მიერ ვალდებულებების შესრულება, მოქალაქეებისა და ორგანიზაციების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების ეფექტური დაცვა.

საზოგადოების წევრებში პროგრესული სამართალცნობიერებისა და სამართლებრივი კულტურის ფორმირება.

კანონიერება

— კანონების მკაცრი დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ.

კანონიერების  
პრინციპები

კანონის უზენაესობა ყველა  
სამართლებრივ აქტთან მიმართებაში;

ყველას თანასწორობა კანონისა  
და სასამართლოს წინაშე;

თვითნებობის გამორიცხვა სახ-  
ელისუფლებო ორგანოებისა და  
თანამდებობის პირების საქმიანობაში;

კანონის გაგებასა და გამოყენებაში ერთიანო-  
ბა მისი მოქმედების მთელს ტერიტორიაზე, კანო-  
ნით გათვალისწინებული კონკრეტული გარემოებე-  
ბის თავისებურებების გათვალისწინება;

ადამიანის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუ-  
ფლებების განხორციელება არ უნდა არღვევდეს სხვა  
პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს;

სამართალდარღვევებთან ეფექტური ბრძოლა, ადამიან-  
ისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების  
საიმედო დაცვა და რეალური გარანტიები.

**მართლწესრიგი**

– წესრიგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც იქმნება ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციის, თანამდებობის პირის და მოქალაქის მიერ სამართლის ნორმების მკაცრი და განუხრელი დაცვის შედეგად.

კანონმდებლობა

მართლწესრიგის ნორმატიული საფუძველი

კანონიერება

მართლწესრიგის შექმნის პირობა, საშუალება

მართლწესრიგი

სამართლებრივი ნორმების მოქმედების, მათი განუხრელი დაცვის შედეგი

მართლწესრიგი და საზოგადოებრივი წესრიგი


წესრიგი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც ყალიბდება სახელმწიფო ორგანოების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების და მოქალაქეების მიერ საზოგადოებაში მიღებული ყველა სოციალური ნორმის დაცვის შედეგად.

საზოგადოებრივი  
წესრიგი

სამართლებრივი  
წესრიგი

საზოგადოებრივი ურთიერთობების მდგომარეობა, რომელიც ზუსტად შეესაბამება სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს

კანონიერებისა და მართლწესრიგის სოციალური  
მნიშვნელობა



კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტიები

<p>ი ა შ უ ა შ უ კ ა მ გ მ</p>	<p>რომელთა მეშვეობითაც ხდება კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა საზოგადოებაში</p>
--------------------------------	--

<p>ფ ტ მ ა მ ი</p>	<p>ეკონომიკური</p>
	<p>პოლიტიკური</p>
	<p>სოციალური</p>
	<p>სულიერი</p>

<p>ი კ მ ო მ ა შ მ რ ი</p>	<p>სამართალდარღვევების თავიდან აცილების ზომების სისტემა</p>
	<p>აკრძალვებისა და იურიდიული სანქციების დადგენა სამართლის ნორმების მოთხოვნების დარღვევაზე</p>
	<p>სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენება სამართლის ნორმების საფუძველზე</p>
	<p>ორგანოებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა მკაფიო საქმიანობა კანონების დაცვაზე კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელების მხრივ</p>

## კითხვები ცოლნის განმტკიცებისთვის

1. რას წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი? როგორია მისი ძირითადი ელემენტები?
2. თანამედროვე საზოგადოებაში სამართლებრივი რეგულირების ამოცანები და მიზნები.
3. კანონიერების ცნება და მისი ძირითადი ნიშნები.
4. რა ობიექტური ფაქტორები უზრუნველყოფენ სამართლებრივი კანონიერების რეჟიმს?
5. დაახასიათეთ კანონიერების ძირითადი მოთხოვნები (პრინციპები).
6. რაში გამოიხატება კანონიერების პრინციპების მოქმედება სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სფეროში და სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის პროცესში?
7. როგორ გესმით კანონიერებისა და მიზანშეწონილობის დაპირისპირების დაუშველობის პრინციპი?
8. მართლწესრიგის ცნება, შინაარსი და სტრუქტურა. მისი თანაფარდობა კანონმდებლობასთან და კანონიერებასთან.
9. მართლწესრიგი, პიროვნების თავისუფლება და დემოკრატია.
10. საზოგადოებრივი წესრიგის ძირითადი მახასიათებლები. როგორია მისი თანაფარდობა მართლწესრიგთან?
11. საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების რა ფაქტორები წარმოადგენენ კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტიებს?
12. როგორია იურიდიული გარანტიების მნიშვნელობა კანონიერებისა და მართლწესრიგისთვის?
13. კანონიერებისა და მართლწესრიგის როლი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებაში.